ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

7 — 8 სექტემბერი, 2013 | №212 (6213) | ფასი: 30 თეთრი

30 აგვისტოდან!
„ახალი თაობა“
+
ალექსანდრე მაკედონელი
8 ლარი






## ნიკა გვარამია: „თინა ხიდაშელი „რუსთავი 2“-ის დახურვით იმუქრება“

გვ.3



ტელეკომპანიის გენდირექტორი დეპუტატს აფრთხილებს

## ვანო მერაბიშვილმა 17 კილო დაიკლო

გვ.4



## საზოგადოებრივი მაუწყებელი დირექტორის გარეშე დარჩა

გვ.4

არხი



## აკაკი ასათიანი ოპონენტებს ტელედებატებში იწვევს

გვ.5

## სტიქიის შემოტევის თვალსაზრისით 2013 წელი განსაკუთრებულია

გვ.6





## სასამართლომ სალომე ზურაბიშვილის სარჩელი არ დააკმაყოფილა

გვ.5



გვ.6

## იაშვილის კლინიკაში ინვესტორისგან კონსტიტუციური უფლების დარღვევა იკვეთება

## შს მინისტრის მოადგილემ გერმანული საფლაგმანო გემი დაათვალიერა



გვ.6



გვ.5

## ნინო ბურჯანაძე საარჩევნო კამპანიას აძლიერებს

ISSN 1987-9385

# კახა კუკავა: „კბილაშვილი კორუმპირებულია“

შორენა გონგლაძე

**„თავისუფალი საქართველოს"ლიდერი კახა კუკავა მთავარ პროკურორ არჩილ კბილაშვილს საქმეებზე ახლად აღმოჩენილი გარემოებების გაბათილებას სდებს ბრალად და კბილაშვილის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას ითხოვს.**




„არჩილ კბილაშვილი არის ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებული მთავარი პროკურორი, რომელიც საქართველოს ოდესმე ჰყოლია. ივანიშვილის ხელისუფლებას თუ ვინმე დაღუპავს, ეს იქნება პროკურატურის უუნარობა. ამიტომ ჩვენ ვთავაზობთ ბატონ ივანიშვილს, სასწრაფოდ გაათავისუფლოს თანამდებობიდან მთავარი პროკურორი თავისი მოადგილეებით და ყველა მათგანი მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, ვინაიდან ქმედება, რასაც დღეს პროკურატურა ახორციელებს, არის დანაშაული, რომელსაც ივანიშვილის ხელისუფლება დაღუპვისკენ მიჰყავს",– აცხადებს კუკავა.

კუკავას განცხადებით, თბილისის საკრებულოს ადამიანის უფლებათა კომისია უკანონოდ ჩამორთმეული ქონების საკითხის შესწავლას იწყება. კუკავას ინფორმაციით, მსურველებმა კომისიას შემდეგი სახის დოკუმენტაცია უნდა წარუდგინონ:

'– მინდა, მოქალაქეებისთვის განვმარტო, რომ პირველ რიგში, უკანონოდ ჩამორთმეული ქონების ფაქტებში იგულისხმება ორი ძირითადი მიმართულება, საპროცესო გარიგებები, რომლებიც დადებულია იძულებით და ჩუქების ხელშეკრულებები, რომლებიც ასევე იძულების ქვეშ დაიდო. ვისაც სურს, რომ ჩვენმა კომისიამ განიხილოს მათი საქმეები, უნდა მოგვაწოდოს უშუალოდ ამ ორი დოკუმენტიდან ერთ-ერთი, ან საპროცესო გარიგება და ან სახელმწიფოს სასარგებლოდ დადებული ჩუქების ხელშეკრულება. მართალია, კომისიას შეზღუდული ბერკეტები გააჩნია სამართლიანობის აღსადგენად, მაგრამ ჩვენ რეკომენდაციით მივმართავთ ცენტრალურ ხელისუფლებას და დიდი იმედი გვაქვს, რომ ხელისუფლებისგან ჩვენ არანაირი შეფერხება არ გვექნება. მართალია, კომისიას შეზღუდული ბერკეტები გააჩნია სამართლიანობის აღსადგენად, მაგრამ ჩვენ რეკომენდაციით მივმართავთ ცენტრალურ ხელისუფლებას და დიდი იმედი გვაქვს, რომ ხელისუფლებისგან ჩვენ არანაირი შეფერხება არ გვექნება,'– აცხადებს კუკავა. ჩვენ საკრებულოს ფორმატში ვანახვებთ ხელისუფლებას, თუ როგორ უნდა მოხდეს კერძო საკუთრების დაბრუნება კანონიერი გზით. მითია ის, რომ თითქოს ამ პროცესს სასამართლო და კუბლაშვილი უშლის ხელს.

კუკავამ ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდგომი მოვლენების შესაძლო განვითარებაზეც ისაუბრა, მისი განცხადებით, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ საქართველოს ხელისუფლება ბაქრაძე-ალასანია-უსუფაშვილი იქნება.

– არანაირ სამოქალაქო სექტორში ბიძინა ივანიშვილი გადასვლას არ აპირებს, ის იძულებულია, დატოვოს ხელისუფლება. საქართველოს ახალი ხელისუფლება იქნება ბაქრაძე-ალასანია-უსუფაშვილი და ამ კოალიციაში ივანიშვილის ადგილი არ მოინახა – ამბობს კუკავა. მისივე თქმით, შესაძლოა, ივანიშვილმა გარკვეული პერიოდით საქართველო დატოვოს.

– ამის არგუმენტი არის ის, რომ მან ერთი წელია არ გამოიყენა შანსი და არ მიიღო საქართველოს მოქალაქეობა, არ დატოვა ფრანგული პასპორტი, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ეს ადამიანი ფიქრობს საკუთარ გარანტიებზე სწორედ ევროპის ტერიტორიაზე, – აცხადებს კუკავა. მისივე თქმით, წასვლის შემდეგ ივანიშვილი საქართველოში უხელისუფლებობას დატოვებს.

– მარგველაშვილი სხვა არაფერი არ არის, თუ არა უხელისუფლებობა. ეს საქართველოსთვის არის სერიოზული პრობლემა და რისკები. პოლიტიკურ სპექტრს მოუწევს ფხიზლად ყოფნა, რომ 2013-2014 წლებმა ჩაიაროს დესტაბილიზაციის გარეშე, – აცხადებს კუკავა.

კახა კუკავა რუსეთთან ურთიერთობის თემასაც გამოეხმაურა. მისი თქმით, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში არანაირი წინსვლა არ იგრძნობა და არის ერთგვარი რეგრესიც. რაც შეეხება ევრაზიულ კავშირს, კუკავას თქმით, ეს არ არის საქართველოს მთავრობის პოზიცია.

– არ ვფიქრობ, რომ ეს არის საქართველოს მთავრობის პოზიცია. უბრალოდ, ჩვენს პრემიერ-მინისტრს უყვარს ძალიან ფილოსოფია, იმყოფება პრეზიდენტობის ფილოსოფოსი კანდიდატის ზეგავლენის ქვეშ და ხანდახან პრესკონფერენციებზე მიეცემა ხოლმე ფილოსოფიურ მსჯელობებს. ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში არის წარმავალი, ხოლო იმ ადამიანებმა, რომლებიც რჩებიან, მეორე დილასვე გააკეთეს განმარტებები, რომ ევრაზიულ კავშირში არ შევალთ, – აცხადებს კუკავა.

# სასამართლომ სალომე ზურაბიშვილის სარჩელი არ დააკმაყოფილა

შორენა გონგლაძე

„საქართველოს გზის“ ლიდერ სალომე ზურაბიშვილის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლომ გუშინ განიხილა. სალომე



ზურაბიშვილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობას ითხოვდა.

შეგახსენებთ, რომ ცენტრალურმა კომისიამ ზურაბიშვილს პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციაზე უარი უთხრა. ცესკომ ამის მიზეზად ზურაბიშვილის ორმაგი მოქალაქეობა დაასახელა.

– პროცესზე სალომე ზურაბიშვილის ინტერესებს საია იცავდა. საია-ს წარმომადგენლების თქმით, ცესკო-ს გადაწყვეტილება იყო საფუძველს მოკლებული, რადგან ცესკოს გადაწყვეტილებაში ნათქვამი იყო, რომ სალომე ზურაბიშვილს არ შეეძლო საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატად დარეგისტრირება, რადგან, კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტი არ შეიძლება გახდეს ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი. საია-ს წარმომადგენლები კი აღნიშნავდნენ, რომ კანონის მიხედვით, კანდიდატად დარეგისტრირებას ორმაგი მოქალაქეობა ხელს არ უშლის, თუმცა ცესკო-ს წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ცესკო-ს გადაწყვეტილება კანონიერი იყო და იმ შემთხვევაშიც კი, თუ სალომე ზურაბიშვილი კანდიდატად დარეგისტრირდებოდა, გამარჯვების შემთხვევაში ის ინაუგურაციამდე უცხო ქვეყნის მოქალაქეობის შეჩერებას ვერ მოასწრებდა. სალომე ზურაბიშვილს მიაჩნია, რომ სასამართლოს დღევანდელი გადაწყვეტილება საქართველოს დემოკრატიის ისტორიაში კიდევ ერთი შავი ლაქა იქნება. ეს დღე არის კიდევ ერთი ძალიან შავი დღე საქართველოს დემოკრატიის ისტორიაში. ეს იყო ტესტირება, გააჩნდა თუ არა საქართველოს დამოუკიდებელი სასამართლო. სამწუხაროდ, ეს განაჩენი, რაც გამოტანილ იქნა, სრულიად დაუფუძნებელი იყო და არანაირი იურიდიული არგუმენტი არ იყო გაზიარებული. ეს არის მოსამართლის უფლება, აქ უკანონობა არ არსებობს, მაგრამ ეს ბევრ რამეზე მეტყველებს. საქართველოს არა აქვს დამოუკიდებელი სასამართლო და სასამართლო მსჯელობს პოლიტიკურად და პოლიტიკურად უზღუდავს ადამიანს, რომელსაც აქვს გარკვეული შანსები, რომ გახდეს კანდიდატი,'– განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა. ცესკო-ს წარმომადგენლები კი მიიჩნევენ, რომ სასამართლომ კანონიერი გადაწყვეტილება მიიღო. სალომე ზურაბიშვილი გადაწყვეტილების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებას აპირებს. ამისთვის მას ორი დღე აქვს.

ზურაბიშვილმა პარლამენტის ეკა ბესელიას და იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანსაც მიმართა და სთხოვა, ცესკო-ს გადაწყვეტილების კანონიერებაზე დამატებითი კონსულტაციებისთვის ვენეციის კომისიას მიმართონ.

„საქართველოს გზის“ საპრეზიდენტო კანდიდატი აცხადებს, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლისთანავე კოალიციის ლეგიტიმურობის საკითხი დაისმება.

# ივანიშვილი ლიტვაში წავიდა

შორენა გონგლაძე

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ლატვიელ კოლეგას შეხვდა. ბიძინა ივანიშვილის „ფეისბუქის"'ოფიციალურ გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, შეხვედრა ვალდის დომბროვსკისთან ლატვიის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში გაიმართა. შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ლატვიის გამოცდილების გაზიარებას ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კუთხით. პრემიერ-მინისტრებმა ორ ქვეყანას შორის მრავალმხრივი ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების პერსპექტივებზე იმსჯელეს. საუბარი შეეხო როგორც პოლიტიკური ურთიერთობების, ისე ეკონომიკურ, კულტურულ, ენერგეტიკულ, სანტრასპორტო თუ სოფლის მეურნეობის სფეროში თანამშრომლობის გაფართოების საკითხებს. დღესვე საქართველოს პრემიერ-მინისტრი ლატვიის პრეზიდენტსა და პარლამენტის სპიკერს შეხვდება.

პრემიერის ადმინისტრაციის ინფორმაციით, პრემიერებმა ორ ქვეყანას შორის მრავალმხრივი ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების პერსპექტივებზე იმსჯელეს. საუბარი შეეხო როგორც პოლიტიკური ურთიერთობების, ისე ეკონომიკურ, კულტურულ, ენერგეტიკულ, სატრანსპორტო თუ სოფლის მეურნეობის სფეროში თანამშრომლობის გაფართოების საკითხებს. შეხვედრის შემდეგ ორი ქვეყნის პრემიერ-



მინისტრებმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

– ორივე მხარემ აღვნიშნეთ, რომ ალტერნატივა არ აქვს მეგობრულ ურთიერთობებს, რომელიც ორ ქვეყანას შორის არსებობს. ჩემი მხრივ, დავარწმუნე კოლეგა, რომ ის დახმარებები და მხარდაჭერა, რომელსაც ლატვიისგან ვიღებთ, ფუჭად არ ჩაივლის და უახლოეს მომავალში გახდება ევროატლანტიკური სივრცის ღირსეული წევრი. ევრაზიის კავშირს ან სხვა ნებისმიერ კავშირს რაც შეეხება, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბდეს ჩვენთან ახლოს ან მოშორებით, რა თქმა უნდა, ჩვენ შევისწავლით, დავაკვირდებით და თუ ის საინტერესო და ჩვენი ქვეყნისთვის სასარგებლო იქნება, შეიძლება ნებისმიერ გაერთიანებაში მივიღოთ მონაწილეობა, მაგრამ, ხაზს ვუსვამ, არა ჩვენი სტრატეგიის საფასურად და მის საზიანოდ. სტრატეგია იქნება შეუცვლელი,'– განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა ლატვიელ კოლეგასთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე. ამასთან, მისივე განმარტებით, საუბარი საქართველოში მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებსაც შეეხო და კოლეგა დაარწმუნა, რომ ის ტიპურად ევროპული იქნება.

– მე დავარწმუნე კოლეგა, რომ არჩევნები იქნება ტიპურად ევროპული. ეს არ იქნება ევროპის მსგავსი არჩევნები, ეს იქნება ტიპურად ევროპული. დამკვირვებელი იქნება ძალიან ბევრი და ჩვენ დავარწმუნებთ ევროპას, რომ შეგვიძლია ჩავატაროთ დემოკრატიული არჩევნები, –' აღნიშნა ივანიშვილმა.

ივანიშვილმა ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებაზეც გააკეთა განმარტება. ივანიშვილის განცხადებით, ის გაკვირვებულია იმ აჟიოტაჟით, რაც მის პასუხს მოჰყვა. ივანიშვილის თქმით, მის განცხადებაზე „ზოგიერთი პოლიტიკოსის“ შეფასებები „საოცარია“, რადგანაც პოლიტიკაში მოსვლის დღიდან მან „ათასჯერ“ განაცხადა და 2 სექტემბერს თბილისში გამართულ ამბასადორიალზე სიტყვით გამოსვლისას გაიმეორა, რომ ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის „ქვაკუთხედია“.

– როგორც ჩანს, არიან ადამიანები, რომლებისთვისაც გუშინდელ ჩემს სიტყვებს განმარტება სჭირდება, ამიტომ კიდევ ერთხელ ვაცხადებ – თუ ევრაზიულ კავშირს რაიმე თანხვედრა ექნება ჩვენი ქვეყნის ინტერესებთან, ისე, რომ არ შეეწინააღმდეგება საქართველოს მიერ გაცხადებულ ძირითად სტრატეგიას, მომავალში ამ საკითხსაც განვიხილავთ. და კიდევ გავიმეორებ: რატომაც არა? – წერს ივანიშვილი განცხადებაში.

– საქართველოს სჭირდება ურთიერთობების დალაგება როგორც მეზობელ ქვეყნებთან, ისე სტრატეგიულ პარტნიორებთან. ჩვენ, როგორც სახელმწიფო, ვალდებული ვართ, მოვაწესრიგოთ ეს ურთიერთობები ყველასთან და, რა თქმა უნდა, რუსეთთანაც, – ნათქვამია განცხადებაში.

– რაც შეეხება ამ თემაზე ატეხილ აჟიოტაჟს, ბუნებრივია, ნაციონალური მოძრაობის ზოგიერთ წარმომადგენელს აწყობს ამით მანიპულირება. მუდმივად მტრის ხატის შექმნა მხოლოდ მათ სასიცოცხლო ინტერესებშია, რათა დამალონ ის ბრალეულობა, რომელიც მიუძღვით ქვეყნისა და ხალხის წინაშე. კიდევ ერთხელ ვაცხადებ უკვე ათასჯერ გაცხადებულ ქვეყნის ძირითად სტრატეგიას – ევროკავშირსა და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციას საქართველოსთვის ალტერნატივა არა აქვს, ეს ჩვენი პოლიტიკის ქვაკუთხედია, – განაცხადა ივანიშვილმა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ნიკა გვარამია: „თინა ხიდაშელი „რუსთავი 2“-ის დახურვით იმუქრება“

## ტელეკომპანიის გენდირექტორი დეპუტატს აფრთხილებს

შორენა მარსაგიშვილი

**საქართველოს პარლამენტი ნელ-ნელა საინტერესო ხდება. დროებითმა საპარლამენტო კომისიამ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შესწავლა გადაწყვიტა. ამ კომისიას დეპუტატი თინა ხიდაშელი უდგას სათავეში. ხიდაშელი პირობას დებს, რომ ყველაფერს ბოლომდე გამოიძიებს და „რუსთავი 2-ის გენდირექტორი ნიკა გვარამიას დაკითხვაზე იბარებს. დეპუტატის განმარტებით, ნიკა გვარამიასთვისვე იქნება უკეთესი, თუ ის გამოძიებასთან ითანამშრომლებს.**

დაკითხვაზე გვარამია დროებითი საპარლამენტო კომისიის თავქალმა ორიგინალურად დაიბარა. თინა ხიდაშელმა გენდირექტორს პარლამენტის ტრიბუნიდან მიმართა. პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას მან ტელეკომპანიების „რუსთავი 2“-სა და „საქართველოს“ ფინანსურ სქემაზე ისაუბრა.




— ყველა ფინანსური ნაბიჯი, რომელსაც ტელეკომპანია „საქართველო“ ახორციელებდა, მოტივირებული იყო არაპირდაპირი სიკეთის მიღებით „რუსთავი 2“-სთვის. იკვეთება „რუსთავი 2“-ის არაპირდაპირი ფორმით სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება. 2005-2006 წლებში საქართველოში მოქმედ ორ ტელევიზიას „რუსთავი 2“-სა და „მზეს“ პრაქტიკულად მუდმივმოქმედ რეჟიმში ეცვლებოდა მფლობელები, მაგრამ ეს მფლობელები მუდმივად ერთი და იგივენი იყვნენ. 2005 წლიდან ბაზარზე „საქცემენტი“ შემოდის, რომელთანაც დაკავშირებულია ჩვენი ერთ-ერთი კოლეგა. აქედან იწყება ისტორია, რომელიც 2011 წლამდე გრძელდება. სხვადასხვა სახელით დავით ბეჟუაშვილთან დაკავშირებული ფირმები და კომპანიები სხვადასხვა ტელეკომპანიების მფლობელები იყვნენ. ეს საკითხი კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის ჭრილში საინტერესოა იმდენად, რამდენადაც „მაუწყებლობის შესახებ“ კანონი ცალსახად ამბობს, რომ აკრძალულია საერთო ეროვნული სიხშირის მქონე ერთზე მეტი ლიცენზიის ფლობა რომელიმე პირის მიერ — იქნება ეს ფიზიკური თუ იურიდიული პირი, მაგრამ რატომღაც ეს შეზღუდვა ბატონ ბეჟუაშვილსა და მის დაქვემდებარებულ კომპანიებზე არ ვრცელდებოდა და კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია მუდმივად თვალს ხუჭავდა ამაზე, — განაცხადა თინა ხიდაშელმა.

თინა ხიდაშელის თქმით, აბსოლუტურად იდენტური მდგომარეობა იკვეთება ტელეკომპანია „საქართველოსთან“ მიმართებით, რომელიც ბაზარზე მოგვიანებით შემოვიდა.

— „რუსთავი 2“-ის მესაკუთრეები 2005-2009 წლის შემდეგ იცვლებიან, თუმცა ერთი და იგივე არიან ანუ იცვლებიან ბატონი ბეჟუაშვილისგან და ხდებიან ძმები ყარამანაშვილები, თუმცა სამივე ტელევიზიაში, დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში ეს ადამიანები ისევ გვხვდებიან. ტელეკომპანია „საქართველოს“ 26 მილიონი აქვს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული აბსოლუტურად უკანონოდ, რასაც სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ. პრეზიდენტის აქტი, რომლითაც ასეთი ნებართვა გაიცა, ტელევიზიის დაფინანსებისთვის, პირდაპირ საუბრობს სპონსორობაზე. „მაუწყებლის შესახებ“ კანონი კრძალავს სატელევიზიო ეთერში გადაცემების სპონსორობას, თუმცა ტელეკომპანია „საქართველო“ სწორედ ამას აკეთებდა ბიუჯეტის ხარჯზე — გადიოდა ეთერში მთლიანი გადაცემები და არა — რეკლამები, რომლებიც დამზადებული იყო ბიუჯეტის თანხებით. არც ამ საკითხით, იმის მიუხედავად, რომ ინფორმაცია საჯაროდ იყო ცნობილი, მარეგულირებული კომისია არც ერთხელ არ დაინტერესებულა. „საქართველოს“ დაფინანსებასთან დაკავშირებით ეს ერთადერთი თემა არ არის, რომელსაც ვიკვლევდით. „საქართველო“ „რუსთავი 2“-ის შენობიდან მაუწყებლობდა. ყველაფერი, რაც ამ წლების განმავლობაში ტელეკომპანია „საქართველომ“ შეიძინა და, ჩვენ გვაქვს ძალიან ვრცელი ჩამონათვალი, რადგან 29 მილიონის ხარჯვაზე ვსაუბრობთ, 2012 წლის ოქტომბერში, არჩევნების შემდეგ „რუსთავი 2“-ის საკუთრება ხდება. ამ ტელევიზიამ ძალიან საინტერესო, თუმცა ერთნაბიჯიანი სქემა განახორციელა — 2012 წლის ოქტომბერში, არჩევნების შემდეგ, მან იყიდა 51% წილი „რუსთავი 2“-ში და ფულის ნაცვლად შევიდა ქონებით, რომელიც მანამდე სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ჰქონდა შეძენილი. გაცილებით საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი: — 2012 წლის ზაფხულში დასრულდა „რუსთავი 2“-სა და „საქართველოს“ შორის მოლაპარაკებები და „რუსთავი 2“-სგან ტელეკომპანია „საქართველომ“ იყიდა 2 ათასი კვ მ მიწა და 4 ათასი კვადრატული ფართის შენობა-ნაგებობები. დაახლოებით 6 მილიონამდე ლარი გადაიხადა ამაში, თუმცა არჩევნების შემდეგ, როცა 51%-იანი წილის შესყიდვის ტრანზაქცია განხორციელდა, ეს მიწა უკან დაუბრუნა „რუსთავი 2“-ს ანუ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ფულით „რუსთავი 2“-სგან რაღაც ქონება იყიდა, რის გამოც „რუსთავი 2“-მა გარკვეული ფულადი სიკეთე მიიღო და შემდეგ მიწა და შენობა-ნაგებობები მას ისევ უკან დაუბრუნდა. ყველა ფინანსური ნაბიჯი, რომელსაც ტელეკომპანია „საქართველო“ ახორციელებდა, მოტივირებულია არაპირდაპირი სიკეთის მიღებით „რუსთავი 2“-სთვის ანუ ჩვენ სახეზე გვაქვს „რუსთავი 2“-ის არაპირდაპირი ფორმით სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება, რომ არაფერი ვთქვათ პირდაპირ დაფინანსებაზე, — აღნიშნა ხიდაშელმა.



მისივე თქმით, „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორი ნიკა გვარამია საგამოძიებო კომისიასთან თანამშრომლობაზე უარს აცხადებს. ხიდაშელმა გვარამიას პარლამენტის ტრიბუნიდან მიმართა, რომ მომავალი კვირისთვის დაკითხვაზე იბარებს.

— გვარამია არის ადამიანი, რომელიც არ თანამშრომლობს კომისიასთან. დიდი იმედი მაქვს, რომ მომავალ კვირას, როცა დაკითხვაზე დავიბარებთ, მოვა და პასუხს გასცემს კითხვებს, რომელსაც დავუსმვათ. არც ერთი ფურცელი და დოკუმენტი ჩვენ „რუსთავი 2“-სგან არ მიგვიღია და მუდმივად ვიღებ ბელეტრისტულ წერილებს იმის შესახებ, თუ რა უფლებები არა აქვს თურმე საგამოძიებო კომისიას. გვარამია კარგი იურისტია და ზუსტად ვიცი, რომ კანონები კარგად იცის, თუმცა მესმის, რატომ უჭირს მას ჩვენს კითხვებზე პასუხების გამოგზავნა, — განაცხადა პარლამენტის ტრიბუნიდან ხიდაშელმა.

დეპუტატის გამოსვლას რამდენიმე საათში გამოეხმაურა ნიკა გვარამია. მან ხიდაშელი ტელეკომპანიის წინააღმდეგ მიზანმიმართულ ბრძოლაში დაადანაშაულა. მისი განმარტებით, ჟურნალისტს, რომელსაც თოქ-შოუს წაყვანასთან დაკავშირებით ვეკონტაქტებოდით, ხიდაშელმა ურჩია, არ წასულიყო „რუსთავი 2“-ზე და უთხრა, რომ ეს ტელევიზია წლის ბოლომდე არ იარსებებს.

ნიკა გვარამია თინა ხიდაშელის განცხადებას გმობს და დეპუტატს ურჩევს, შეეშვას სამაუწყებლო კომპანიას და მასთან ბრძოლა ცხოვრების მიზნად არ გაიხადოს, ამასთან, შეახსენებს, რომ თინა ხიდაშელი არის პარლამენტის საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე და არა მთლიანად კომისია, რის გამოც, ნიკა გვარამიას თქმით, „რუსთავი 2“-ს უფლება აქვს, არ დააკმაყოფილოს ხიდაშელის მოთხოვნები სხვადასხვა სახის დოკუმენტაციის გაგზავნაზე, სანამ ეს მოთხოვნები კომისიის გადაწყვეტილებით ან შესაბამისი ოქმით არ იქნება გამყარებული.

— სამწუხაროდ, ქალბატონი ხიდაშელის განცხადებებში არის ძალიან ბევრი ფაქტობრივი უზუსტობა, მე ვფიქრობ, შეგნებული უზუსტობა. ამას ადამიანურ ენაზე სიცრუე ჰქვია და ასევე არის კვალიფიკაციის პრობლემები, რასაც აქამდე ქალბატონ ხიდაშელს ნამდვილად ვერ ვამჩნევდი, ვწუხვარ, იმიტომ, რომ საქართველოს პარლამენტის ტრიბუნიდან სიცრუისა და კვალიფიკაციის პრობლემების ტირაჟირება მოხდა საქართველოს პარლამენტის წევრის მიერ. მე გაგაცნობთ მოთხოვნებს, რომელიც ქალბატონ ხიდაშელს აქვს გამოგზავნილი:

პირველ წერილში მან გვთხოვა, მიგვეწერა, ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ სამაუწყებლო ბადეში როგორ იქნა განთავსებული გასართობი გადაცემები, მეორე წერილში გვთხოვა, როგორ ხდებოდა რეკლამის განთავსება ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ ეთერში და რომელი კომპანია უწევდა მომსახურებას და მესამე წერილში გვთხოვა კონკრეტული გადაცემებისა და შესყიდვების შემკვეთები გაგვეშუქებინა. თუ ვინმე მეტყვის, ეს რა კავშირშია „რუსთავი 2-ის“ წილებთან, მისი მადლობელი ვიქნები, იმედია, ქალბატონი ხიდაშელი ამას განმარტავს.

ყველაფრის მიუხედავად, ბუნებრივია, ჩვენ ამ შეკითხვებს აუცილებლად გავცემდით პასუხებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს არის ჩვენი კომერციული საიდუმლოება, იმ ვითარებაში, როდესაც კანონით უფლებამოსილი ორგანო მოგვმართავდა ამ მოთხოვნით, კანონით უფლებამოსილნი არიან მხოლოდ საგადასახადო ორგანოები, საგამოძიებო ორგანოები და ერთადერთი გამონაკლისია საქართველოს პარლამენტის საგამოძიებო კომისია. ქალბატონი ხიდაშელი არ არის თვითონ საგამოძიებო კომისია, იგი არის კომისიის თავმჯდომარე და როდესაც გვწერს წერილებს, ჩვენ მას ვუთხარით, რომ ამ ყველაფერზე პასუხის გაცემა შეგვეძლება იმ ვითარებაში, როდესაც საგამოძიებო კომისია მიიღებს ამ გადაწყვეტილებას და ვთხოვეთ ქალბატონ ხიდაშელს:

გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ საგამოძიებო კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილება ან ოქმი, რომლის საფუძველზეც კომისიამ იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ „რუსთავი 2-ისგან“ გამოთხოვნილ იქნეს ზემოაღნიშნულ წერილებში მითითებული ინფორმაცია. ამ ელემენტარული დოკუმენტის მოწოდებისთანავე ჩვენ მზად ვიყავით, რომ სრული ინფორმაცია მიგვეწოდებინა. ეს დოკუმენტი ჩვენ დღემდე არ გვაქვს, რაც გვიჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ ეს დოკუმენტი საერთოდ არ არსებობს და კომისიას არც გადაუწყვეტია საერთოდ არასდროს, რომ „რუსთავი 2“-სგან რაიმე სახის დოკუმენტი გამოეთხოვა, საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს, რომ ეს არის ქალბატონი ხიდაშელის თვითშემოქმედება, რომელზეც, ბუნებრივია, ჩვენ არ ვაპირებთ პასუხის გაცემას, იმიტომ, რომ ის არ არის უფლებამოსილი მიიღოს ეს ინფორმაცია, საქართველოს კანონმდებლობა მას ამ უფლებამოსილებას არ ანიჭებს.

თუ მას ეს ყველაფერი არ ესმის, აქ არის კვალიფიციურობის პრობლემა. ძალიან სამწუხარო რეალობა იკვეთება: ქალბატონი ხიდაშელი მიზანმიმართულად ებრძვის „რუსთავი 2“-ს, ეს პირველი წელი არ არის, რაც ასე ხდება, მაგრამ დღეს ის ამას ახორციელებს, როგორც საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელი. ძალიან ვწუხვარ ამის გამო... ერთი ფაქტიც შემიძლია გითხრათ, საქართველოში არც თუ ისე ბევრი ცნობილი ჟურნალისტია, რომელსაც თოქ-შოუები მიჰყავთ, ერთ-ერთ მათგანთან ჩვენ ვაწარმოებდით მოლაპარაკებებს, ჩვენს არხზე თოქ-შოუს წაყვანის მიზნით მან მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ გვითხრა უარი, რომ, როგორც ჩანს, ქალბატონ ხიდაშელთან გაიარა კონსულტაცია, მისგან მიიღო პასუხი, რომ არ წასულიყო „რუსთავი 2“-ზე, რადგან ის წლის ბოლომდე ნამდვილად არ იარსებებს და მე უზრუნველვყოფ ამასო.

ქალბატონი ხიდაშელის გასაგონად მინდა ვთქვა, ვერასდროს ის ვერაფერს ვერ უზრუნველყოფს „რუსთავი 2-თან“ დაკავშირებით და მინდა ვუთხრა, დაკავდეს ქვეყნისთვის უფრო მნიშვნელოვანი საკითხებით და, შესაძლოა, წარმატებას მიაღწიოს რომელიმე მიმართულებით, ხოლო ამ მხრივ ის იქნება აბსოლუტურად წარუმატებელი და ნუ გაიხდის ცხოვრების მიზნად „რუსთავი 2“-თან ბრძოლას. თუ ქალბატონი ხიდაშელის მიერ ვიქნები დაბარებული, არ ვაპირებ, მივიდე, ის არ წარმოადგენს კომისიას, ხოლო თუ კომისიის მიერ ვიქნები დაბარებული, ეს ჩემი ვალდებულებაა და აუცილებლად მივალ.

ქალბატონ ხიდაშელს შევახსენებ: თუ მე მას რაიმე არ მივწერე ან რაიმე ინფორმაცია დავუმალე, ეს სისხლის სამართლის დანაშაულია და საქართველოს პროკურატურისთვის უნდა მიემართა და არა ჭორები ევრცელებინა საქართველოს პარლამენტის ტრიბუნიდან. სადაც კანონმდებლობის მოთხოვნის დაცვით გამომიძახებენ, იქ აუცილებლად მივალ, მით უმეტეს, დაკითხვებზე სიარული ამ ხელისუფლების პირობებში ნამდვილად არ მიკვირს, — განაცხადა ნიკა გვარამიამ.

# ნაციონალები შველას დიპკორპუსისაგან ითხოვენ

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალურმა მოძრაობამ წამებულის მანტია კარგად მოირგო. ყველაფერს აკეთებენ, რომ ქვეყანამ და სრულიად მსოფლიომ დაინახოს მათი ტანჯვა-წამება. მეტი ეფექტის მოსახდენად ისინი, როგორც წესი, დახმარებისთვის საერთაშორისო თანამეგობრობას მიმართავენ ხოლმე და საერთაშორისო თანამეგობრობაც ღელავს.

ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დიპლომატიურ კორპუსს ამჯერად ადგილობრივ თვითმმართველობებში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით მიმართა. ნაცმოძი მსოფლიოსგან რეაგირებას სთხოვს. ამასთან დაკავშირებით დეპუტატმა ირმა ნადირაშვილმა გუშინ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა.

— ხელისუფლება ადგილობრივ თვითმმართველობებში ნაციონალური მოძრაობის წევრებზე მუდმივად ზეწოლას ახორციელებს. მარტვილის რაიონი იმ რამდენიმე რაიონის რიცხვშია, სადაც, მიუხედავად ძალოვანი სტრუქტურების 10-თვიანი ზეწოლისა, ვერ



მოხერხდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრების გადაბირება და თანამდებობიდან გათავისუფლება. ამ ხნის განმავლობაში ეს ადამიანები მუდმივ რეჟიმში დადიოდნენ დაკითხვებზე. ზოგიერთი მათგანი 7-ჯერ, 8-ჯერ, 10-ჯერ იქნა დაკითხული. ერთ-ერთი მათგანი დაკითხვაზე 30-ჯერ იმყოფებოდა. როგორც ჩანს, ხელისუფლება ახალ, უფრო მკაცრ რეაგირებაზე გადავიდა. დღეს საკუთარ კაბინეტში დააკავეს მარტვილის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბორის მიქავა. მას ბრალი სრულიად აბსურდულ საკითხზე წარედგინა. ეს სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ ყველა იმ რაიონში, სადაც ჯერ კიდევ თანამდებობას ინარჩუნებენ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები, ნებისმიერი მეთოდით, კანონის სრული უგულებელყოფით მოხდეს მათი თანამდებობებიდან და საარჩევნო კამპანიიდან ჩამოცილება, — განაცხადა აღშფოთებულმა ნადირაშვილმა.

მისივე თქმით, განსაკუთრებით აღმაშფოთებელია ის, რომ ეს ხდება იმ პირობებში, როდესაც ივანიშვილი ყველა საჯარო გამოსვლაში აფიქსირებს, რომ თითოეულ კანდიდატს თანაბარ საარჩევნო პირობებს შეუქმნის.

— ეს ხდება იმ დღეს, როდესაც იუსტიციის მინისტრი ხელს აწერს მემორანდუმს გამჭვირვალე და თავისუფალი არჩევნების უზრუნველყოფის შესახებ. მივმართავთ საერთაშორისო და ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, გააძლიერონ მონიტორინგი და მოახდინონ შესაბამისი რეაგირება აღნიშნულ ფაქტებზე, — აცხადებს ნადირაშვილი.

დეპუტატ ნადირაშვილის ღალადი მეოცნებეებმა უმალ დაგმეს. საპარლამენტო უმრავლესობის წევრი დავით ლორთქიფანიძე ოპოზიციონერ კოლეგა ირმა ნადირაშვილს სიცრუეში ადანაშაულებს.

როგორც ლორთქიფანიძის განცხადებაშია ნათქვამი, აინტერესებს, რაში ხედავს ნადირაშვილი თვითმმართველობების მუშაობაში ხელისუფლების ჩარევას.

— ირმა ნადირაშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, თითქოს ხელისუფლება ადგილობრივი თვითმმართველობების ნაციონალური მოძრაობის წევრებზე მუდმივ ზეწოლას ახდენს და დაასახელა ვანის რაიონიც. ვაცხადებ, რომ ნადირაშვილის განცხადება არის სიცრუე. ნაციონალური მოძრაობა თავად ცდილობს რაიონის გამგებელ ზურაბ გეგიძის გათავისუფლებას, — განაცხადა ლორთქიფანიძემ.

# საზოგადოებრივი მაუწყებელი დირექტორის გარეშე დარჩა

შორენა გონგლაძე

**საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ მაუწყებლობის გენერალური დირექტორი გიორგი ბარათაშვილი ბოლო ექვსი თვის მანძილზე მეორედ გადააყენა დაკავებული თანამდებობიდან.**

პირველად სამეურვეო საბჭომ ბარათაშვილი თანამდებობიდან მარტის დასაწყისში გაათავისუფლა, ორ თვეში, მას შემდეგ, რაც იგივე საბჭომ ის საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელად დანიშნა. მაშინ ბარათაშვილმა სასამართლოს გზით დაიბრუნა თანამდებობა. თუმცა, ცოტა ხნის წინ იგივე საბჭომ კვლავ წამოაყენა ბარათაშვილის გადაყენების საკითხი და იგი იმაში დაადანაშაულა, რომ ვერ მიაწოდა საბჭოს საკმარისი ინფორმაცია გადაცემების აღწერილობასა და ბიუჯეტთან დაკავშირებით.

გუშინ, 5 სექტემბერს 15-წევრიანი საბჭოში ამჟამად არსებულმა ცხრავე წევრმა ბარათაშვილის გადაყენებას დაუჭირა მხარი. ბორდის ერთ-ერთი წევრის განცხადებით, გენერალურ დირექორთან სამი თვის განმავლობაში კომუნიკაცია ვერ შედგა.

— ამ პერიოდის განმავლობაში ვერ მოხერხდა ნორმალური სამუშაო ვითარების შექმნა მენეჯმენტისგან არსებობს პასუხი, რომ ყველანაირი პრობლემა გადალახვადია, მაგრამ არ გვაქვს კონკრეტული სამოქმედო გეგმა, რისთვისაც ბარათაშვილი იყო დანიშნული. განაცხადა ბორდის ერთ-ერთმა წევრმა გიორგი მელაძემ.

ბარათაშვილმა საბჭოს გადაწყვეტილებას „პოლიტიკურად მოტივირებული" უწოდა და განაცხადა, რომ საბჭო ნაციონალური მოძრაობის გავლენის ქვეშ იმყოფება. გიორგი ბარათაშვილი ბორდის გადაწყვეტილებას პოლიტიკური მოტივით ხსნის და აღნიშნულს „ნაციონალური მოძრაობის' დაკვეთას უკავშირებს. როგორც ბარათაშვილი აცხადებს, ბორდის არსებული შემადგენლობა „ნაციონალური მოძრაობის' მიერ არის დაკომპლექტებული, იმ ტიპის გადაწყვეტილებების წინასაარჩევნოდ მიღება კი, რასაც ადგილი აქვს, „ტყუილად არ ხდება.

— „ჩვენ ახალ ეთერს ვიწყებდით. რამდენად გონივრულია ახალი ეთერის და არჩევნების წინ ბორდის მხრიდან ასეთი გადაწყვეტილების მიღება, არ ვიცი. ასეთი გადაწყვეტილებები წინასაარჩევნოდ ტყუილა არ ხდება. ამაში ვხედავ პოლიტიკურ მხარეს. პოლიტიკურ ძალაში ვგულისხმობ „ნაციონალურ მოძრაობას, რადგან ბორდი დაკომპლექტებულია სწორედ „ნაციონალური მოძრაობის' მიერ,'— განაცხადა ბარათაშვილმა. რაც შეეხება ირაკლი ციბაძეს, ბარათაშვილის თქმით, ის მაუწყებლის გენერალური დირექტორის მრჩეველია უსაფრთხოების საკითხებში, თუმცა ციბაძე ტელევიზიაში მას არ მიუყვანია.

ეს ადამიანი, მე რომ დავბრუნდი, უკვე მუშაობდა ტელევიზიაში და ის არ არის ჩემი მოყვანილი,'— აცხადებს ბარათაშვილი.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, ემზარ გოგუაძის ინფორმაციით, გუშინ ე.წ. ოდეერი გენერალურ დირექტორ გიორგი ბარათაშვილთან დაკავშირებით გადაწყვეტილების შეცვლას სთავაზობდა. როგორც ემზარ გოგუაძემ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, მას მაუწყებელში მომუშავე ე.წ. ოდეერი ირაკლი ციბაძე გადაწყვეტილების შეცვლის სანაცვლოდ „ყველაფერს ჰპირდებოდა.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეთვალყურეო საბჭოს განცხადებით, მაუწყებლის ახალი გენერალური დირექტორის ადგილის დასაკავებლად კონკურსი ათი დღის ვადაში გამოცხადდება. ახალი ხელმძღვანელის დანიშვნამდე გენერალური დირექტორის მოვალეობას მისი მოადგილე, თამაზ ტყემალაძე შეასრულებს.

ორი დღის წინ, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ ერთობლივი განცხადება გამოაქვეყნა. საერთაშორისო გამჭვირვალობა და საქართველომ, საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ და მედიის განვითარების ფონდმა აღნიშნეს ერთობლივ განცხადებაში, რომ „შექმნილი გაურკვევლობები უარყოფითად აისახება როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიან რეპუტაციაზე, ასევე შეიძლება გავლენა იქონიოს წინასაარჩევნო გარემოზე". განცხადებაში ასევე აღნიშნულია ის გაურკვევლობა, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის ორი პოლიტიკური თოქშოუს წამყვანების, ეკა კვესიტაძის და დავით პაიჭაძის გარშემო არსებობს.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ კვესიტაძის „აქცენტები" და პაიჭაძის „დიალოგი" შესაძლოა დაიხუროს, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერჯერობით მიღებული არ არის. მენეჯმენტის წარმომადგენლების თქმით, მაუწყებელი ორივე ჟურნალისტთან აგრძელებს თანამშრომლობას და კვესიტაძემ და პაიჭაძემ, შესაძლოა, შემოდგომიდან ახალი თოქშოუ წაიყვანონ. ეს ორი წამყვანი ცნობილია საკუთარი კრიტიკული დამოკიდებულებით მოქმედი ხელისუფლების მიმართ და საზოგადოების ნაწილი მათ ნაციონალური მოძრაობის მიმართ ლოიალურად განწყობილ ჟურნალისტებად მიიჩნევს, ხოლო მათ მიერ მოქმედი ხელისუფლების კრიტიკას პოლიტიკური ნეიტრალიტეტის უგულებელყოფად აღიქვამს. შესაბამისად, გადაცემების დახურვის შემთხვევაში, საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტს ამ გადაწყვეტილების მყარი და ობიექტური არგუმენტებით დასაბუთება მოუწევს, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული ფაქტი თავად მაუწყებლის მენეჯმენტის პოლიტიკური მიუკერძოებლობის მიმართ გააჩენს კითხვებს, — ნათქვამია განცხადებაში.




„საზოგადოებრივი მაუწყებლის" წინ დაწყებული სხდომის პარალელურად სამეურვეო საბჭოს გენერალური დირექტორის, გიორგი ბარათაშვილის მხარდამჭერი აქცია მიმდინარეობდა. აქცია „ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაციამ" გამართა

— ვაპროტესტებთ, ბორდის სხდომას, რომლის მიზანი გიორგი ბარათაშვილის გადაყენებაა. ბორდის დაკარგული აქვს საზოგადოების ყველანაირი ნდობა, მათ ერთხელ უკვე სცადეს ბარათაშვილის გადაყენება, დღეს თუ ბორდი მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ეს იქნება პოლიტიკურად ანგაჟირებული გადაწყვეტილება, რამეთუ კარგად გვახსოვს, რამდენიმე ხნის წინ, როდესაც ბორდმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ გიორგი ბარათაშვილი დაკავებულ თანამდებობაზე აღადგინა აცხადებდნენ აქციის მონაწილეები.

## ადუაშვილის საქმესთან დაკავშირებით სამივე ბრალდებულს 20-20 წლით პატიმრობა მიესაჯა

ბიზნესმენ ანტონ ადუაშვილის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით, რომელიც ნაფიც მსაჯულთა კოლეგიამ განიხილა, — საქალაქო სასამართლო განცხადებას ავრცელებს.

„თბილისის საქალაქო სასამართლოში დასრულდა ნაფიც მსაჯულთა განსჯადი მეხუთე სისხლის სამართლის საქმის განხილვა. 12 ნაფიცმა მსაჯულმა გამამტყუნებელი ვერდიქტი მიიღო და ბრალდებულები — ვახტანგ ჩხაპელია, გელა უბილავა და კობა ყურუა, ანტონ ადუაშვილის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობაში დამნაშავედ სცნო.

აღნიშნულ ბრალდებაზე გამამტყუნებელი ვერდიქტი მიღებულ იქნა 8 ხმით, 4-ის წინააღმდეგ.

ნაფიცმა მსაჯულებმა გამამართლებელი ვერდიქტი მიიღეს ბრალდებულ გელა უბილავას მიმართ ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვისა და ტარების ბრალდებაში, ხოლო კობა ყურუას მიმართ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის მისაკუთრების მიზნით, მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებისა და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვის ბრალდებებზე.

ნაფიცმა მსაჯულებმა სრულად გამოიყენეს ვერდიქტზე მსჯელობისათვის კანონით მინიჭებული პირველადი 3, შემდგომ 6 და კიდევ 3 საათი, სულ 12 საათი. ნაფიც მსაჯულთა თათბირი საიდუმლოა და იგი უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. რადგან აღნიშნულ უწყვეტ 12 საათში ნაფიცმა მსაჯულებმა ვერ შეძლეს ვერდიქტის მიღება, სასამართლომ მათ მართლმსაჯულების განსახორციელებლად დამატებით გონივრული დრო განუსაზღვრა. ღამის საათების გათვალისწინებით, სასამართლომ გონივრულ ვადად 1 საათი მიიჩნია.

მოცემულ საქმეზე ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით ჩატარდა 10 სასამართლო სხდომა და დაიკითხა ბრალდების 19, ხოლო დაცვის 5 მოწმე. გამოკვლეულ იქნა წერილობითი ხასიათის მტკიცებულებები, ექსპერტიზის დასკვნები და გარე-ვიდეო სათვალთვალო კამერების ჩანაწერები, ასევე შემავალი და გამავალი სატელეფონო ზარების ამსახველი ნუსხა.

მხარეთა პოზიციების გათვალისწინებით, ნაფიც მსაჯულებს მონაწილეობა არ მიუღიათ სასჯელის დანიშვნის სხდომაში.

სასამართლომ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის საფუძველზე, ვახტანგ ჩხაპელიას, გელა უბილავას და კობა ყურუას ანტონ ადუაშვილის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობისათვის თითოეულს 20-20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

გამამტყუნებელი განაჩენი შესაძლებელია ერთჯერადად, საკასაციო წესით, თბილისის სააპელაციო სასამართლოში, მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საფუძვლების არსებობისას გასაჩივრდეს" — ნათქვამია სასამართლოს განცხადებაში.

**ნიუსპრესი**

## რატი სამყურაშვილი დააკავეს



ყოფილი პარლამენტარი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი რატი სამყურაშვილი, რომელიც სამართალდამცველებმა ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს, ამ დროისთვის მცხეთის დროებითი მოთავსების იზოლატორშია გადაყვანილი. ამის შესახებ „ნიუსპრესს"-ს, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანმა განუცხადა.

მისი თქმით, ექსდეპუტატი ნარკოდანაშაულისთვის, რამდენიმე პირთან ერთად, თბილისში დააკავეს. მათთვის ჯერ ბრალის წაყენება არ მომხდარა. რატი სამყურაშვილი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან," უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრი ორგზის იყო.

**ნიუსპრესი**

## პოლიციამ ქურდული სამყაროს წევრობისთვის 13 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი

სამმართველოსა და კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, მარნეულისა და დმანისის რაიონებში ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად, ერთდროულად, ე.წ. „ქურდული სამყაროს" 13 წევრი დააკავეს, რომლებიც ორ დაჯგუფებას განეკუთვნებიან.

დაკავებული არიან ძმები, — 1969 წელს დაბადებული რასიმ ო. და 1973 წელს

დაბადებული ნამიკ ო., ასევე, 1990 წელს დაბადებული რაშიდ გ., 1985 წელს დაბადებული გიორგი კ., 1970 წელს დაბადებული რასიმ მ., 1990 წელს დაბადებული ნამირ ი.,

1986 წელს დაბადებული ასიფ ხ., 1990 წელს დაბადებული სადრადინ დ., 1962 წელს დაბადებული ჯაბირ ა., 1979 წელს დაბადებული თემურ გ., 1981 წელს დაბადებული აიატ გ., 1964 წელს დაბადებული კარახან გ. და 1978 წელს დაბადებული მეხრალი შ.

დაკავებულთაგან 9 პირი წარსულში სხვადასხვა მძიმე დანაშაულებისთვის იხდიდა სასჯელს. 13-ვე პირის დაკავება მათ საცხოვრებელ სახლებში მოხდა. ამოღებულია მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, სანადირო თოფი, ნარკოტიკული ნივთიერება „მარიხუანა" და ფსიქოტროპული აბები.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები ქვეყნის გარეთ მყოფი ე. წ. კანონიერი ქურდების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. კერძოდ, 8-კაციანი დაჯგუფება კონკრეტულ დავალებებს იღებდა და ასრულებდა რუსეთში მცხოვრები ერთ-ერთი ე.წ. კანონიერი ქურდისგან, ხოლო მეორე 5-კაციან დაჯგუფებას ე.წ. კანონიერი ქურდი ნადირ სალიფოვი, მეტსახელად „გულუ" მართავდა, რომელიც აზერბაიჯანის საპყრობილეში იხდის სასჯელს. გამოძიება ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის ფაქტზე, სსკ-ს 223-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

**მედიანიუსი**

## დოკუმენტური ფილმების ციკლი „ლეგენდა" ივანე მაჩაბლის ბედისწერით დასრულდა

ამ ცოტა ხნის წინათ ტელეკომპანია „ჯი-დი-ეს"-მა დოკუმენტური ფილმების ციკლით — „ლეგენდა" — მაყურებელს მორიგი ფილმი შესთავაზა მე-19 საუკუნის გამოჩენილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეზე ივანე მაჩაბელზე. მასში ამ მრავალმხრივი პიროვნების, ლიტერატორის, პუბლიცისტის, მთარგმნელის, რედაქტორის, ბანკირის უგზოუკვლოდ გაუჩინარების ამბავია მოთხრობილი. გადაცემაში მიწვეული სტუმარი — მწერალი და მეცნიერი, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" მთავარი რედაქტორი როსტომ ჩხეიძე მაყურებელს მოუთხრობს იმ ვერსიებზე, რომლებიც ივანე მაჩაბლის გაუჩინარებასთან ერთად საზოგადოებაში გავრცელდა. დოკუმენტურ ფილმში ივანე მაჩაბლის ცხოვრების ამსახველი სცენებიც არის დადგმული, რაც ფილმს კიდევ უფრო საინტერესო სანახავს ხდის.

როგორც „მედიანიუსს" დოკუმენტური ფილმების სერია „ლეგენდის" პროდიუსერმა პაპუნა ჭელიძემ განუცხადა, ციკლი აღნიშნული ფილმით დასრულდა. დოკუმენტური ფილმების სერიითვე „ჯი-დი-ეს"-ზე სატელევიზიო სეზონიც დამთავრდა. მისი ინფორმაციით, ასეთი ფილმების შექმნის იდეა თავად ტელეკომპანიას ეკუთვნის. სულ გადაღებულია 22 ფილმი. პროექტი 2012 წლის ნოემბრის დასაწყისიდან 2013 წლის ივნისამდე გრძელდებოდა.

„ლეგენდის" მომზადების იდეა ტელეკომპანია „ჯი-დი-ეს"-ის დაარსებისთანავე არსებობდა. არის უამრავი საინტერესო ისტორია, საზოგადოებისათვის მეტად თუ ნაკლებად ცნობილი. სწორედ ამიტომაც მათზე დოკუმენტური ფილმების მომზადება გადაწყდა. ფილმები თავდაპირველად პარანორმალურ მოვლენებზე იქმნებოდა. ბოლოს კი მისტიკური ამბებიდან ისტორიულზე გადავედით. ისტორიულია ილია ჭავჭავაძისა და დაგნი იუველის მკვლელობათა შესახებ გადაღებული ფილმები. რაც შეეხება უშუალოდ ივანე მაჩაბელს, მასზე ცნობები გარკვეული წყაროებიდან მოვიძიეთ. გავეცანით მის თანამედროვეთა ჩანაწერებს. ასევე გვქონდა ინფორმაცია, რომ ამ საკითხში ყველაზე გათვითცნობიერებული პირი ბატონი როსტომ ჩხეიძეა, რომელსაც მივმართეთ კიდეც", — აღნიშნა პაპუნა ჭელიძემ.

პროდიუსერის თქმით, ივანე მაჩაბლის ამბავი მან გარკვეულწილად აქამდეც იცოდა. ფილმის მომზადებისას კი მისთვის ყველაზე საინტერესო ის ვერსია აღმოჩნდა, რაც ივანე მაჩაბლის გაუჩინარებაზე როსტომ ჩხეიძისაგან მოისმინა.

„ეს ვერსია სინამდვილესთან ყველაზე ახლოს დგას. ამიტომ ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო სწორედ ეს ყველაზე სარწმუნო ვერსია აღმოჩნდა", — აღნიშნა პაპუნა ჭელიძემ. მისი შეფასებით, „ლეგენდა" ერთ-ერთი რეიტინგული დოკუმენტური ფილმების სერია გამოდგა. „მედიანიუსის" შეკითხვის პასუხად როსტომ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ მასზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა შემოქმედებითმა ჯგუფმა თავისი ენთუზიაზმითა და პროფესიონალიზმით, გადაცემის კომპოზიციური დახვეწილობით. განსაკუთრებით მოიხსენია „ლეგენდის" წამყვანის, უკვე ცნობილი მსახიობის, თორნიკე გოგრიჭიანის უნარი, ამომწურავი ყოფილიყო ყველაფერი ამ ტრაგიკულ პიროვნებაზეც და ეპოქაზეც.

„მედიანიუსი" იმითაც დაინტერესდა, დოკუმენტური ფილმების ციკლის გაგრძელების შემთხვევაში კიდევ რომელ ისტორიულ ამბავზე შეაჩერებდა არჩევანს მისი პროდიუსერი. როგორც პაპუნა ჭელიძე აცხადებს, იგი ფილმს პაოლო იაშვილზე მოამზადებდა. „ფაქტია, რომ თვითმკვლელობა მოხდა. მისი თვითმკვლელობის ადგილის, ეპოქისა და გარემოების შესახებ, რამაც პოეტი ამ ნაბიჯის გადადგმისკენ აიძულა, ყველამ იცის. მაგრამ საზოგადოებას ამაზე ზედაპირული წარმოდგენა აქვს. ვფიქრობ, ამ ფაქტის ჩაღრმავება მეტად საინტერესო იქნებოდა", — აღნიშნა პაპუნა ჭელიძემ.

**მედიანიუსი**

## ვანო მერაბიშვილმა 17 კილო დაიკლო

ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის, პატიმრობაში მყოფი ვანო მერაბიშვილის ოჯახის ექიმის, გრიგოლ ხურციძის განცხადებით, ვანო მერაბიშვილმა დაკავების შემდეგ წონაში 17 კილოგრამი დაიკლო და იგი სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში დამატებით გამოკვლევებს საჭიროებს. ამის შესახებ გრიგოლ ხურციძემ სასჯელაღსრულების №9 დაწესებულებაში ვანო მერაბიშვილის მონახულების მერე ჟურნალისტებს განუცხადა.

„ვანო მერაბიშვილს ხერხემლის ტკივილი და გულის არითმია უქმნის დისკომფორტს, თუმცა დაწესებულებაში შეიკრიბა ექიმთა კონსილიუმი და ჩვენთვის, ექიმებისთვის ყველაზე პრობლემატური წონაში კლებაა. როგორც თავად მერაბიშვილმა თქვა, იგი 92 კილოგრამს იწონიდა, როდესაც დააპატიმრეს, ახლა კი — 75 კილოგრამია. ამ მხრივ მერაბიშვილს გარკვეული ტესტები უკვე ჩატარებული აქვს, თუმცა საჭიროებს სამოქალაქო სექტორის რომელიმე კლინიკაში დამატებით ტესტებს, რისი საშუალებაც ალბათ მიეცემა", — განაცხადა ხურციძემ.

მისი თქმით, დამატებითი გამოკვლევის ჩატარება გადაუდებელ საჭიროებას არ წარმოადგენს, თუმცა ეს ექიმის რეკომენდაციით უნდა მოხერხდეს უახლოეს დღეებში. გრიგოლ ხურციძესთან ერთად სასჯელაღსრულების №9 დაწესებულებაში იმყოფებოდა პატრიარქის პირადი კარდიოლოგი, უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი შალვა პეტრიაშვილი, ასევე სასჯელაღსრულების სამედიცინო დეპარტამენტის თავმჯდომარე ნათია ლანდია. შეგახსენებთ, რომ სასჯელარსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა დახმარების სამინისტრომ მერაბიშვილთან ექიმების შეშვება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც მისმა ადვოკატმა გიორგი ჩივიაშვილმა სასჯელაღსრულების სამინისტროს მიმართა თხოვნით, რომ ყოფილ პრემიერთან ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესების გამო მასთან სამოქალაქო სექტორის ექიმები შეეშვათ.

**მედიანიუსი**

# აკაკი ასათიანი ოპონენტებს ტელედებატებში იწვევს

ნათია ხურცილავა

**აკაკი ასათიანი 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აპირებს. აკაკი ასათიანი პრესკლუბ „მედიაინფოში" პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის განცხადებებს გამოეხმაურა.**




— ვერ გავიგე, რაზეა საუბარი, როდესაც ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ საზოგადოებრივ სექტორში გადავალ. არ ვიცი, რას გააკეთებს საზოგადოებრივ სექტორში. ერთი წელი გადის და რეალურად არც ერთი ნაბიჯი არ გადადგმულა ქვეყნის იმ მდგომარეობიდან გამოსაყვანად, რომელშიც აღმოჩნდა ჩვენი ქვეყანა. თუ არ ჩავთვლით სოციალურ და ჯანდაცვაში მიღებულ გადაწყვეტილებას. ჩვენს ხელისუფლებას არ აქვს კონცეფცია, გეგმა, რომელსაც თანმიმდევრულად განახორციელებს. ტერიტორიულ მთლიანობაზე საერთოდ არ არის საუბარი. რაც შეეხება ეკონომიკას, რალაცებს იმიზეზებენ. — აცხადებს ასათიანი.

აკაკი ასათიანი განმარტებებს აკეთებს, თუ რატომ ჩაერთო საპრეზიდენტო მარათონში. როგორც ის აცხადებს:

— არც ერთი კანდიდატი, სამწუხაროდ, მათ შორის არც „ქართული ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატ,ი არ საუბრობს იმ პრობლემებზე, რომლებიც დგას ქვეყნის წინაშე, როგორ აპირებს მის გადაჭრას და რა იქნება შედეგი. მაგალითად, როგორია მიდგომა საგარეო პოლიტიკისადმი. გამოიკვეთა ორი ალტერნატივა |— ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი და ევრაზიული კავშირი. ჩემი მოსაზრებით კი ნეიტრალიტეტს ალტერნატივა არ აქვს. ჩვენ უნდა დავიჯეროთ, რომ ეს ქვეყანა ჩვენი არის და ჩვენი გადასაწყვეტია მისი ბედი. ხშირად ჩვენი ხალხის პოლიტიკურ უმწიფრობაზეა საუბარი, მაგრამ 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ამაზე საუბარი ზედმეტია. მთელი ქვეყანა დაირაზმა და გადაწყვეტილება მიიღო, რომ ხელისუფლება შეეცვალა. თვითონ ხალხი გადაწყვეტს, რა ჯობია ჩვენი ქვეყნისთვის. — აცხადებს აკაკი ასათიანი.

ასათიანი განმარტებებს აკეთებს თუ რა შედეგი შეიძლება მოუტანოს საქართველოს ნეიტრალიტეტმა.

—მეზობლებთან ნორმალური ურთიერთობა გვაქვს. საგარეო მიმართულებით ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი პრობლემა რუსეთთან ურთიერთობის დალაგებაა. რუსეთთან პრობლემები ჰქონდა ფინეთს, შვედეთს, ავსტრიას მათი ნეიტრალიტეტი შვეიცარიასავით არ არის ყველას მიერ აღიარებული. შვეიცარია ევროკავშირის წევრია, მაგრამ არ არის ნატოს წევრი, ასევე ავსტრია. ფინეთს ჩვენგან განსხვავებით ნატოში შესვლას ეხვეწებოდნენ, მაგრამ უარი თქვეს, რადგან მათთვის ეს პოზიცია მომგებიანია. რა წააგეს ამ ქვეყნებმა მათი ასეთი პოზიციით? ყველა ეს ქვეყანა წარმატებულია. ასევე ნეიტრალიტეტი გამორიცხავს ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების შესაძლებლობას. რუსეთის მთავარი პრობლემაა, ნატოს ჯარები და ტექნიკა არ ჩადგეს მის საზღვარზე. ნეიტრალური ვიქნებით და ეს საკმარისი იქნება რუსეთისთვის. რამდენად ვიქნებით ამით კმაყოფილები, ეს ჩვენი გადასაწყვეტი იქნება. ეს შესაძლებლობას მოგვცემს, რომ აფხაზეთთან და ოსეთთან დავილაპარაკოთ. რუსეთი მათ ჩვენთან არ ალაპარაკებენ. მიუხედავად მედვედევის განცხადებისა. — აცხადებს ასათიანი.

ასათიანის განცხადებით ნეიტრალიტეტი რუსეთთან ურთიერთობის დალაგების პრობლემას მოხსნის. თუმცა, რა პრესპექტივით განვითარდება, ეს, მისი განცხადებით, სხვადასხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული.

ასათიანი საპრეზიდენტო კანდიდატებს ტელედებატებს სთავაზობს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით.

— ძალიან მნიშვნელოვანია, შედგეს ტელედებატები კანდიდატებს შორის, რომ საქართველოს მოქალაქეებმა გაარკვიონ, ვის ირჩევენ, რომელ კანდიდატს რა ხედვა აქვს ქვეყნის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის განვითარებასთან დაკავშირებით. — განაცხადა ასათიანმა.

კერძო საკუთრების ნაციონალიზაციაზე აკეთებს აქცენტს ასათიანი. მისი განცხადებით, საუბარი არ არის კერძო საკუთრების ჩამორთმევაზე და სახელმწიფოსთვის მის გადაცემაზე.

— იაშვილის კლინიკის მაგალითი საუკეთესოა იმის საილუსტრაციოდ, რომ სახელმწიფომ უნდა დაიბრუნოს თავისი კუთვნილი ქონება. უნდა მოხდეს ყველა ქონების დაბრუნება, რომელიც სრულიად უკანონოდ არის გასხვისებული. უკანონოდ გასხვისებული ქონების დაბრუნება უნდა მოხდეს, მაგალითად, აეროპორტის, სხვა სტრატეგიული ობიექტების.

აკაკი ასათიანის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილმა შეძლო ახალი რეალობის მოტანა, თუმცა შემდეგი განვითარების პრესპექტივას ის ვერ ხედავს.

— დიდი მიღწევაა ის, რომ ადამიანებს შიშის განცდა არ აქვთ, რომ თავისუფლად საუბრობენ, ადამიანებს ციხეებში არ ყრიან, ამაზე არავინ არ დავობს, მაგრამ არანაირი მკაფიო გეგმა არ არსებობს ქვეყნის შემდეგი განვითარების.

ასათიანი არ გამორიცხავს, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოს. ის აცხადებს, რომ ამ არჩევნებს ქვეყანა მოუმზადებელი შეხვდება. ასათიანი საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებაზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც, მისი განცხადებით, 27 ოქტომბრის არჩევნებისთვის ვერ მოესწრება.

— გარდაუვალი აუცილებლობა იქნება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების. ხომ შეიძლება, რომ ჩამოვყალიბდეთ არჩევნების ჩატარების სისტემაზე, რომ ის არანაირ ეჭვს და კამათს არ იწვევდეს, მით უფრო მაშინ, როდესაც არჩევნები ტარდება ნაციონალური მოძრაობის მიერ მიღებული სქემით. იმედი მაქვს, რომ არჩევნების გაყალბება „ქართულ ოცნებას" არ დასჭირდება, რადგან ესმის, რომ გაყალბებას ძალიან სერიოზული ნეგატიური შედეგი მოჰყვება.

# ნინო ბურჯანაძე საარჩევნო კამპანიას აძლიერებს

ნათია ხურცილავა

დემოკრატიული მოძრაობის'საპრეზიდენტო კანდიდატი, ნინო ბურჯანაძე მის ნდობით აღჭურვილ პირთა




დარბაზს შეხვდა. როგორც ნინო ბურჯანაძემ ჟურნალისტებს შეხვედრის დასრულების შემდეგ განუცხადა, ამ დარბაზის შექმნა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია საპრეზიდენტო კამპანიის გაძლიერებისთვის.

— კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა საარჩევნო კამპანიის გაძლიერებისკენ, აქ შეკრებილები არიან ის ადამიანები, რომლებიც არ არიან პარტიის წევრები, მაგრამ აქტიურად მიჭერენ მხარს პრეზიდენტად არჩევაში, ამ ადამიანების მიერ იქნება ჩატარებული ძალიან აქტიური მხარდაჭერის კამპანია. ეს არის ნდობით აღჭურვილი პირების დარბაზი. ეს არის პირველი შეხვედრა. ასობით ადამიანი გამოთქვამს სურვილს, რომ ამ დარბაზის წევრი გახდეს. — განაცხადა ბურჯანაძემ.

ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ასევე შეიქმნება დარბაზის რეგიონული წარმომადგენლობებიც.

— ჩვენი ამოცანაა, რომ ის ადამიანები, რომელთაც მართლა სიტყვა ეთქმით თავიანთ წრეში, სოფელში, ქალაქში, თავის პროფესიულ გარემოში ესაუბრებოდნენ ადამიანებს არგუმენტირებულად და რაც შეიძლება მეტად გააფართოვონ ჩვენი მხარდამჭერთა რაოდენობა. — განაცხადა ბურჯანაძემ.

ბურჯანაძის ნდობით აღჭურვილ პირთა დარბაზის თავმჯდომარის, ვალერი ასათიანის განცხადებით „დემოკრატიული მოძრაობის" საპრეზიდენტო კანდიდატს ყველა კანდიდატისგან განსხვავებული მიდგომა აქვს სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით. ასათიანის განცხადებით ბურჯანაძე საზოგადოებას მეტ შეუპოვრობას და გამბედავ ნაბიჯებს სთავაზობს სამართლიანობის აღდგენის მიმართულებით.

— ამ ყველაფერს სათავეში ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი უდგას. ჩვენ გვქონდა მსჯელობა თუ როგორ უნდა წარიმართოს წინასაარჩევნო პროცესი. საუბარი იყო, რა სამუშაოები უნდა ჩატარდეს რეგიონებში, სოფლებში, სხვადასხვა ორგანიზაციებში. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებას მიეწოდოს ის თვალსაზრისი, რომელიც აქვს პრეზიდენტობის კანდიდატს. პირველ რიგში ეს არის სამართლიანობის აღდგენა ყველგან და ყველასთვის. უდიდესი მონაპოვარი არის 1 ოქტომბრის არჩევნები, როდესაც ბიძინა ივანიშვილი ერს წარუძღა, როდესაც ხალხმა დაამარცხა სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი, ეს რეჟიმი გაიგივებულია არეროვნულობასთან, არაკვალიფიციურობასთან, არაადამიანურობასთან. ამიტომ ეს რეჟიმი უნდა დასრულდეს, რომ ქვეყანა განვითარდეს იმ გზით, რა გზითაც ვითარდება დემოკრატიული ქვეყნები თანამედროვე, ცივილიზებული მსოფლიოში. საუბარი არ არის იმაზე, რომ ქალბატონი ნინო ბიძინა ივანიშვილს უპირისპირდება. ბატონი ბიძინას მიმართ ყველანი დიდი პატივისცემით ვართ გამსჭვალული. ძალიან კარგი ფაქტია, რომ კონკურენტები ერთმანეთის ღირსებებს პატივს მიაგებენ. ხედვებში გარკვეული განსხვავებები არის, რასაკვირველია, მაგრამ გეზი არის ერთი. პროგრამა მნიშვნელოვნად დაკავშირებულია ისეთ საკითხებთან, რომლებიც ქვეყნისთვის საჭირბოროტოა. ექსპერიმენტები უნდა დასრულდეს. ექსპერიმენტება რა მოგვიტანა ამის არაერთი მაგალითი გვაქვს. უშეცდომო არავინ არ არის, თვითკრიტიკულობა აუცილებელია, მაგრამ საუბარია დამნაშავეებთან ბრძოლაზე, რომლებმაც ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანეს და რომლებსაც ჰყოფნით სინდისი, რომ კიდევ ილაპარაკონ პრეზიდენტობის სურვილზე.

ირაკლი ბათიაშვილი, ნინო ბურჯანაძის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი:

— წინასაარჩევნო კამპანია ძალიან მნიშვნელოვან ფაზაში შედის. ყოველდღიურად ვგრძნობთ მზარდ ტენდენციას ქალბატონი ნინოს მხარდამჭერების. ამას ხედავენ ჩვენი მთავრი კონკურენტის ბატონი გიორგი მარგველაშვილის ბანაკშიც. ასევე სახეზეა მხარდაჭერა საზოგადოების მხრიდან. სწორედ საზოგადოების წარმომადგენლებთან გაიმართა შეხვედრა. ჩამოყალიბდა ქალბატონ ნინოს ნდობით აღჭურვილ პირთა დარბაზი, რომელსაც ხელმძღვანელობს ვალერი ასათიანი. ეს შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია.

# ამბიციურობა დაღუპავს საქართველოში ცნობად ადამიანებს

როლანდ ხოჯანაშვილი

გასული კვირის დაიჯესტი მეტად საინტერესო იყო. ბუნებრივია, რომ ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი იყო პრემიერმინისტრის და მედიასაშუალებების წარმომადგენელთა შეხვედრა, ასევე იმ მასალების განადგურება, რომელიც პირად ცხოვრებას შეეხებოდა. ერთმა ნაკლებადცნობილმა ექსპერტმა, რომელიც არც კარის ექსპერტია და არც ექსპერტთა კლუბის წევრი, წამოსწია ის საკითხები, რომელიც შეიძლებოდა დასმულიყო და მისი მოგვარების დროს არ იქნებოდა უამრავი არაფრისმთქმელი კითხვა. ეს საკითხებია: არცერთ სამინისტროს არ გააჩნია მუშაობის მოსათმენ დონემდე მაინც დეტალიზებული გეგმა;

არცერთ სამინისტროს არ აქვს შემუშავებული ქმედითი საკომუნიკაციო სტრატეგია;

ყველა სამინისტროს აქვს პრაქტიკულად ფიქტიური ,,ცხელი ხაზი'';

არცერთ სამინისტროს არ გააჩნია მონიტორინგისა და შეფასების სისტემა — იმ მონიტორინგ და ე.წ. გენინსპექციას, რომელიც უპირატესად იურისტებით არის დაკომპლექტებული და მხოლოდ ვინმეს დაჭერაზე ოცნებობენ ვერ დავარქმევ მონიტორინგისა და შეფასების სისტემას; არცერთ მინისტრს (მათ შორის არც თქვენ) არ აქვს მოქალაქეთა მიღების საათები. რატომ? უამრავი საკითხი წამოსწია პრემიერის პასუხებმა, ზოგადადმინისტრაციულიდან დაწყებული პირადსაოჯახოს ჩათვლით. რაც შეეხება შსს-ში მასალების განადგურებას, მიუხედავად კახა კახიშვილის წინააღმდეგობისა, ფაილები მაინც განადგურდა. რატომ არ უნდა განადგურებულიყო ეს სკანდალური მასალები, ჩემს პირად მოსაზრებებს აქვე ჩამოვაყალიბებ: 1. მასალები ნახეს ჟურნალისტებმა, რომლებმაც კარგად იციან, რომ პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია, მაგრამ თუ დასჭირდათ, კულუარულად ორიოდე სიტყვის ჩამოგდებაც საკმარისია. მერე კი ვიცით, რომ საქართველოში ჭორის გავრცელების სიჩქარე რამდენად აღემატება სინთლისა და ბგერის გავრცელების სიჩქარეს. დამატებით უნდა ვთქვა, რომ ჭორს კიდევ აქვს დამატებითი ეფექტი — გზად თოვლის გუნდასავით იმატებს და ბოლოს ზვავად იქცევა. 2. განადგურებამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეს კადრები მოინახულეს ზუგდიდსა და სხვა ადგილებში, ანუ მასალა კოპირების გზით შეინახეს დაინტერესებულმა პირებმა. 3. შსს უნდა შეეძლოს გრიფით საიდუმლო მასალების შენახვა, რადგან შეიძლება მისი საჭიროების საკითხი დაისვას მომავალში. ზედმიწევნით საინტერესო ელფერი დაედო მარტვილის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ,,დანარუშნიკებას'', ნესტან კირთაძეზე თავდასხმას და კიდევ კახა კალაძის მეგობრის (თუ ნამეგობრალის) რატი სამყურაშვილის დაკავებას. მცხეთის პოლიციაში დაკავებულ ყოფილ დეპუტატს ცემის კვალი აღენიშნებაო, უთქვამთ სამყურაშვილის ოჯახის წევრებს. დაკავების მოტივი ნარკოტიკები გახლდათ. ძალიან ბევრმა იცის, რომ კალაძის მეგობრობით და მეჯვარეობით ბატონ სამყურაშვილს თავი მოჰქონდა, როცა კალაძემ პრეზიდენტ სააკაშვილს ენერგიულად შეუტია ოპოზიციონერის ამპლუით, მეგობრებს შორის შავმა კატამ გაირბინა, მაგრამ შემდეგ ისევ დათბა ურთიერთობა მათ შორის. ცალკე კრიმინალურ ქმედებად ჩაითვალა ნესტან კირთაძის მიმართ თავდასხმა (კირთაძემ აღნიშნულზე პასუხისმგებლობა შსს მინისტრს დააკისრა), არანაკლებ საგანაგაშოა სალომე ზურაბიშვილისათვის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ უარის თქმა. კონსტიტუციონალისტების აზრით, ს. ზურაბიშვილს საფრანგეთის მოქალაქეობის დატოვება მხოლოდ მაშინ ევალდებულება, თუ გახდება პრეზიდენტი.

რეალური ბატალიების მიმდინარეობის პარალელურად არ ცხრება ვირტუალური იდეათა ჭიდილიც. ამ ჯერზე არა პოლიტიკური, არამედ სატელევიზიო საკითხია ,,ცხელი თემა''. მეცხრე არხის გასხვისების დასრულებამდე ინტერნეტსივრცეში საინიციატივო ჯგუფის ქმედებები შეაფასა ერთმა აქტიურმა ინტერნეტმომხმარებელმა, თამუნა თაბუკაშვილმა, ცნობილმა ,,ტროლმა'', რომელმაც ერთხელ უკვე ,,აილო'' რასმუსენის'' ფეისბუქის კედელი და ამჯერად ეწინააღმდეგება მეცხრე არხის სააქციო საზოგადოებად გადაქცევის ინიციატორებს. მან ,,ახალ თაობასთან'' საუბარში განაცხადა: ,,როგორც სულ რამდენიმე კვირის წინ გახდა ცნობილი, შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომლის წევრები არიან: ია ანთაძე, ვასილ მაღლაფერიძე, ცოტნე გამსახურდია და ლაშა ჩხარტიშვილი. მათი მიზანი იყო და არის (თუ თვითმიზანი, ეს საზოგადოებამ განსაჯოს) უკვე ყბადაღებული თემა—ტელევიზიის შესყიდვა. საინტერესოა, როცა ეს ჯგუფი ჩამოყალიბდა, მაშინ საზოგადოებას რატომ არ აცნობეს, რამდენად მისაღები იყო ეს წარმომადგენლობა? რის საფუძველზე შეირჩა ეს წევრები? რატომ არ მოხდა ამის გასაჯაროება და სხვების აზრის გათვალისწინება? იმ სხვების, რომელთა დახმარებითაც უნდა მომხდარიყო მათი სურვილის ასრულება. რატომ გახდა მათთვის მულებელი რამდენიმე ადამიანის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ვინ უნდა ამოუდგეს მათ გვერდით? რატომ უნდა იყოს მხოლოდ სამი ადამიანი საზოგადოების წარმომადგენელი და არა ვთქვათ ექვსი? ალბათ ეს იმიტომ, რომ მათი აზრების წინააღმდეგ შეიძლება წავიდნენ, განსხვავებული პოზიცია გამოთქვან და განსხვავებული ხედვა წარმოაჩინონ ჯგუფის წევრებმა. რატომ არ იყო იმ დაინტერესებული ადამიანებსთვის ცნობილი, რომ პროექტის წარდგენა იყო საჭირო? ეს იმიტომ, რომ აქაც ჩაწყობით მიდიოდა პროცესი, ანუ ვინც მათ უნდათ და მათი აზრის გათვალისწინებით დაწერს, თუ წარადგენს ამ პროექტს, მხოლოდ ისინი ჰყავდეთ გვერდით, ხელი რომ არ შეეშალოთ თავიანთი ამბიციის განხორციელებაში.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# სტიქიის შემოტევის თვალსაზრისით 2013 წელი განსაკუთრებულია

მერი ნამორაძე

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო სტიქიით მიყენებულ ზარალს ითვლის. სამინისტროს წარმომადგენლები მინისტრის მოადგილე შოთა მურღულიას ხელმძღვანელობით 4 სექტემბრის დღის მეორე ნახევრიდან დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდნენ, რომლებიც მთელი ღამის განმავლობაში მოძრაობდნენ შავიზღვისპირა მუნიციპალიტეტებში და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელებთან ერთად ვითარებას აკონტროლებდნენ. საღამოს 8 საათიდან ინტენსიურად დაიწყო წვიმა, რომელმაც ღამის 3 საათისთვის პიკს მიაღწია. სამინისტროს მიერ წინასწარ იყვნენ გაფრთხილებული შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობები, რომლებიც მაქსიმალურად იყვნენ მობილიზებული და 24-საათიან რეჟიმში მუშაობდნენ. მობილიზებული იყო სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებები — საავტომობილო გზების დეპარტამენტი იმ შემთხვევაში, თუ პრობლემა შეექმნებოდა გზებზე უსაფრთხო გადაადგილებას; გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია – იმ შემთხვევაში, თუ ნალექის ამოტუმბვის სამუშაოებს ვერ გაუმკლავდებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობები; მუნიციპალური განვითარების ფონდი — იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდებოდა დამატებითი მაღალი გამავლობის ტექნიკისა და ფიზიკური ძალის მობილიზება.

სამინისტროს ინფორმაციით, 4-5 სექტემბრის სტიქიის შედეგად ზიანი მიადგა ქალაქ ბათუმს, ქედასა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებს. ზიანი გამოიწვია უხვმა ნალექმა (დაიტბორა გზები; გაივსო სანიაღვრე არხები; ადიდდა მდინარეები, რის შედეგადაც რამდენიმე



თვითმმართველობაში მოსახლეობას საცხოვრებელი სახლები დაეტბორა).

ძირითადი ზიანი მიადგა ქალაქ ბათუმს – დაიტბორა რამდენიმე ქუჩა; ათეულობით ოჯახს დაეტბორა საკარმიდამო ნაკვეთები; საჭირო გახდა რამდენიმე ოჯახის სხვა სახლებში გადაყვანა, რაც ოპერატიულად განახორციელა ადგილობრივმა თვითმმართველობამ და აჭარის ავტონომიურმა ხელისუფლებამ.

ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში დაზიანებულია რამდენიმე ხიდ-ბოგირი და გასაწმენდია მცირე ზომის მდინარეების კალაპოტები. ქალაქ ფოთში მნიშვნელოვანი ზიანი არ დაფიქსირებულა. ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჭალადიდში სანიაღვრე არხმა ვერ შეძლო უხვი ნალექის გატარება, რის შედეგადაც რამდენიმე ოჯახში შევიდა წყალი. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ინტენსიურად წვიმდა, თუმცა, მნიშვნელოვანი ზიანი მუნიციპალიტეტს არ მიდგომია.

მესტიისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში ფიქსირდება ზიანი, რაც, ასევე, უხვი ნალექისა და მეწყერსაშიში ზონების გააქტიურებით არის გამოწვეული.

აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში შექმნილია ზიანის დამთვლელი კომისიები, რომლებიც 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ და ინფორმაციას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აწვდიან. ოპერატიულად მოხდება ფინანსთა სამინისტროში ინფორმაციის გადაგზავნა და მთავრობის მიერ ცენტრალური ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფის შესახებ შუამდგომლობა.

საერთო ჯამში, როგორც ცენტრალურმა ხელისუფლებამ (რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, გარემოს დაცვის სამინისტრომ), ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურებმა ეფექტურად იმუშავეს და შესაძლებელი გახადეს, სტიქიის შედეგად ადამიანის ჯანმრთელობას ზიანი არ მისდგომოდა და ზარალიც ნაკლები ყოფილიყო.

როგორც რეგიონული განვითარების სამინისტროში ამბობენ, 2013 წელი სტიქიებთან დაკავშირებით განსაკუთრებულია, რადგან თითქმის ყოველკვირეულად ფიქსირდება მცირე თუ საშუალო ზომის სტიქია, რაც ზაფხულის პერიოდში უხვი ნალექით არის გამოწვეული. ასევე, ძირითად მიზეზს წარმოადგენს წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტებში შექმნილი მძიმე მდგომარეობა (ძირითადად, გაუწმენდავი სანიაღვრე არხები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ უხვი ნალექის გატარებას). სამინისტროს ინიციატივით, ყველა მუნიციპალიტეტს ეთხოვა სანიაღვრე არხებთან დაკავშირებული ინფორმაციის წარმოდგენა, რათა ერთიანი ძალებით მოხდეს ამ პრობლემის ძირითადი ნაწილის მომდევნო წლებში მოგვარება.

2013 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტებს სტიქიების სალიკვიდაციოდ, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ეტაპობრივად გამოეყო 34 მილიონ ლარზე მეტი. გრძელდება მიმდინარე კვირის ზიანის დათვლა. ჯამში, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ თანხები გამოეყო 31 მუნიციპალიტეტს. აქედან, ძირითადად, დახმარება დასავლეთ საქართველოს მუნიციპალიტეტებზე მოდის.

# იაშვილის კლინიკაში ინვესტორისგან კონსტიტუციური უფლების დარღვევა იკვეთება

მერი ნამორაძე

**იაშვილის კლინიკაში შექმნილი პრობლემა, რომელიც უცხოური ინვესტიციის შემოსვლას უკავშირდება, მთელი კვირის განმავლობაში სამედიცინო საზოგადოებისა თუ მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა. კლინიკის მედპერსონალმა არ „გადაყლაპა" ახალი მფლობელის მიერ მიყენებული შეურაცხყოფა და ხმა აიმაღლა ბატონი ატიკის წინააღმდეგ, რომლის 5-დღიანმა „მოღვაწეობამ" კლინიკის თანამშრომელთა პარალიზება გამოიწვია. ატიკმა მედპერსონალს თურქული ენის შესწავლა დაავალა, ჯვრების ტარება აუკრძალა და კედლებიდან ხატები ჩამოახსნევინა.**

გუშინ ამ ფაქტს „ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია" გამოეხმაურა, რომელმაც იაშვილის ბავშვთა საავადმყოფოში უცხოელი ინვესტორის მხრიდან კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ძირითად უფლებებში ჩარევის ნიშნებზე გაამახვილა ყურადღება.

ასოციაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ კონსტიტუციის მე-19 მუხლით გარანტირებული რწმენის თავისუფლების შეზღუდვის საფრთხე გამოიკვეთა. როგორც ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტები აღნიშნავენ, იმ ფონზე, როდესაც, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო ენა არის ქართული, ამა თუ იმ ორგანიზაციაში საკომუნიკაციო ენად უცხო ენის დამკვიდრების მცდელობა გარკვეულ კითხვის ნიშნებს ბადებს.



კლინიკაში განვითარებული მოვლენების ფაქტის სამართლებრივი შესწავლა მოსთხოვა ხელისუფლებას ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა". ჯანდაცვის სამინისტრომ უკვე დაიწყო რეაგირება და მინისტრმა სერგეენკომ კლინიკაში იძულებითი მმართველის შეყვანა არ გამორიცხა.

როგორც სერგეენკო აცხადებს, იაშვილის სახელობის კლინიკაში „უნივერსალ ჰოსპიტალ გრუპის" თურქი წარმომადგენლის თექინ ატიკის მიერ შექმნილი მდგომარეობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა განზოგადდეს თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის ჭრილში. საქმე ეხება მხოლოდ კონკრეტულ ადამიანს, რომელმაც კლინიკის სამედიცინო პერსონალის 100%-ის პროტესტი დაიმსახურა.

— ჩვენ საქმე გვაქვს ამ კონკრეტულ ადამიანთან, რომელმაც იაშვილის კლინიკის სამედიცინო პერსონალის მხრიდან იმდენად სერიოზული პროტესტი დაიმსახურა, რომელმაც საავადმყოფოს მუშაობას საფრთხე შეუქმნა. თქვენ რა ჩაიდინეთ, ამას ის მონიტორინგის ჯგუფი შეისწავლის, რომელიც კლინიკაში უკვე შევიდა. თუმცა, რა შედეგებიც მივიღეთ, ეს არის ცალსახად მიუღებელი. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერანაირ შორეულ თანამშრომლობაზე ვერ ვილაპარაკებთ. თქვენ, არ ვიცი, როგორ, მაგრამ მოახერხეთ, რომ გადაიმტერეთ და პარალიზება გაუკეთეთ მთლიანად სამედიცინო დაწესებულებას. თქვენ თვითონ თქვენივე საქციელით საფრთხე შეუქმნით ამ ინფრასტრუქტურის მუშაობას. ჩვენ ამას არ დავუშვებთ და პასუხისმგებლობას, რომ სერვისები განხორციელდეს უწყვეტად და სამუშაო პროცესი იყოს დალაგებული და არა ისე, კრაზანების ბუდე, რადაც თქვენ გადააქციეთ ეს სამედიცინო დაწესებულება. ამიტომ მისგან ვერანაირ თავის მართლებას ვერ მივიღებ და მან მართვის პირველსავე დღეებში მიუტევებელი შეცდომა დაუშვა, სამედიცინო პერსონალი გადაიმტერა, რითაც ბავშვებისათვის მკურნალობის ჩატარებას საფრთხე შეუქმნა, — განუცხადა სერგეენკომ ატიკს.

ჯანდაცვის სამინისტრო დღემდე თექიმ ატიკისგან კლინიკის მართვის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენას ელოდება, რაზეც ატიკიმ განაცხადა, რომ დოკუმენტაცია „უნივერსალ ჰოსპიტალ გრუპმა" საქართველოში უკვე გადმოაგზავნა. მისივე თქმით, მანამდე, სანამ ეს დოკუმენტაცია არ ჩამოვა, ის კლინიკაში არც მივა და არც დარეკავს. იაშვილის კლინიკაში შექმნილი ვითარების გამო ატიკმა ბოდიში მოიხადა.

## ქრთამის აღების ფაქტზე შსს-ს თანამშრომლებმა მაღალჩინოსანი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, 1966 წელს დაბადებული ბორის მიქავა დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბორის მიქავამ, მარტვილის რაიონში, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული, ე.წ. „კანიონის" ტერიტორიაზე მდებარე 2500 კვ/მ ფართობის მიწის მასივის გასხვისებაში, თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით დახმარებისა და სამსახურებრივი მფარველობის სანაცვლოდ, ქრთამის სახით 5000 ლარი აიღო. ამასთან, მიწის შეძენით დაინტერესებულ პირს დაპირდა, რომ სამსახურებრივ მფარველობას გაუწევდა და საშუალებას მისცემდა ზემოთხსენებულ ტერიტორიაზე მშენებლობა, კანონით სავალდებულო სამშენებლო ნებართვისა და პროექტის დამტკიცებამდე დაეწყო.

ბორის მიქავა ფაქტზე დააკავეს. გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე, სსსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით, 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებას შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

ნიუსპრესი

## შს მინისტრის მოადგილემ გერმანული საფლაგმანო გემი დაათვალიერა

ბათუმში ე.წ „საპორტო ვიზიტის" ფარგლებში, ნატოს საზღვაო სარდლობის მუდმივმოქმედი საზღვაო გამნაღმველი „ჯგუფი 2-ის" გემების დახვედრის ცერემონიალს, დღეს შს მინისტრის მოადგილე ვახტანგ გომელაური დაესწრო და სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა. გამოსვლის დროს მან საქართველო-



ნატოს ურთიერთობაში დღევანდელი ვიზიტის მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ნატოს საზღვაო სარდლობის საქართველოში ვიზიტი წელს პირველად შედგა.

ვახტანგ გომელაურმა სიტყვით გამოსვლისას ასევე ისაუბრა ნატო-საქართველოს პარტნიორობაზე და ნატოს ოპერაციებში საქართველოს მიერ შეტანილ წვლილზე. ცერემონიალის დასრულების შემდეგ, შს მინისტრის მოადგილემ გერმანული საფლაგმანო გემი დაათვალიერა. ასევე მოეწყო პრესტური, სადაც მედიის წარმომადგენლებს გემების ტექნიკური შესაძლებლობები გააცნეს.

ბათუმში ნატოს გაერთიანებული საზღვაო სარდლობის შტაბის უფროსის მოადგილე, კომოდორე (ადმირალი) არიან მაინდერჰუდი, შეხვედრებს შინაგან საქმეთა

სამინისტროს წარმომადგენლებთან, მათ შორის სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელობასთან და საქართველოს მთავრობის სხვა წევრებთან გამართავს. ვიზიტის ფარგლებში, გემის ეკიპაჟები შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვისა და თავდაცვის სამინისტროს სპეცდანიშნულების ძალების საზღვაო მყვინთავებთან ერთად ზღვის ფსკერზე ერთობლივ წვრთნებს ჩაატარებენ. დაგეგმილია ასევე ხანძარსაწინააღმდეგო თეორიული წვრთნები, რომელშიც მონაწილეობას შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო და ქალაქის შესაბამისი სამსახურები მიიღებენ. აღსანიშნავია, რომ მსგავსი „საპორტო ვიზიტი" საქართველო — ნატოს

პარტნიორობის ისტორიის მანძილზე პირველად ხორციელდება.

ნიუსპრესი

## ქრთამის აღების ფაქტზე სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტი დააკავეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს

თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი, 1955 წელს დაბადებული მალხაზ მიტიჩაშვილი დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ მალხაზ მიტიჩაშვილმა თურქეთის რესპუბლიკაში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზარალებული მოქალაქის წარმომადგენელს, სამსახურებრივი მდგომარეობისა და მისი თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით, გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ, დაზარალებულისთვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დამძიმებული სამედიცინო დასკვნის დაჩქარებულ ვადებში გაცემას დაპირდა, რისთვისაც მან ქრთამის სახით მოითხოვა და აიღო 4000 აშშ დოლარი. მალხაზ მიტიჩაშვილი ამჟამად დაკავებულია. გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე, სსსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით, თავისუფლების აღკვეთას ვადით 6-დან 9 წლამდე ითვალისწინებს.

გამოძიებას შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

ნიუსპრესი

# ვალერიან გორგილაძე: „საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ტური გარდაუვალია“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ სოციოლოგ ვალერიან გორგილაძესთან

***— ბატონო ვალერიან, მოდით, შევაფასოთ ბოლო პერიოდის პოლიტიკური პროცესები. პრემიერმინისტრმა უკვე საჯაროდ განაცხადა, რომ ის მიდის პოლიტიკიდან. თქვენი აზრით, რა პროცესები შეიძლება გამოიწვიოს მისმა წასვლამ? თავად კი აცხადებს, რომ ძლიერ გუნდს ტოვებს, მაგრამ რატომღაც ეჭვი ეპარება საზოგადოებას ამაში...***

— მე არ მივეკუთვნები იმ ადამიანთა რიცხვს, ვინც გამუდმებით მოუწოდებს პრემიერს, რომ დაფიქრდეს, ადანაშაულებს უპასუხისმგებლობაში და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. მე ვფიქრობ, რომ ბიძინა ივანიშვილმა ისტორიული მისია შეასრულა. მან პრაქტიკულად მნიშვნელოვანი ბერკეტები ჩამოართვა ნაციონალურ მოძრაობას. მე ვერ ვიტყვი, რომ დღეს ის მთლიანად არის განდევნილი პოლიტიკური სივრციდან, მაგრამ ეს არის მომაკვდინებელი დარტყმა, რომელიც მან მიაყენა და უპირველესად ეს, რა თქმა უნდა, არის ბიძინა ივანიშვილის დამსახურება. რა თქმა უნდა, თავისუფალია პიროვნება, თავისუფალი ნების მატარებელია და მას აქვს უფლება, წავიდეს პოლიტიკიდან, შემოვიდეს პოლიტიკაში, წავიდეს მესამე სექტორში, გააგრძელოს ბიზნესსაქმიანობა, ამას მას ვერავინ აუკრძალავს. ივანიშვილი არის ზრდასრული ადამიანი და ის რაციონალურად აკეთებს ყველაფერს. ვერავინ იტყვის, რომ ივანიშვილი არ არის პრაგმატულად მოაზროვნე ადამიანი. აქედან ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პოლიტიკა მაინცდამაინც არ წარმოადგენს მისი ინტერესის სფეროს. ეს არის საკმაოდ რთული საქმიანობის სფერო, რომელიც განსხვავდება ბიზნესისგან. ჩვენ არ უნდა დავუკარგოთ ამ ადამიანს, რომ უდიდესი როლი შეასრულა ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ის რომ მესიანისტური მოლოდინები საზოგადოებაში უნდა დასრულდეს, ამაშიც აბსოლუტურად ვეთანხმები, მაგრამ საქმე ისაა, რომ მის წერილში არის ეს მესიანიზმი.

***— კონკრეტულად რას გულისხმობთ?***

— როდესაც ის ამბობს, რომ მე წავალ პოლიტიკიდან, მაგრამ თუ დასჭირდება ქვეყანას, კვლავ დავუბრუნდები პოლიტიკას. აქ არის გარკვეული ორაზროვნება, შთაბეჭდილება იქმნება, ის ებრძვის მესიანიზმს, მაგრამ იდენტიფიკაციას მაინც ახდენს, უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ შესაძლოა დაბრუნდეს და გადაარჩინოს კვლავ ერი და ქვეყანა.

***— ბევრმა ისიც იფიქრა, რომ ის ოპოზიციაში წავა და საჭირო მომენტში კვლავ დაბრუნდებაო, თქვენ თუ ეთანხმებით ამ მოსაზრებას?***

— ხელისუფლებაში იყო და საკუთარი ნებით ოპოზიციაში გადახვიდე, ეგეთი რამე ისტორიას არ ახსოვს. იმიტომ, რომ ნებისმიერი პოლიტიკოსის მთავარი ამოცანა არის ხელისუფლებაში მოსვლა და არა ოპოზიციაში წასვლა. გარკვეულწილად მესიანიზმიო, სხვა რამეშიც ჩანს, როდესაც ბიძინა ივანიშვილი ამბობს, რომ ის წავა მესამე სექტორში, შეეცდება მის გაძლიერებას, კვალიფიკაციის ამაღლებას და აქედან ჩანს, რომ ის ფიქრობს ქმედითი კონტროლის დამყარებას სახელისუფლო შტოებზე.

***— ეს რამდენად შესაძლებელია?***

— სწორედ ამიტომ, აქაც არის გარკვეული მესიანიზმი, ადამიანი, რომელიც არ არის აღჭურვილი სახელმწიფო თანამდებობით, მოკლებულია მართვის ბერკეტებს და ამისდა მიუხედავად აპირებს კონტროლის დაწესებას ხელისუფლებაზე.

***— ბევრმა ისიც თქვა, რომ რუხი კარდინალის ფუნქციებს შეითავსებსო...***

— ბიძინა ივანიშვილი ვერ იქნება რუხი კარდინალი. რუხ კარდინალებზე საერთოდ ასე ინტენსიურად არ საუბრობენ. რუხი კარდინალი ამიტომაც არის რუხი, რომ ის არ ჩანს და ისე იღებს კულუარულ გადაწყვეტილებებს. იმის გამო, რომ ბიძინა ივანიშვილი დღეს არის ყველაზე ავტორიტეტული, პოპულარული პოლიტიკური მოღვაწე, საზოგადო მოღვაწე თუ ბიზნესმენი, აქ რუხი კარდინალობა აბსოლუტურად გამორიცხულია. აქ ყველაფერი საჯარო იქნება და რთული იქნება რაიმე დაიმალოს.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ შეძლებს ის, მესამე სექტორიდან მართოს ხელისუფლება და ასე დაეხმაროს ქვეყანას?***

— ეს არის დამოკიდებული ბიძინა ივანიშვილზე და საზოგადოებაზე. თუ ბიძინა ივანიშვილის საქმიანობა მოიპოვებს მხარდაჭერას მოსახლეობაში, შეიძლება მართლაც უნიკალური ვითარების მომსწრენი გავხდეთ, როდესაც ადამიანი, რომელიც ფორმალურად არ იმყოფება ხელისუფლებაში, არის ხელისუფლებაზე გავლენიანი. ახლა იმის გათვალისწინებით, რომ უნიკალურ მოვლენასთან გვაქვს საქმე, ამ ადამიანის კაპიტალი რამდენჯერმე აღემატება ქვეყნის ბიუჯეტს, ეს სულაც არ არის წარმოუდგენელი. ამდენად, მოსახლეობაზე იქნება დამოკიდებული, მსგავსი მოდელის დანერგვა აწყობს საზოგადოებას? მოსახლეობას? არის შემთხვევები, როდესაც პოლიტიკური ლიდერი არ არის აღჭურვილი თანამდებობით, მაგრამ ლიდერის სტატუსს ინარჩუნებდა. მაგალითად ძალიან ხშირად ახსენებენ მაჰათმა განდის ან დენსიაო პინს, რომელსაც არანაირი ბერკეტი არ ჰქონდა, მაგრამ მისი ავტორიტეტი ხალხში ძალიან დიდი იყო. ახლა პარალელების გავლება შორს წაგვიყვანს. ნებისმიერ შემთხვევაში ეს სულ სხვა მოვლენაა. ბიძინა ივანიშვილს, მის ავტორიტეტს განაპირობებს ბევრი ფაქტორი. ერთ-ერთი უპირველესი ფაქტორი არის ის კაპიტალი, რომელიც მას გააჩნია. ეს უპრეცედენტო ქველმოქმედება, მეცენატობა, რასაც ახორციელებდა ბიძინა ივანიშვილი, ეს არის მთავარი ინვესტიცია, რომელიც მან განახორციელა და რომელმაც განაპირობა მისი ავტორიტეტი, მისი პოპულარობა. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, პირველ რიგში იმ ქველმოქმედებით და იმ პოზიტიური ქმედებებით არის განპირობებული, რაც მას ჰქონდა განხორციელებული ხელისუფლებაში მოსვლამდე.

***— სწორედ ასეთ იავნიშვილს იცნობდა ხალხი, მითები დადიოდა მის ქველმოქმედებაზე და ალბათ სწორედ ამან განაპირობა ამხელა ნდობა და მხარდაჭერა...***

— კი ბატონო, სწორედ ეს არის. გარდა ამისა, არის ტენდენცია, ბიძინა ივანიშვილი ბევრად უფრო პოპულარული იყო და გაცილებით დადებითი დამოკიდებულება ჰქონდა საზოგადოებას მის მიმართ, მაგალითად, ერთი წლის წინ, ვიდრე ის პოლიტიკაში შემოვიდოდა. რადგან პოლიტიკაში მოსვლას ყოველთვის თან სდევს გარკვეული იმედგაცრუებები, ზიანდება ამ დროს რეპუტაციაც, იმიჯიც და ასე შემდეგ. ამასაც ალბათ ითვალისწინებს, როდესაც წასვლა აქვს გადაწყვეტილი. თუმცა მთავარი, მე რაც მგონია, არის ის, რომ სახელმწიფო სამსახურში ყოფნა მისთვის ქმნის ძალიან დიდ დისკომფორტს. ის არ არის თავისუფალი, ის არის შეზღუდული სხვადასხვა რეგლამენტაციებით, სხვადასხვა ნორმებით, რომელიც არის გამეფებული სახელმწიფო უწყებაში. ეს არის გარკვეული ეტიკეტი, დაწერილი თუ დაუწერელი ნორმები და კანონები, ის ამ შეზღუდვებს გრძნობს და ცდილობს, რომ განთავისუფლდეს ამისგან. გარა ამისა, ივანიშვილის ხელისუფლებაში ყოფნა მის ოპონენტებს აძლევს საფუძველს, რომ ის შეაფასონ როგორც ოლიგარქი, მილიარდერი, რომელიც ამავე დროს ფლობს ფაქტობრივად ყველაზე დიდ პოლიტიკურ თანამდებობას. აი, ამ პრობლემის მოგვარებით, ის არ აძლევს ფორმალურ არგუმენტს საიმისოდ, რომ ვინმემ დაუძახოს მას თუნდაც ოლიგარქი. ის იქნება დისტანცირებული ყოველგვარი სახელმწიფო მართვის ბერკეტებისაგან.

***— რაც შეეხება მის გარეშე დარჩენილ პოლიტიკურ გუნდს, მინისტრთა კაბინეტს, რამდენად არის ის მართლაც ძლიერი და შეძლებს ივანიშვილის გარეშე ქვეყნის მართვას?***

— თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ თავად პრემიერი და კოალიციის სხვა წევრებიც, ღიად, დაუფარავად საუბრობენ იმაზე, რომ კოალიცია ადრე თუ გვიან დაიშლება და მე მაქვს ეჭვი, რომ ამ კოალიციის დაშლის პროცესი პრემიერის წასვლის შემდეგ დაჩქარდება და პრაქტიკულად ჩვენ ვიხილავთ დაშლილ კოალიციას. კოალიცია შეიძლება მრავალ სუბიექტად იყოს დაშლილი და ამ თვალსაზრისით რა კონფიგურაცია შეიძლება შეიქმნას პარლამენტში და როგორ გადალაგდეს ეს პოლიტიკური დაჯგუფებები, ეს კიდევ სხვა თემაა. თუმცა დაშლა გარდაუვალია და ჩვენ ალბათ ვნახავთ, რომ შეიქმნება ახალი კოალიცია. ან კიდევ ჩვენ გავხდებით მოწმენი უკვე საპარლამენტო სამთავრობო კრიზისისა და რაკი ჩვენი ქვეყანა გადადის უკვე საპარლამენტო მოდელზე, სამთავრობო კრიზისი სულაც არ იქნება უჩვეულო მოვლენა საქართველოსთვის. აქ კიდევ არის ერთი ძალზე მნიშვნელოვანი მომენტი, ბიძინა ივანიშვილის წასვლით, მთავრობაც და პარლამენტში არსებული სუბიექტები, პრაქტიკულად ყველა, დგას გარკვეული კრიზისის წინაშე. ანუ მე ვგულისხმობ ლეგიტიმაციის ნაკლებობას. რას ვგულისხმობ, როდესაც მოსახლეობა აძლევდა ხმას კოალიცია ქართულ ოცნებას, ის უპირველესად ხმას აძლევდა ბიძინა ივანიშვილს. იმ 60%-იანი რეიტინგის 55% ალბათ ეკუთვნოდა



პერსონალურად ბიძინა ივანიშვილს. აქედან გამომდინარე, რამდენად მართებულია, რომ ის სუბიექტები, რომლებიც მთავრობაში და პარლამენტში დარჩებიან, მისი რეიტინგით სარგებლობდნენ? რომ არა ბიძინა ივანიშვილი, ქართული ოცნება ამდენ მანდატს ვერ მოიპოვებდა.

***— და ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მივდივართ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებამდე?***

— დიახ. იმისდა დამოუკიდებლად, ვინ გაიმარჯვებს საპრეზიდენტო არჩევნებში, აუცილებლად დადგება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება დღის წესრიგში და ეს იქნება ერთ-ერთი აქტუალური საკითხი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ.

***— ბატონო ვალერიან, რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებს, კანდიდატების რეიტინგს, თქვენ როგორც სოციოლოგი და ამ საქმის კარგი სპეციალისტ, როგორია თქვენი შეფასებები? თავისთავად ცხადია, რომ პრემიერი მარგველაშვილს უჭერს მხარს, მაგრამ ის გამორიცხავს მეორე ტურს და აცხადებს, რომ უალტერნატივოა მარგველაშვილი და ის დიდი უპირატესობით პირველივე ტურში გაიმარჯვებსო...***

— პირიქით, მე შემექმნა შთაბეჭდილება, როდესაც პრემიერი საუბრობდა მარგველაშვილის შანსებზე, ის არ იყო იმდენად დარწმუნებული, როგორიც, მაგალითად, იყო ერთი თვის წინ, ან ორი თვის წინ. ღია წერილში პრაქტიკულად პრემიერმა თქვა, რომ მის წასვლას შეიძლება ხელი შეუშალოს მარგველაშვილის დამარცხებამ, ხოლო ბოლო პრესკონფერენციაზე თქვა, რომ ის შეეცდება ყველანაირად, რომ მარგველაშვილი გახდეს პრეზიდენტი, რომ მის უკან ის დგას და მარგველაშვილის ლანძღვა მის ლანძღვას ნიშნავს და ასე შემდეგ. ანუ აქ უკვე იყო გარკვეული სკეპტიციზმი ივანიშვილის, ანუ ის დამაჯერებლობა, ის ტონალობა, რომ ის არის ერთადერთი ფავორიტი, რომელიც აუცილებლად გაიმარჯვებს პირველ ტურში, მე მომეჩვენა, ყოველ შემთხვევაში, რომ ეს ნაკლებად დამაჯერებელი იყო. რა თქმა უნდა, პრემიერი უნდა ფლობდეს ამ სოციოლოგიურ მონაცემებს, რომლებიც ასახავენ არასახარბიელო პერსპექტივას მმართველი კოალიციის კანდიდატისთვის.

***— დიახ, ამაზეც მინდოდა რომ მეკითხა...***

— მე არ ვისაუბრებ იმ რეიტინგებზე, რომლებსაც ამას წინათ გვთავაზობდნენ „ქართული ოცნების“ დაკვეთით ჩატარებული გამოკითხვიდან. ეს სასაცილო რეიტინგებია. „აირაის“ და „ენდიაის“ კვლევებიც კი არ აფიქსირებენ ესეთ შედეგებს. სამაგიეროდ მონაცემების მოხედვით, რომლებსაც მე ვფლობ, აქ ერთი რამ არის გამოკვეთილი, რომ მეორე ტურის გარეშე ეს არჩევნები ვერ ჩაივლის, მეორე არის ის, რომ მეორე ტურში სავარაუდოდ იქნებიან მარგველაშვილი და ნინო ბურჯანაძე და მესამე ვარაუდი — თუკი მესამე ტური შედგა, მე გამიჭირდება ფავორიტის დასახელება. ანუ ბურჯანაძის გამარჯვება იქნება ისეთივე მოსალოდნელი, როგორიც, მაგალითად, მარგველაშვილის გამარჯვება.

***— რასაც ეწინააღმდეგება როგორც ოცნება, ისე ნაციონალები. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ერთიანები არიან ამ საკითხში, ორივე ძალისთვის მიუღებელია ნინო ბურჯანაძე... რატომ?***

— ორივე ძალისთვის მიუღებელია იმიტომ, რომ ორივე ძალას აქვს თავისი ამოცანა — ზოგს სტრატეგიული, ზოგს ტაქტიკური. მაგალითად, ნაცმოძრაობა ინარჩუნებს მცირე ადეკვატურობას მაინც და იცის, რომ მისი მთავარი ამოცანა არის მეორე ადგილის დაკავება და დაფიქსირება კვლავ, რომ ის პოლიტიკური ძალა და ალტერნატიული ძალაა. ის ამით შეეცდება გარკვეული რესურსების მობილიზაციას და უკვე შემდგომი რებრენდინგის განხორციელების შემდეგ, ორ-სამ წელიწადში ალბათ მოემზადება გარკვეული დარტყმებისთვის. ეს სცენარი სულაც არ არის არარეალური. თუკი ნაცმოძრაობა მოახერხებს რეანიმაციას, რეაბილიტაციას და რებრენდინგს, მას გააჩნია რესურსები, მათ შორის ფინანსური რესურსები, მათ შორის ასეთი ბირთვი-მონოლითური, ვინაიდან პარტია ინარჩუნებს გარკვეულ რეიტინგს, რომელიც 10%-მდე შეადგენს და სწორე ეს არის ნაცმოძრაობის ტაქტიკური ამოცანა, გადარჩენა და შემდგომ უკვე კვლავ ბრძოლა ძალაუფლებისათვის. რაც ქართული ოცნებას, აქ ერთ-ერთი მთავარი არის ის, რომ ხელისუფლებას აქვს ტოტალური ჩავარდნა საგარეო ურთიერთობების ასპექტში. ჩვენ იმასაც კარგად ვხედავთ, როგორი დამცველები ჰყავს ნაციონალებს დასავლეთში, ამდენად, ეს ტაქტიკური ზავი ქართულ ოცნებას აძლევს საშუალებს, შეასუსტოს ის დარტყმები, რომელიც მოდის დასავლეთიდან და ამას აკეთებს კოჰაბიტაციის დემონსტრირებით და ჩვენებით, მაგალითად, თუნდაც ის ჰიპოთეტური მეორე ადგილი, რომელიც შესაძლოა ბაქრაძეს ერგოს... ამით ქართულ ოცნებას ეძლევა შესაძლებლობა, აჩვენოს დასავლურ დემოკრატიას, როგორ თანამშრომლობს ამ ძალასთან, არის კოჰაბიტაციურ რეჟიმში და მუშაობს ქვეყნის საკეთილდღეოდ.

***— ამიტომაც აწყობთ მათ მეორე ადგილზე ბაქრაძე და არა ბურჯანაძე...***

— რა თქმა უნდა, ნაცმოძრაობა არის ძალიან კომფორტული სპარინგპარტნიორი, რომელიც აბსოლუტურად გაკოტრებულია პოლიტიკური კაპიტალის თვალსაზრისით. ასეთი სპარინგპარტნიორის ყოლა პრინციპში სასურველია ნებისმიერი მმართველი კოალიციისთვის.

***— ე.ი. თქვენ მაინც ფიქრობთ, რომ ამ არჩევნებში მეორე ტური გარდაუვალი ცნებაა?***

— იმ არაერთი, რამდენიმე სოციოლოგიური მონაცემიდან, რომელიც არ ქვეყნდება და ყოველთვის სანდოა ის, რაც არ ქვეყნდება, ხომ? არსად ახლოც კი არ არის ეს პერსპექტივა — მხოლოდ პირველი ტურისა.

***— თქვენ რა მონაცემებს ფლობთ, თუ შეგიძლიათ თქმა, დაახლოებით როგორ ნაწილდება კანდიდატთა რეიტინგები? როგორია პროცენტული მაჩვენებელი?***

— მე არ შემიძლია პროცენტული მაჩვენებლის დასახელება. ეს კონფიდენციალური ინფორმაციაა, სხვადასხვა დამკვეთები არიან და ამას ვერ გავასაჯაროებ. ერთი რამის თქმა შემიძლია, არ არის გამორიცხული, რომ შესაძლოა ჩვენ გავხდეთ მოწმენი მოსალოდნელი სენსაციისა, სადაც მაგალითად პირველივე ტურში ბურჯანაძემ დაიკავოს პირველი ადგილი და მეორეთი დაკმაყოფილდეს მარგველაშვილი, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მეორე ტური არის გარდაუვალი. გეტყვით, რომ პირველ ტურში, ვერც ერთი კანდიდატი ვერ აიღებს 50%-ზე მეტს.

***— გამოდის, რომ ბიგვავას კვლევები რეალობას ვერ ასახავს?***

— გამოკითხვა, რომლის მიხედვითაც გიორგი მარგველაშვილს უფრო მაღალი რეიტინგი აქვს, ვიდრე ბიძინა ივანიშვილს, წარმოადგენს არა სოციოლოგიურ კვლევას, არამედ მეტაფიზიკურ ფენომენს. ყველამ კარგად ვიცით, რომ მარგველაშვილის რეიტინგი დიდწილად არის განპირობებული ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერით, ამას არც მარგველაშვილი მალავს.

# ამბიციურობა დაღუპავს საქართველოში ცნობად ადამიანებს

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ჩემი, როგორც ერთ-ერთი წარმომადგენლის იმ მრავალრიხოვანი საზოგადოებისა, მიუღებელია ამ ჯგუფის დამფუძნებელი პიროვნებები. ალბათ სხვებსაც აქვთ ასეთი დამოკიდებულება მათ მიმართ, რადგან უამრავი ადამიანის პროტესტი დავინახე, კამათის დროს. მოდით განვიხილოთ თითოეული მათგანი, ვინც ინიციატივის სადავეები აიღო ხელში. ია ანთაძე და ვასილ მაღლაფერიძე მისაღები კანდიდატურებია, თავიანთი გამოცდილებიდან გამომდინარე, რომელიც მათ ტელესივრცეში და მედია საშუალებებში გააჩნიათ. თუმცა საკითხის გადაწყვეტის დროს, მათი ბობოქარი წინააღმდეგობა მიუღებელია. ეს ორი ადამიანი, მხოლოდ თავიანთი აზრის მოწოდების დონეზე დგანან იმ ხალხის წინაშე, რომელთა მიერ უნდა მოხდეს, მათი კიდევ ერთი აღზევება.

რაც შეეხებათ დანარჩენ ორ წევრს: ცოტნე გამსახურდია, არის საკმარისად განათლებული და ინტელექტუალური პიროვნება, მაგრამ ხალხთან საუბარში მოიკოჭლებს. მისი ამბიციაც გასაგებია, ის ხომ ბავშვობიდან არის მიჩვეული პოპულარობას და ვერ იტანს, მის მიმართ გამოთქმულ პრეტენზიებს. ლაშა ჩხარტიშვილი: მარტოსული რევოლუციონერი, რომელსაც ჰგონია, რომ თუ პოლიციას წინააღმდეგობას გაუწევს და დააკავებენ, მაშინვე გმირად უნდა გამოაცხადონ. გმირები საქართველოს უამრავი ჰყავდა და ეყოლება, მაგრამ ლაშა ჩხარტიშვილი, ამ სტატუსისთვის ნამდვილად არ გამოდგება. არც პოლიტპატიმრობის იმიჯით უნდა ბაქიაობდეს. რაც დასანახია, ხალხი თვითონ დაინახავს და იქნებ გმირობასაც გამოჰკრას მერე ხელი. მაგრამ ახლა, როცა ეს „პოლიტპატიმარი“ და „გმირი“, მხოლოდ იმის გამო ისჯის თავს, რომ მერე ციხიდან გამოსულმა იყვიროს, ნახეთ რა მაგარი ბიჭი ვარო. ამის გამო არ უნდა მოხვდეს იმ ჯგუფში, რომელიც საზოგადოების სახელით გამოდის.

საინტერესოა ერთი რამ კიდევ, რომ მიაღწიოს ამ ჯგუფმა მიზანს და დასხდნენ იქ, სადაც ასე ძალიან ილტვიან, მაშინ გაითვალისწინებენ იმ ადამიანების აზრს, ვისი მეშვეობითაც სკამებს დაიწილებენ? ახლა თუ ვერ იტანენ ეს ადამიანები ხალხის კრიტიკას და არ სურთ პასუხი გასცენ იმ კითხვებზე, რომელიც ბუნებრივად ჩნდება, მერე იქნებიან კომუნიკაბელურები?

ამბიციურობა დაღუპავს საქართველოში ცნობად ადამიანებს, რომლის დამალვასაც ძალიან ცდილობენ, მაგრამ არ გამოუდით“.

„ახალი თაობა“ ცდილობდა კომენტარის მოპოვებას აღნიშნულ საკითხზე, ცოტნე გამსახურდიამ თქვა, რომ მოგვიანებით გააკეთებს კომენტარს, ხოლო ვასილ მაღლაფერიძესთან და ლაშა ჩხარტიშვილთან დაკავშირება ვერ მოხერხდა. „ამბიციური“ და „სკამის მოტრფიალე“ ადამიანები მოახერხებენ თუ არა კიდევ ერთი ტელევიზიის მკვდრეთით აღდგომას, ეს უფრო მაინც ბიძინა ივანიშვილთან არის დაკავშირებული და არა სამოქალაქო საზოგადოებასთან, რომელიც ჯერ კიდევ უმწიფარია. როცა სოციალური აქციის წამოწყების დრო (აქცია გულისხმობდა ყრუ-მუნჯი ბავშვებისათვის კომპიუტერის შეძენას) ადამიანი იკითხავს, ამ ბავშვებისათვის ეგებ კომპიუტერზე უფრო ლობიო იყოს მნიშვნელოვანიო, ზედმეტად ხომ არ მოგვდის ტელევიზიის „ჩაქციორება?“

# მარკო როისი: „ადამიანი არასდროს არ უნდა დანებდეს!“

ჰენრიხ მხითარიანს „დორტმუნდში“ პატივს ნამდვილად სცემენ, თუმცა ჯერ ისე არ უყვართ, როგორც „ბაიერნში“ გადაბარგებული მარიო გიოტცე და ამიტომაცაა, რომ დორტმუნდელთა ქომაგებს მარკო როისზე მზე და მთვარე ამოსდით და გიჟდებიან მასზე.

გიოტცეს წასვლის მერე სწორედ 24 წლის როისია დორტმუნდელთა უსაყვარლესი კერპი, რომელზეც მთელ გერმანიაში უდიდეს იმედებს ამყარებენ და სრულიად ლოგიკურადაც!

როისთან ინტერვიუ გაზეთ „ბილდში“ გამოქვეყნდა.

— როგორ ფიქრობთ, მარიო გიოტცეს ბავარიული ტყავის შარვალი უხდება?

—მხოლოდ ვიზუალური მხარით თუ ვიმსჯელებთ, მაინცდამაინც არ უხდება. მარიო სხვა არაერთ ტანსაცმელში მყავს ნანახი, სადაც მშვენივრად გამოიყურება და მიმაჩნია, რომ ბავარიული სამოსი ნაკლებად უხდება.

—თავად თუ გცმიათ ოდესმე ტყავის შარვალი?

— ჰო, მაგრამ ეს დიდი ხნის წინ იყო, არ მომეწონა დიდად და მას მერე აღარც ჩავიცვამ.

—ანუ „დორტმუნდის“ ქომაგებს შეუძლიათ, მშვიდად იყვნენ?

—აუცილებლად! „ბორუსიაში“ თავს იმდენად კარგად ვგრძნობ, რომ სხვა კლუბები ჩემს გადაბირებაზე ტყუილად იწვალებენ.

— ამის თქმის მიუხედავად, „ბორუსიას“ სპორტულ დირექტორ მიხაელ ცორკს თქვენი კონტრაქტის ერთ-ერთი პუნქტის გამოსყიდვა უნდა, რათა დორტმუნდელები ყველანაირად დაზღვეული იყვნენ იმისგან, რაც გიოტცეს შემთხვევაში მოხდა. საუბარია პუნქტზე, რომლის მიხედვითაც თქვენ დორტმუნდიდან წასვლა გარკვეული თანხის გადახდის შემთხვევაში შეგიძლიათ. ეს შესაძლებელია?

—„დორტმუნდის“ ხელმძღვანელებთან სალაპარაკოდ ყოველთვის მზად ვარ, თუმცა ახლა ეს თემა ჩემთვის არათუ მეორე, სულაც მესამეხარისხოვანია. მომავალზე საერთოდ არ ვფიქრობ. ჩემი ერთადერთი საფიქრალი ახლა ყოველი მომდევნო თამაშია.

— არ გენატრებათ გიოტცე?

— რა თქმა უნდა, ყოველთვის მოგენატრება ისეთი ფეხბურთელი, რომელსაც არა მარტო მოედანზე, არამედ მოედანს მიღმაც ძალიან კარგად უგებდი, თუმცა ყველას თავისი გზა აქვს. ნებისმიერი ადამიანის არჩევანს ნებისმიერ ვარიანტში ყველამ პატივი უნდა სცეს.

—„ბაიერნის“ ფრაიბურგში წაფორხილებით ისარგებლეთ და ლიდერობა დაიბრუნეთ. როგორ ფიქრობთ, „დორტმუნდი“ გერმანიის ჩემპიონობას დაუბრუნდება?

— სხვებს არ უნდა ვუყუროთ, მხოლოდ ჩვენს თამაშებზე უნდა ვიფიქროთ. გადახედეთ ბოლო წლებში „ბაიერნისა“ და „დორტმუნდის“ ურთიერთშეხვედრებს — უშუალოდ „ბაიერნთან“ მატჩებში პრობლემები არ გვექმნება ხოლმე. მთავარია, სხვა გუნდებთან არ დავკარგოთ ქულები.

— „დორტმუნდმა“ გერმანიის ჩემპიონობა ზედიზედ ორჯერ თქვენ გარეშე მოიპოვა.

— 24 წლის ვარ, ტალანტად აღარ ვითვლები. შესაბამისად, მოვიდა იმის დრო, რომ ტიტულები მოვიგო. ჩემი მიზანიც ისაა, რომ კარიერის ბოლოს არაერთი ტიტული მქონდეს მოგებული.

—დღემდე რამდენი ტიტული გაქვთ მოგებული?

— მხოლოდ გერმანიის სუპერთასი, რომელიც ახლახან მოვიგეთ. სხვა მხრივ, მხოლოდ პირადი ჯილდოებითა და წოდებებით თუ დავიკვეხნი.

— როგორ ფიქრობთ, ამ სეზონში რომელიმე ტიტულს მოიგებთ?

— ადრეც ვთქვი, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა ჩემთვის სენსაცია არ ყოფილა. საოცრად კარგ ფეხბურთს ვთამაშობთ, საკმაოდ კარგი გუნდი გვყავს და ფინალში გასვლა სწორედაც, რომ ლოგიკური იყო! მჯერა, რომ მალე კიდევ გავალთ ჩემპიონთა ლიგის ფინალში. ფაქტია, რომ თამაშს წლიდან წლამდე ვაუმჯობესებთ. ზაფხულში მართლა მაგარი ფეხბურთელები გადმოვიყვანეთ — „ბორუსიას“ განსაკუთრებით კარგად ობამეიანგი და მხითარიანი მოერგნენ. ტემპსაც უფრო და უფრო ვუმატებთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ტიტულების მოგების შანსი იზრდება. საერთო ჯამში, მიმაჩნია, რომ ამ სეზონში „დორტმუნდი“ უფრო უკეთესი გუნდია.



— ამ სეზონში „ბორუსიამ“ ყველა ოფიციალური მატჩი მოიგო — ოთხი ბუნდესლიგაში, ერთი თასზე და გერმანიის სუპერთასი. წაგების გემო ხომ არ დაგავიწყდათ?

— არა, ორიოდე დღის წინ მატს ჰუმელსთან მაგიდის ჩოგბურთში 4:5 დავმარცხდი და ამ წაგების გამო გული ძალიან დამწყდა. არ ვხუმრობ, მართლა გავბრაზდი!

— რატომ?

— იმიტომ, რომ გაცილებით უკეთ ვთამაშობდი და 4:3-საც ვუგებდი, მაგრამ მერე ბევრი შეცდომა დავუშვი და აი, შედეგიც.

— „დორტმუნდი“ ძალიან სწრაფ ფეხბურთს თამაშობს და, წესით, ჩვენს სწრაფ კითხვებზე პასუხების სწრაფადვე გაცემაც არ უნდა გაგიჭირდეთ.

— შევეცდები. აბა, დავიწყოთ!

— ჯეიზი თუ ჯასტინ ბიბერი?

— ორივე.

— რიანა თუ მაილი საირუსი?

— რიანა.

— „ტვიტერი“ თუ „ფეისბუქი“?

— ორივე.

— ინტერნეტში სასიყვარულო წერილები მოგდით?

— ხანდახან მომდის ხოლმე. რამდენიმე ლექსიც კი მომიძღვნეს. არც კი მჯეროდა, რომ ფანებს ამდენი რამის მოფიქრება შეეძლოთ.

— საოცნებო პაემანზე რომელ ქალბატონს დაპატიჟებდით?

— მსახიობ შარლიზ ტერონს.

— შეყვარებული არ ხართ?

— ახლა არა.

— მამიკოს ბიჭი იყავით თუ დედიკოს ბიჭი?

— ორივე.

— ჯარიმა თუ პენალტი?

— ჯარიმა. სხვათა შორის, ადრე შორი დისტანციიდან საერთოდ არ ვურტყამდი. მერე გლადბახელი ხუან არანგო გავიცანი, რომელსაც გოლების უმრავლესობა ძალიან შორიდან აქვს გატანილი და მეც დავიწყე ამაზე ვარჯიში.

— მართალია, რომ ახლა პენალტებს იმიტომ ურტყამთ, რომ გიოტცესთან სანაძლეო გაქვთ დადებული, ვინ უფრო მეტ გოლს გაიტანს?

— არა, სიცრუეა. უბრალოდ, იურგენ კლოპმა შტატიან პენალტისტად მე დამნიშნა. თერთმეტმეტრიანი ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც მე უნდა დამერტყა და ასეც მოვიქცეოდი, რომ არ მიმელო ტრავმა.

— წიგნი თუ დი-ვი-დი?

— 80 პროცენტი 20-ის წინააღმდეგ, დი-ვი-დის სასარგებლოდ. ახლა სერიალების ყურებაც დავიწყე.

— კომპიუტერში ფიფას თამაშობთ თუ პრო-ევოლუშენს?

— ფიფას. უმეტესად „დორტმუნდით“, „იუვენტუსით“, „ბარსელონით“, იტალიის ნაკრებით ან გერმანიის ნაკრებით ვთამაშობ ხოლმე.

— „ბაიერნით“ არა?

— ერთხელ „ბაიერნითაც“ ვითამაშე და, სხვათა შორის, დავმარცხდი.

— დაახასიათეთ მარიო გიოტცე სამი სიტყვით!

— წავიდა, ხარისხი, მეგობარი.

— ახლა მარკო როისი.

— აქაა, გულახდილია, სანდოა.

— თმის შეჭრაში რამდენს იხდით?

— 30 ევროს.

— სპორტის რომელი სახეობის თამაში არ გეხერხებათ?

— ჰოკეის.

— რა მიზანი გაქვთ ჩემპიონთა ლიგაში?

— „არსენალის“, „მარსელისა“ და „ნაპოლის“ დამარცხება („დორტმუნდი“ ამ გუნდებთან ერთად მოხვდა ჯგუფში) და მინიმუმ მერვედფინალში გასვლა.

— ყველაზე მეტად რომელ მეტოქესთან თამაშს ელოდებით?

— პირველ რიგში, „არსენალთან“, რადგან იქ ტომაშ როსიცკი თამაშობს, რომელიც ჩემთვის ყოველთვის მისაბაძი მაგალითი იყო. თამაშის სტილით მას ვგავარ და, იმედი მაქვს, მოედანზე ერთმანეთს აუცილებლად შევხვდებით.

— სპორტის სხვა სახეობებიდან რომელ სპორტსმენებს აფასებთ?

— დირკ ნოვიცკის, რომელიც არა მარტო შესანიშნავი კალათბურთელი, არამედ ბრწყინვალე ადამიანიცაა. დირკი ყოველი ახალი სეზონისთვის უდიდესი მონდომებით ემზადება და მიუხედავად იმისა, რომ კარიერაში ბევრი რამისთვის მიუღწევია, ყოველთვის მაქსიმალურად მოტივირებულია. ნოვიცკი ნამდვილი პროფესიონალი და ყველასთვის მისაბაძია!

— 2006 წელს ნოვიცკიმ „მაიამისთან“ ფინალი წააგო და ამ მარცხს თავისი ცხოვრების უდიდესი იმედგაცრუება უწოდა. ხუთი წლის შემდეგ კი „დალასთან“ ერთად მაინც გახდა ჩემპიონი. ჩემპიონთა ლიგის ფინალში წაგებას თქვენც უდიდესი იმედგაცრუება უწოდეთ.

— ნოვიცკის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ადამიანი არასდროს უნდა დანებდეს და ბოლომდე უნდა სჯეროდეს, რომ ოცნებას აიხდენს — მეც სწორედ ამ ადამიანებს მივეკუთვნები!

# ჩეხეთისა და სლოვენიის გმირობა

საქართველოს ნაკრების ჯგუფში მეორე ტურის სამივე შეხვედრა ძალიან დაძაბული გამოდგა. საქართველოს ხორვატიასთან ბოლო წამებზე მარცხის შემდეგ არანაკლებ დაძაბული შეხვედრა გაიმართა, რომელშიც ჩეხეთმა საფინალო სირენამდე 4 წამით ადრე ჩაგდებული 3-ქულიანით 69:68 დაამარცხა პოლონეთი.

არადა, პოლონელები მთელი თამაში იგებდნენ და მატჩის ბოლოს, დასრულებამდე 2 წუთით ადრე, 8 ქულითაც დაწინაურდნენ, თუმცა ჩეხებმა სასწაული მოახდინეს და დრამატულ ფინალში იმარჯვეს.

პოლონელებმა ვერაფერი მოუხერხეს ჩეხთა ლიდერ ვესელს, რომელმაც 23 ქულასა და 14 მოხსნას მოუყარა თავი.

ჯგუფის ბოლო მატჩში ლამაზი სანახაობა შედგა. მასპინძლებმა გადავსებული ტრიბუნების თვალწინ ევროპის მოქმედი ჩემპიონი ესპანეთი დაამარცხეს. სლოვენიაც თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში აგებდა, თუმცა მეტოქეს მუდამ კუდში მისდევდა და გადამწყვეტი გაქცევა ბოლო წუთებზე მოაწყო. საბოლოოდ სლოვენიელებმა ესპანეთი 9 ქულის სხვაობით დაამარცხეს და ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერები შეიქნენ.

პოლონეთი-ჩეხეთი 68:69

პოლონეთი: იგნერსკი (17ქ), ლამპე (14ქ,7მ), კელატი (10ქ);

ჩეხეთი: ვესელი (23ქ,14მ), სატორანსკი (10ქ), ბარტონი (10ქ);

სლოვენია-ესპანეთი 78:69

სლოვენია — ესპანეთი 78:69

დრაგიჩი (18ქ,6მ,7პ), ბოსტიან ნახბარი (14ქ), ზორან დრაგიჩი (12ქ);

მარკ გასოლი (17ქ,7მ), კალდერონი (14ქ);

*საბურნირო ცხრილი:*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **1.სლოვენია** | **2** | **2** | **0140:129** | **4** |
| **2.ესპანეთი** | **2** | **1** | **1137:118** | **3** |
| **3.საქართველო** | **2** | **1** | **1160:144** | **3** |
| **4.ჩეხეთი** | **2** | **1** | **1129:130** | **3** |
| **5.ხორვატია** | **2** | **1** | **1117:144** | **3** |
| **6.პოლონეთი** | **2** | **0** | **2135:153** | **2** |

ახლა სხვა ჯგუფის მატჩების შესახებ:

*ა ჯგუფი*

საფრანგეთის დამმარცხებელმა გერმანიამ ამჯერად ბელგიასთან წააგო. არადა, ეს ორი გუნდი საკალათბურთო დონით ჩრდილო და სამხრეთ პოლუსებივით არიან ერთმანეთისგან დაშორებული, ბელგია კი ძლივს გადაურჩა ზედიზედ მეორედ თითქმის მოგებული მატჩის წაგებას. ასე იყო ჯერ უკრაინასთან მარცხი, ხოლო მეორე ტურში გერმანიასთან ისევ ბოლო მეოთხედი დათმო. მათდა გასახარად გერმანელებმა ოვერტაიმში ვერ ივარგეს.

გერმანია-ბელგია 73:77 (დდ)

გერმანია: ბენცინგი (24ქ), შაფარჟიკი (15ქ,7მ), პლაისი (10ქ,9მ);

ბელგია: მასო (15ქ,8მ), ტაბუ (15ქ,5პ), ერველი (11ქ,9მ), ვან როსომი (10ქ), მუკუბუ (10ქ);

უკრაინის ნაკრებმა ზედიზედ მეორე გამარჯვება მიითვალა, ხოლო ისრაელმა მეორედ წააგო. ამ გამარჯვებით მაიკ ფრატელოს შეგირდებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს მეორე ეტაპისკენ. არადა, უკრაინას ჩვენების დარად ტურნირის უმთავრეს აუტსაიდერებად მიიჩნევდნენ.

უკრაინა-ისრაელი 74:67

უკრაინა: გლადირი (17ქ), კრავცოვი (15ქ,8მ), პუსტოზვონოვი (13ქ), ნატიაჟკო (10ქ);

ისრაელი: ნისიმი (12ქ), ჰალპერინი (9ქ), პნინი (9ქ);

ფრანგებმა პირველ ტურში დაშვებული შეცდომა აღარ გაიმეორეს და დიდ ბრიტანეთს ნამდვილი ჯოჯოხეთი მოუწყვეს.

საფრანგეთი-დიდი ბრიტანეთი 88:65

საფრანგეთი: ბატუმი (17ქ), პარკერი (16ქ), ჟელაბალი (11ქ), დე კოლო (11ქ), აჟინკა (10ქ,11მ);

დიდი ბრიტანეთი: კლარკი (16ქ), ვან ოსტრუმი (13ქ);

*საბურნირო ცხრილი:*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **1.უკრაინა** | **2** | **2** | **0132:124** | **4** |
| **2.საფრანგეთი** | **2** | **1** | **1162:145** | **3** |
| **3.ბელგია** | **2** | **1** | **1134:131** | **3** |
| **4.გერმანია** | **2** | **1** | **1153:151** | **3** |
| **5.ბრიტანეთი** | **2** | **1** | **1140:159** | **3** |
| **5.ისრაელი** | **2** | **0** | **2138:149** | **2** |

*ბ ჯგუფი*

სერბებმა მეორე მატჩიც მოიგეს და ჯგუფის ფავორიტის სტატუსი კიდევ ერთხელ დაამტკიცეს. ერთ დროს მოძმე ბოსნიასთან საკმაოდ იოლად იმარჯვეს და ლატვიელებთან ერთად ჯგუფს ლიდერობენ.

სერბეთი-ბოსნია 77:67

სერბეთი: მარკოვიჩი (15ქ,7მ), კატიჩი (12ქ), ნედოვიჩი (11ქ,6პ), კრსტიჩი (10ქ);

ბოსნია: დედოვიჩი (17ქ,7მ), ტელეტოვიჩი (16ქ), კიკანოვიჩი (13ქ), პერშიჩი (10ქ);

ერთ დროს საქართველოში ნამუშევარი აინარს ბაგაცკისის გაწვრთნილი ლიტვია კი სლოვენიაში ჩინებულ ფორმაშია. ბალტიისპირელებმა მეორე მნიშვნელოვანი მატჩი მოიგეს და ჯგუფიდან გასვლაზე პრეტენზია თამამად გამოხატეს.

ჩერნოგორია-ლატვია 72:73

ჩერნოგორია: რაისი (24ქ), სეკულიჩი (13ქ);

ლატვია: იანიჩენოკსი (15ქ), ფრეიმანისი (12ქ,7მ);

კიდევ ერთმა ბალტიისპირულმა გუნდმა ლიტვამ პირველი გამარჯვება იზეიმა. წინა ევროპირველობის მასპინძლებმა მასინდელ აღმოჩენას, მაკედონიის ნაკრებს ზედიზედ მეორე მარცხი აწვნია.

ლიტვა-მაკედონია 75:67

ლიტვა: კალნიეტისი (17ქ,5პ), მაჩიულისი (14ქ), ვალანჩუნასი (11ქ,7მ), მოტეიუნასი (11ქ);

მაკედონია: ვ.ილიევსკი (13ქ), ანტიჩი (12ქ,8მ), მაკალები (11ქ);

*საბურნირო ცხრილი:*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **1.სერბეთი** | **2** | **2** | **0140:123** | **4** |
| **2.ლატვია** | **2** | **2** | **0159:147** | **4** |
| **3.ლიტვა** | **2** | **1** | **1131:130** | **3** |
| **4.ჩერნოგორია** | **2** | **1** | **1153:153** | **3** |
| **5.მაკედონია** | **2** | **0** | **2147:156** | **2** |
| **6.ბოსნია** | **2** | **0** | **2142:163** | **2** |

*დ ჯგუფი*

იტალიის ნაკრებმა ევროპირველობის სტარტზე 2 ფავორიტი დაამარცხა და მაინც უკმაყოფილო არიან. ამას მათი ლიდერის სიტყვებიც ადასტურებს, რომელიც ჯერ ჯგუფური ეტაპის საკითხს გადაწყვეტილად არ მიიჩნევს.

იტალია-თურქეთი 90:75

იტალია: არადორი (23ქ), ჯენტილე (20ქ), ბელინელი (17ქ), მელი (14ქ,10მ);

თურქეთი: აშიკი (12ქ), თურქოღლუ (12ქ), ილიასოვა (11ქ), ჩეტინი (11მ);

საოცრებებს ჩადის ფინეთის ნაკრებიც. სკანდინაველებმა ჯერ თურქებს სძლიეს, შემდეგ კი ზედ მეზობელი შვედებიც მიაყოლეს. თუმცა, წინ გაცილებით რთული მატჩების ჩატარება მოუწევთ რუსებთან, იტალიელებთან და ბერძნებთან.

ფინეთი-შვედეთი 81:60

ფინეთი: ლი (14ქ), მუურინენი (12ქ), კოპონენი (10ქ,6პ), ჰაფი (10ქ);

შვედეთი: ტეილორი (19ქ), იერებკო (12ქ);

ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს წინ ჩემპიონობის ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატი საბერძნეთის ნაკრები. ელინებმა მორიგი გამარჯვება რუსებთან იზეიმეს, რითიც მეტოქეს საქმე გაურთულეს.

საბერძნეთი-რუსეთი 80:71

საბერძნეთი: სპანულისი (11ქ), კაიმაკოღლუ (11ქ), მავროკეფალიდისი (10ქ), პაპანიკოლაუ (10ქ), პერპეროღლუ (10ქ);

რუსეთი: შვედი (17ქ), კარასიოვი (10ქ,7მ);

*საბურნირო ცხრილი:*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **1.საბერძნეთი** | **2** | **2** | **0159:122** | **4** |
| **2.ფინეთი** | **2** | **2** | **0142:115** | **4** |
| **3.იტალია** | **2** | **2** | **0166:144** | **4** |
| **4.რუსეთი** | **2** | **0** | **2140:156** | **2** |
| **5.თურქეთი** | **2** | **0** | **2130:151** | **2** |
| **6.შვედეთი** | **2** | **0** | **2111:160** | **2** |

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

# ნოდარ ახალკაცი: „სამუზეუმო საქმიანობა „გასაყიდი საქონელი“ ხდება!“

## მუზეუმის მიმართ საზოგადოების არააქტიურობამ შესაძლებელია საშიშ შეცდომამდე მიგვიყვანოს

ეკა ირემაშვილი

### ინტრვიუ ეროვნული მუზეუმის ექსპერტთან ნოდარ ახალკაცთან



— გასული წლის 22 მაისს საქართველოს ისტორიის მუზეუმს დაარსებიდან 160 წელი შეუსრულდა. სამწუხაროა, რომ ვერ შევძელით ამ მნიშვნელოვანი თარიღის სათანადოდ აღნიშვნა. კარგი იქნებოდა კავკასიის უძველესი „განძთსაცავის“ იუბილე გამოფენით, ან მცირე მასშტაბის სამეცნიერო სესიით მაინც აღნიშნულიყო. უახლოეს წარსულში მუზეუმის ისტორიისადმი ამგვარი დამოკიდებულება არც იყო გასაკვირი, რადგანაც ბოლო წლებში ქვეყანაში დამკვიდრებულმა ფსევდოლიბერალურმა შეხედულებებმა პატრიოტული მუხტი ეროვნული დაწესებულებებშიც მნიშვნელოვნად დაასუსტა. თაობამ, რომელიც მუზეუმში „ახალი პოლიტიკური“ იდეოლოგიის გამტარებლად მოგვევლინა, საუკუნენახევრის მქონე დაწესებულების არსებობის ისტორია „ვარდების რევოლუციის წელთაღრიცხვას“ დაუკავშირა და ამით სამსახურში ჩაუდგა ფსევდოპატრიოტებს, რომელთა უპირველეს მიზანს ქართული კულტურის ნიველირება წარმოადგენდა.

***— ეს რას ნიშნავს?***

— პოსტმოდერნისტული ესთეტიკის ჩვენების წყურვილით შეპყრობილი ახალგაზრდა მუზეუმელების ერთი ნაწილი პირველ გამოფენას უკუნეთ სიბნელეში აწყობს. ამით ახლადმოსულ „პროფესიონალებს“ სურდათ ეჩვენებინათ ე.წ. ნოვატორული, ესთეტიკური შეხედულებების უპირატესობა მუზეუმის ტრადიციულ აკადემიურ სტილთან შედარებით. აღნიშნული გამოფენის მხატვრული გადაწყვეტა „სამაგალითოდ“ დარჩება ეროვნული მუზეუმის საექსპოზიციო საქმის ისტორიაში. „ახალი წელთაღრიცხვის“ (რაშიც იგულისხმება 2004 წლის შემდგომი პერიოდი) იდეოლოგიის მიმდევრები საქართველოს კულტურულ სივრცეში სრულიად განსხვავებული შეხედულებების დამკვიდრებას ცდილობდნენ, რომლის მთავარი მიზანი ეროვნული თვითშეგნების შესუსტება იყო. პროგრამა ენის, ნაციონალური კულტურისა და ისტორიის გლობალისტური პრინციპებისადმი დამორჩილებას ითვალისწინებდა. საქართველოს ტრადიციულ კულტურულ სივრცეში ახალი იდეოლოგია ნელ-ნელა იწყებდა გაბატონებას. ნეოლიბერალიზმი უპირველესად ეროვნული ყოფიდან ტრადიციებისა და მართლმადიდებლობის განდევნას ცდილობდა, რათა შემდგომ „გაწმენდილი“ სივრცე ე.წ. „ღია საზოგადოების“ იდეოლოგიისთვის მოემზადებინა. საქართველოში „ახალი აზრის“ დამკვიდრება გრანტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან გაურკვეველი ფინანსური ხელშეკრულებებით იყო შენიღბული. (საგრანტო ხელფასები, საზღვარგარეთ სტაჟირება, დაწესებულებაში ინსტიტუციონალური ცვლილებები, ფსევდო სამეცნიერო კონკურსები, უშინაარსო გამოფენები, უცხოელების მიერ ჩატარებული არაფრის მომცემი ე.წ. ტრენინგები). ნიადაგი, სადაც „კულტ-მასობრივი“ იდეოლოგია ადვილად მოიკიდებდა ფეხს ახალგაზრდა თაობა იყო, ამიტომაც გლობალიზაციის „მწყემსებმა“ ფსონი ახალგაზრდების ერთ ნაწილზე დადეს. ექსპერიმენტმა დროებით გაამართლა, რაც შემდგომში თაობათა შორის ხავერდოვანი „გადატრიალებით“ დამთავრდა.

***— უფრო კონკრეტულად რომ გვითხრათ?***

— ახალი იდეოლოგიური დაკვეთა ითვალისწინებდა პროფესიონალური კადრების საქმიდან ჩამოშორებასა და საზოგადოების ცნობიერებაში ქვეყნის მშენებლობის ვირტუალური მოდელის აგებას. პოლიტიკურმა მოდერნიზაციამ საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელიც კომფორმიზმის ტყვეობაში მოექცა, ეროვნული ფასეულობებისადმი ნიჰილისტურად განაწყო. მათთვის ყოველგვარ ქართულს დაეკარგა ფასი. სამწუხაროდ, ე.წ. „ახალი საზოგადოება“ ქრონოლოგიური პროვინციალიზმის იდეის მატარებელი გახდა, რომლებსაც ზოგჯერ გაუთვითცნობიერებლად ნაციონალური ინტერესების საპირისპიროდაც უხდებოდათ სიარული. ახალი იდეოლოგიური წნეხი, ეროვნული ინსტიტუტების სიცოცხლისუნარიანობის შესუსტებისკენ იყო მიმართული. ეროვნული კულტურისა და ახალი პოსტმოდერნისტული შეხედულებების შეჯახების არეალში საქართველოს ეროვნული მუზეუმიც მოექცა. ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც XIX საუკუნიდან მოყოლებული, მუზეუმი თეატრთან და ქართულ მწერლობასთან ერთად ყოველთვის ეროვნული თვითშეგნების განმტკიცების სადარაჯოზე იდგა.

ფსევდოესთეტიკოსთა და პოპ კულტურის მესვეურთათვის საქართველოს ისტორიის მუზეუმის ტრადიციული, აკადემიური სტილი „ღია საზოგადოების“ იდეოლოგთათვის შეტევის ობიექტად იქცა. სწორედ ამ მიზეზით უნდა მომხდარიყო პოპ არტის მხატვრულ სტილში გადაწყვეტილი არქეოლოგიური სივრცის დროზე ადრე რეექსპოზიცია, რომელიც აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილისა და ცნობილი ქართველი მხატვრის ავთო ვარაზის ერთობლივი შემოქმედებით იყო განხორციელებული. ძველი არქეოლოგიური დარბაზები, როგორც სამეცნიერო კონცეფციით, ასევე მხატვრულ-ესთეტიკური დონით, მსოფლიოს ცნობილ მუზეუმებს შორის ერთ-ერთ საუკეთესოდ იყო მიჩნეული, რომელიც სრულად გამოხატავდა ქართული ხალხის სამიწათმოქმედო კულტურის უძველესობას. ასევე ელვის სისწრაფით განხორციელდა ფეოდალური და ეთნოგრაფიული დარბაზების დემონტაჟი, სადაც წარმოდგენილი იყო საქართველოს ისტორიისა და ქართული ეთნოკულტურის უმნიშვნელოვანესი ფასეულობანი. ამ პერიოდიდან (2005 წლიდან) მოყოლებული, საქართველოს ისიტორიისა და ყოფის ამსახველი გამოფენა აღარ განახლებულა. უნივერსიტეტისა და სკოლის რამდენიმე თაობამ ისე დაამთავრა სასწავლო პროცესი, რომ საქართველოს ეროვნული მუზეუმის ისტორიის ამსახველი გამოფენის მომსწრენი ვერ გახდნენ. არადა მუზეუმს ახალგაზრდა თაობის სულიერი სამყარო ჩამოყალიბების საქმეში რომ უდიდესი როლი აკისრია, ეს ყველასთვის ცნობილია.

***— რატომ მოიშალა ძველი საგამოფენო სივრცე?***

— ძველი საგამოფენო სივრცის მოშლით მუზეუმის ე.წ. „ნოვატორებმა“ ტრადიციულ სამუზეუმო საქმეს დაუპირისპირეს გლობალურ ტენდენციებზე მორგებული გამოფენები, სამოდელო სახლების პრეზენტაციები, სხვადასხვა ტიპის შოუები. ასეთმა უკუქმედებამ სავალალო შედეგი გამოიღო. ნელ-ნელა დაუკარგეს მუზეუმს ძირითადი ეროვნული კულტურის საპროპაგანდო ინსტიტუციის მნიშვნელობა. ბოლო წლებში მუზეუმში საქართველოს ისტორიის ამსახველი გამოფენების გაუმართაობას, მიზანმიმართული სამთავრობო იდეოლოგიის გარდა, საზოგადოებაში ეროვნულისადმი ნიჰილისტურმა დამოკიდებულებამაც შეუწყო ხელი. ქვეყანაში მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა საზოგადოების მხრიდან, მუზეუმებისადმი გაუცხოების ატმოსფერო წარმოშვა. დღეს მუზეუმი და საზოგადოება ორი ერთმანეთისაგან განცალკევებული სამყაროა. ერთია ის, რომელსაც სურს მუზეუმი იყოს ქართული კულტურის წარმომჩენი და პოპულარიზატორი, ხოლო მეორე ფიქრობს, რომ მუზეუმი არის გასართობი და არა შემეცნებითი დაწესებულება. მათი შეხედულებით მუზეუმებში წინა პლანზე დგას გართობა-თამაშობანი, ხოლო მატერიალური კულტურა ამ ღონისძიებების დამხმარე ატრიბუტია. ასეთი დაწესებულება საზოგადოების ერთიან რგოლში უსიცოცხლო სეგმენტად გადაიქცა და დროთა განმავლობაში რიყავს თავისი სივრციდან პოტენციურ დამთვალიერებელს, რისი აღდგენაც შემდგომში შესაძლოა ძალიან გაძნელდეს. საზოგადოება, რომელიც ზურგშექცევით დადგა ეროვნული მუზეუმის მიმართ, დროთა განმავლობაში ხალხისგან მიტოვებული დაწესებულება, მთავრობის პოლიტიკის შეკვეთების შემსრულებლად გარდაიქმნა. მაგალითად, ეროვნული მუზეუმის სივრცეში ოკუპაციის გამოფენის მოწყობა, სიღნაღში ისტორიულ-ეთნოგრაფიული ექსპოზიციის სხვა სივრცეში გადატანა, ახალი მუზეუმებისთვის საფონდო სივრცის გაუთვალისწინებლობა, უცხოენოვანი გამოფენებისა და კონფერენციების მოწყობა, უცხო გარემოში ადაპტირებული ინსტიტუციონალური წესების დამკვიდრება, ნიადაგს მოკლებული შიდა ადმინისტრაციული დებულებების მიღება და მრავალი სხვა.

***— ამან რა შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს?***

— მუზეუმის მიმართ საზოგადოების არააქტიურობამ შესაძლებელია საშიშ შეცდომამდე მიგვიყვანოს. გარდამავალ პერიოდში საზოგადოება გამადიდებელი შუშით უნდა აკვირდებოდეს სამუზეუმო საქმიანობაში მომხდარ ცვლილებებს და ყველა მისი ნაბიჯი მკაცრ კონტროლზე აიყვანოს. თანამედროვე დასავლური კულტურა, რომელიც მასობრივი კულტურისა და გლობალიზაციის იდეების სინთეზს წარმოადგენს, არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მცირე ერების მუზეუმების განვითარება ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით წარიმართოს. ნეოლიბერალური იდეოლოგიის პერიოდში სამუზეუმო საქმიანობა „გასაყიდი საქონელი“ ხდება, სადაც ექსპოზიცია პირველ რიგში ერთჯერადი გართობისა და სიამოვნებისთვის კეთდება. ასეთი დამოკიდებულება გამოფენის მხატვრულ სახეზე ცუდად მოქმედებს. ბოლო პერიოდში ჩატარებული გამოფენების უმეტესი ნაწილი არაპროფესიონალური და ინდეფერენტული მიდგომის გამო, თვითშემოქმედების დონეზე მზადდებოდა, იგულისხმება ტექსტების და ავთენტურობის უზუსტობა, ექსპონატის სახელწოდებების უცოდინარობა, ნივთის არასწორი მდგომარეობით ექსპონირება, არტეფაქტის შინაარსის გაურკვევლობა, ექსპოზიციის დაბალი მხატვრული დონე, არასწორი განათება, სამეცნიერო ტერმინოლოგიის უგულებელყოფა, საგამოფენო სივრცეში კარადების წინასწარი დამონტაჟების გამო საექსპოზიციო-თემატური სცენოგრაფიის შეცვლა, დაზიანებული არტეფაქტების ექსპოზიციაში ჩართვა, განმარტებითი ტექსტების არაპროფესიონალურად შედგენა, პრიმიტიული გემოვნების მქონე უცხოელი დიზაინერების მიერ ექსპოზიციის გამართვა სიღნაღის მუზეუმში. ასეთი ექსპოზიცია პირველ რიგში მნახველს ხშირად აუქციონის შეგრძნებას უტოვებს და არა სამუზეუმო გამოფენის. იმ შემთხვევაში კი, თუ დარბაზში ტექსტუალური მასალა წარმოდგენილია, მისი წაკითხვა სიბნელის გამო ძალიან ჭირს, ვგულისხმობ ახალციხის მუზეუმის ახალ გამოფენას, და რაც ყველაზე მთავარია, ექსპოზიციის მოწყობა სამუშაო დროის არასწორად დაგეგმვის გამო ბოლო სამ დღეში სრულდება. სამუშაო დროის დაუგეგმაობა და სისწრაფე ცუდად მოქმედებს როგორც სამეცნიერო, ასევე გამოფენის მხატვრულ-ესთეტიკურ მხარეზე. აქედან გამომდინარე, კულტურულ-შინაარსობრივი და მხატვრული თვალსაზრისითაც ანტისოციალურია.

***— რამ განაპირობა ეს ყველაფერი?***

— ეს არის საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ ბოლო პერიოდში სრულიად ახალი, ჩვენი ისიტორიისა და კულტურისთვის მიუღებელი „კომერციულ-გლობალისტური“ პროგრამით სიარული, რომლისთვისაც უცხოა აკადემიურობა და ეროვნული შინაარსის გამოფენების მოწყობა. როგორც ირკვევა, მსოფლიოში დღეს სამუზეუმო პოლიტიკა ორი სხვადასხვა ერთმანეთისადმი საპირისპირო გზით ვითარდება. ერთი ნაწილი მუზუმებისა ითვალისწინებს რა ნაციონალურ ინტერესებს, ეროვნულ პატრიოტულ და სამეცნიერო-სასწავლო საქმეს ემსახურება, ხოლო მეორე ტურიზმზეა ორიენტირებული და მხოლოდ კომერციული ინტერესები გააჩნია. მსგავსი ტიპის მუზეუმების ცხოვრების წესი მჭიდროდ არის დაკავშირებული სამთავრობო წრეებთან და მათი პოლიტიკური დაკვეთების შემსრულებლად გვევლინება. ბოლო 20 წლის განმავლობაში მსოფლიოში მუზეუმების საქმიანობას თუ გავაანალიზებთ, შევამჩნევთ, რომ აღნიშნული დაწესებულებები განსხვავებული პარადიგმული პოლიტიკით განაგრძობენ არსებობას. სამუზეუმო საქმიანობასთან დაკავშირებულ პარადიგმებს შორის კონფლიქტი, იდეოლოგიური ბრძოლის ხასიათს ატარებს. იგი თავს იჩენს საზოგადოებაში ტრადიციულად ჩამოყალიბებულ ფასეულობათა სისტემების ცვლილების დროს. საქართველოში ფასეულობათა ამგვარი ცვლილებები „ახალი წელთაღრიცხვის“ პერიოდიდან იწყება, რომელიც სამწუხაროდ, ეროვნული მუზეუმის ცხოვრების წესსაც შეეხო. კითხვაზე, რაში მდგომარეობს სამუზეუმო საქმიანობაში პარადიგმული კონფლიქტი და რომელ იდეოლოგიურ მიმართულებას მიეკუთვნებიან ისინი? პასუხი ასეთია: პირველ მიმართულებას, რომელსაც შეიძლება „ტრადიციული სამუზეუმო პარადიგმა“ ანუ ეროვნული ვუწოდოთ, შოტლანდიის ნაციონალური მუზეუმის მაგალითზე გვინდა წარმოგიდგინოთ. შოტლანდიის მუზეუმის მესვეურებმა სახელმწიფო დაფინანსების მეშვეობით და არა გრანტებით, შენობისა და გამოფენების რეკონსტრუქციის პარალელურად სოციოლოგიური გამოკვლევებიც ჩაატარეს. სწორედ ეს გამოკვლევები დაედო შემდგომში საფუძვლად მუზეუმის განვითარების სტრატეგიას. საზოგადოებრივი აზრის მიხედვით, სამუზეუმო საქმიანობაში შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო ტრადიციული, აკადემიურ-კლასიკური სტილი, როლმელიც ეროვნულ ინტერესებს დაეფუძნებოდა. გარდა ამისა, ხალხმა მუზეუმის მომავალ საქმიანობაში საზოგადოების ჩართულობას უპირობოდ დაუჭირა მხარი. ფორმულა, რომლითაც დღეს შოტლანდიის ეროვნული მუზეუმი განაგრძობს არსებობას შემდეგნაირად შეიძლება გამოისახოს „ხელისუფლება პლუს ეროვნული კულტურის პროპაგანდა პლუს სკოლა“. მოცემული პარადიგმის მიხედვით, სამუზეუმო პროგრამა ითვალისწინებს ეროვნული კულტურის თავისებურებების შესწავლა-პროპაგანდასა და მათ დამოკიდებულებას მსოფლიო ცივილიზაციასთან. მსგავს პრინციპზე აგებული ექსპოზიციები მოგვითხრობენ ეროვნული ისტორიისა და კულტურის შესახებ, რომელსაც შემდგომში სასკოლო სწავლების ტექნოლოგიის გასაუმჯობესებლად იყენებენ. მათი პროპაგანდისთვის მუზეუმი აწყობს თემატურ ექსკურსიებს, ლექციებს, მეცადინეობებს. ახალგაზრდები ჩართული არიან სხვადასხვა სახის წრეების მუშაობაში. იმართება მუზეუმის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებული თემატური საუბრები.

ტრადიციული პარადიგმის მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მუზეუმის გრძელვადიანი პროგრამის შემუშავებისას მთავრობა საზოგადოებასთან ერთად ქმნის ისეთი სახის ინსტიტუციონალურ კონცეფციას, რომელიც ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს ემსახურება. მსგავს ურთიერთობებზე აღმოცენებული სამუზეუმო პოლიტიკა თავისი შინაარსით ეროვნული ხასიათისაა. ყველა კანონი, რომელიც სამუზეუმო საქმიანობის გაუმჯობესებისთვის იქმნება, რეალურ ვითარებას ასახავს და ნიადაგს მოწყვეტილი არ არის. საზოგადოების კონტროლის ქვეშ მყოფი მუზეუმი აღარ ემსახურება მთავრობის კაპრიზებს და მხოლოდ ხალხის ინტერესების მიხედვით მოქმედებს. როდესაც შოტლანდიელების სამუზეუმო ცხოვრების პოლიტიკას ვეცნობით, არ შეიძლება არ გავიხსენოთ უდიდესი მამულიშვილის აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებები საქართველოს მუზეუმის მთავარი ამოცანების შესახებ, რომელიც მან 1935 წლის 29 ივნისს ბრძანა: „პირველი — მუზეუმმა უნდა ასახოს წარსული და თანამედროვე კულტურა. ამ მიზნით უნდა დააგროვოს სამუზეუმო ნაშთები საქართველოს ყოველმხრივი შესწავლისთვის. მეორე — მას სოციალური მოვალეობა აწევს, მან ფართო საზოგადოებასა და მეტარდე ისტორიული ცოდნის გასაღრმავებლად დახმარება უნდა გაუწიოს მოსწავლე-ახალგაზრდობას და მესამე — საქართველოს მუზეუმი, როგორც უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულება ინტენსიურ მეცნიერულ მუშაობას უნდა აწარმოებდეს“. საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა სამივე ეს კონცეფცია თავისი მუშაობის სტილით მიუღებლად გამოაცხადა. შოტლანდიის მუზეუმის სამომავლო პოლიტიკის კურსის შემუშავებისას, ერისა და მთავრობის შეხედულება თანხვედრი აღმოჩნდა. რის საფუძველზეც ედინბურგში ეროვნული ტიპის ახალი მუზეუმი შეიქმნა. მუზეუმში ექსპოზიციები უახლესი ტექნოლოგიებით არის წარმოდგენილი.

***— რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს მუზეუმში?***

— საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი, რა როლი აკისრია ეროვნულ მუზეუმს ნაციის თვითმყოფადობის შენარჩუნების საქმეში. იგი ერისათვის ჯავშანია და ჯავშნის რღვევას მისი დაძაბუნება მოყვება! მით უმეტეს, თუ ეს ერი მცირერიცხოვანია. ამ საკითხთან დაკავშირებით, ბატონმა ივანე ჯავახიშვილმა XIX საუკუნის სამუზეუმო ცხოვრების წესის შეცვლის შესახებ იწინასწარმეტყველა და გაგვაფრთხილა: „ევროპაში ჩამოყალიბებული სამუზეუმო ამოცანების შეცვლა და ახლებურის დამკვიდრება, საზიანო იქნება ისეთი მცირე ერებისთვის, როგორიც ჩვენ ვართ.“ საუკუნის წინ ივანე ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება დღესაც აქტუალურია. საქართველოს ეროვნული მუზეუმი ამჟამად იმყოფება პოლიტიკური ცვლილებების გზაჯვარედინზე. დღეს, როგორც არასდროს ვალდებული ვართ შემოვბრუნდეთ საზოგადოებისკენ და მათი აზრიც გავითვალისწინოთ! ეგებ პრობლემა უფრო უკეთესად გადავჭრათ, ვიდრე ეს ჩვენმა შოტლანდიელმა კოლეგებმა შეძლეს!

# TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა

## ორშაბათი 9 სექტემბერი

8.00 დ/ფ " ალენ ბაშუნგი" 09.00 ან/ფ "სკუბი-დუ! აბრაკადაბრა-დუ" 10.30 ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" 11.00 "გურმანია" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.35 მხ/ფ "**მე სემი ვარ**" (მ. პფაიფერი) 14.30 დ/ფ "რუკების სილამაზე" 15.00 ტ/სერ. "**ჭორიკანა**" 16.20 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. **საქართველო–ესპანეთი** (პ/რ)18.20 დ/ფ "ძვლების მკვლევარები 19.05 ტ/სერ. "**მაგდა ემი**" 21.00 ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" 22.00 მხ/ფ " **სისხლიანი ალმასი**"(ლ. დიკაპრიო) 00.30 დ/ფ "ექსტრაორდინარული ქალები"00.00 "საფარი" 26-ე გადაცემა

8.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "ვენეცია"08.30 მხ/ფ "**დედმამიშვილები**" 1-2 სერ. 10.00, 22.00 ტ/სერ. "**დეტექტივი**"11.00 დ/ფ "ნამდვილი პანამა"12.00 მხ/ფ "**მის კონგენიალურობა**" (ს.ბალოკი) 14.00 "ეპიცენტრი" (შაბ. გ/ჩვ)15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო"16.00 დ/ფ "100 უდიდესი აღმოჩენა" 5 ნაწ.19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" (პ/ე)20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 23.00 მხ/ფ "**ჩრდილოეთის ქვეყანა**" (შ.ტერონი)

7.30 ს დილა (პ/ე) 08.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.30 ქრონიკა 08.10, 09.10 ს დილა (პ/ე) (გაგრძელება)10.05 სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**"11.20 სერ. "**ცივი გული**"12.30 მუსიკალური ლიგა (გ/ჩ)14.40 ფულთან თამაში (გ/ჩ) 16.00 სერ. "**დამალული სიმართლე**"17.50, 19.05 სერ. "**უდანაშაულო**" 1 სერ.21.00 სერ. "**დაბრუნება**"22.00 იურმალა (გ/ჩ)00.45 მხ/ფ "**მეგობრის საქმრო**" (ჯ.კრასინსკი)

7.30 დილამშვიდობისა საქართველო - დაწყება10.00 სერ. "**ერთგულების ძალა**" 11.00 სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი12.30 "შუა დღე" - დაწყება15.30 შერეკილები 17.00 სერ."**ნამდვილი ბრძნობა**" 18.50, 19.50 სერ. "**ტიტების დრო**" 22.00 სერ."**დასასრული**" 00.00 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად00.30 შიშის ფაქტორი 01.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

6.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ეთნოგრაფია 06.25 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.50 მხ/ფ "**უკვდავების თეთრი ვარდი**" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 21.05 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.05 მხ/ფ "**იყო შაშვი მგალობელი**" 13.20 ქართული მულტფილმი 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.00 განთიადის სტუმარი 15.30 სპექტაკლი - "**ვალი**" 17.05 კონცერტი - შავლეგ შილაკაძე "ლოცვა" 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.45 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ "**მხიარული რომანი**" 20.40 ძილი ნებისა 21.25 სღვთისმეტყველო საუბრები - დეკანოზი ლევან მათეშვილი- იოანე ნათლისმცემლის ცხოვრების შესახებ 22.25 დოკ/ფ "პირიქითა ხევსურეთი" 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკ/ფ "**პეიტარი**" 00.30 განთიადის სტუმარი 00.50 მხ/ფ "**თუში მეცხვარე**" I ნაწ. 02.00 ირაო

მაესტრო 7.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 9.30 მაღვიძარა (სიუჟეტების კოლაჟი) 10.15, 16.00 **სერ. "ღრუბლებს მიღმა"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 12.30, 15.40, 2.00, 6.00 ფარული კამერა 17.45, 21.30, 0.30, 5.30 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 19.00 **სერ. "1001 ღამე"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 4.00 "კინო მაესტროზე"

## სამშაბათი 10 სექტემბერი

08.00 დ/ფ "ლურჯი დუნაი და გარეული ცხენები" 09.00 ან/ფ "სკუბი-დუ! ზანაკის საშინელებანი" 10.30 ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" 11.00 "გურმანია" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.35 მხ/ფ "თუ დედამთალი ურჩხულია" (ჯ.ლოპესი) 14.30 დ/ფ "დიდი ხელოვნება" 15.00 ტ/სერ. "**ჭორიკანა**" 17.00 ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" 18.00 დ/ფ " მუზეუმის საიდუმლოებანი" 19.05 ტ/სერ. "**მაგდა ემი**" 20.55 **ფეხბურთი.** მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი. **საქართველო–ფინეთი.** (პ/რ) 23.30 მხ/ფ "**გრძნობით შეპყრობილი**" (გ.პელტროუ)

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 11.00 დ/ფ "100 უდიდესი აღმოჩენა" 5 ნაწ. 14.00, 00.00 ტ/სერ. "**დეტექტივი**" 16.00 დ/ფ "100 უდიდესი აღმოჩენა" 6 ნაწ. 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო" (პ/ე)

07.30 ს დილა (პ/ე) 08.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.30 ქრონიკა 08.10, 09.10 ს დილა (პ/ე) (გაგრძელება) 10.05 სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" 11.20 სერ. "**ცივი გული**" 12.30 მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) 14.40 კონცერტი: "სუხიშვილები" 1 ნაწილი 16.00 სერ. "**დამალული სიმართლე**" 17.50, 19.05 სერ. "**უდანაშაულო**" 2 სერ. 21.00 სერ. "**დაბრუნება**" 22.00 იურმალა (გ/ჩ) 00.45 მხ/ფ "**ჰოლივუდური ფინალი**" (თ. ლეონი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "**ერთგულების ძალა**" 11.00 სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 შერეკილები 17.00 სერ."**ნამდვილი ბრძნობა**" 18.50, 19.50 სერ."**ტიტების დრო**" 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 სერ."**დასასრული**" 23.00 გააცინე და მოიგე 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ეთნოგრაფია 06.25 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.50 მხ/ფ "**თუში მეცხვარე**" I ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.20 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ "პირიქითა ხევსურეთი" 10.10 დოკ/ფ "შუშანიკის წამება" 10.30 დოკ/ფ "უბისა" 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "**მხიარული რომანი**" 13.20 ქართული მულტფილმი 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.45, 23.40 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 15.55 კონცერტი - "იყო ხილვის სიხარული" 17.00 ერთსულოვნების სალონი 18.10 ლიტერატურული თეატრი "წმინდა შუშანიკი" 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ჩვენი ტრაპეზი 19.30 დროის ჩანაწერები 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ისტორიის გაკვეთილი 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 "თქვენი" წმინდა დიდმოწამე შუშანიკი დედოფალი" 23.45 ჩვენი ფონდი "წმინდა დიდმოწამე შუშანიკი" (მამა ზურაბ მჭედლიშვილი) 00.30 განთიადის სტუმარი 00.50 მხ/ფ "**თუში მეცხვარე**" II ნაწ. 02.00 ირაო

მაესტრო 7.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმები 9.30 მაღვიძარა (სიუჟეტების კოლაჟი) 9.45 გადაცემა "პულსი" (გამ.) 10.15, 16.00 **სერ. "ღრუბლებს მიღმა"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 12.30, 15.30, 2.00, 6.00 ფარული კამერა 17.45, 21.30, 0.30, 5.30 "ყოველდღიური აბები" 19.00 **სერ. "1001 ღამე"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 4.00 "კინო მაესტროზე"

## ოთხშაბათი 11 სექტემბერი

08.00 დ/ფ " სკეიტბორდის ისტორია" 09.00 საბ. მხ/ფ "**ნენსი დრიუ**" 10.30 ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" 11.00 "გურმანია" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.35 მხ/ფ "**გზა და კავშირი**" (კ.ბეიკონი) 14.30 დ/ფ "დიდი ხელოვნება" 15.00 ტ/სერ. "**ჭორიკანა**" 17.00 მხ/ფ " **ამერიკის საიდუმლო**" 19.05 ტ/სერ. "**მაგდა ემი**" 21.00 ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" 22.50 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი.II ჯგუფური ეტაპი. (პ/ სლოვენიიდან.) 00.50 მხ/ფ "**სასიკვდილო იარაღი-3**" (მ.გიბსონი)

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" (სამშ. გ/ჩვ) 14.00, 22.00 ტ/სერ. "**დეტექტივი**" 16.00 დ/ფ "100 უდიდესი აღმოჩენა" 7 ნაწ. 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 23.00 მხ/ფ "**სამეფო სასახლე**" (კ.დენევი)

07.30 ს დილა (პ/ე) 08.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.30 ქრონიკა 08.10, 09.10 ს დილა (პ/ე) (გაგრძელება) 10.05 სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" 11.20 სერ. "**ცივი გული**" 12.30 მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) 14.40 ღამის შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. "**დამალული სიმართლე**" 17.50, 19.05 სერ. "**უდანაშაულო**" 3 სერ. 21.00 სერ. "**დაბრუნება**" 22.00 იურმალა (გ/ჩ) 00.45 მხ/ფ "**უცნაური შეხვედრა**" (ჯ. ბინოში")

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "**ერთგულების ძალა**" 11.00 სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 იღბლიანი ბორბალი (კვირის გ/ჩ) 17.00 სერ."**ნამდვილი ბრძნობა**" 18.50, 19.50 სერ."**ტიტების დრო**" 22.00 სერ."**დასასრული**" 00.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფ (ტიტ.)

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ეთნოგრაფია 06.25 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.50 მხ/ფ "**თუში მეცხვარე**" II ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 ჩვენი ფონდი "წმინდა დიდმოწამე შუშანიკი" (მამა ზურაბ მჭედლიშვილი) 10.50 საღვთისმეტყველო საუბრები - დეკანოზი ლევან მათეშვილი- იოანე ნათლისმცემლის ცხოვრების შესახებ 11.25 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 ქართული მულტფილმი 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.45, 21.55 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.25 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 15.50 კონცერტი - ანს."სახიობა" 17.00 კვირიაკე 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**ოთარაანთ ქვრივი**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 "თვენი" წმინდა იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთა 21.30 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 იოანე ნათლისმცემლის შობა 23.40 "ჩვენი ფონდი" იოანე ნათლისმცემლის იკონოგრაფიის შესახებ (ნ.ბურჭულაძე) 00.30 განთიადის სტუმარი 00.50 მხ/ფ "**თუში მეცხვარე**" III ნაწ. 02.00 ირაო

მაესტრო 7.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 9.30 მაღვიძარა(სიუჟეტების კოლაჟი) 10.15, 16.00 **სერ. "ღრუბლებს მიღმა"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 12.30, 15.40, 2.00, 6.00 ფარული კამერა 17.45, 21.30, 0.30, 5.30 "ყოველდღიური აბები" 19.00 **სერ. "1001 ღამე"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 4.00 "კინო მაესტროზე"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

## ხუთშაბათი 12 სექტემბერი

08.00 დ/ფ " ფუტკრების გაუჩინარების საიდუმლო" 09.00 საბ. ან/ფ "მარსიანელი ბავშვი" 10.30 ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" 11.00 "გურმანია" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.35 მხ/ფ "**გაიქეცი მსუქანო გაიქეცი**" (დ.შვიმერი) 14.30 დ/ფ "დიდი ხელოვნება" 15.00 ტ/სერ. "**ჭორიკანა**" 16.20 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. II ჯგუფური ეტაპი. (პ/რ) 18.20 დ/ფ "ანტიკური მსოფლიო" 19.05 ტ/სერ. "**მაგდა ემი**" 21.00 ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" 22.00 სპორტული თოქშოუ: "არენა" 22.50 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. II ჯგუფური ეტაპი. (პ/რ) 01.00 დ/ფ "იაპონია: იმპერატორი და ჯარი"

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 11.00 დ/ფ "100 უდიდესი აღმოჩენა" 7 ნაწ. 14.00, 00.00 ტ/სერ. "**დეტექტივი**" 16.00 დ/ფ "100 უდიდესი აღმოჩენა" 8 ნაწ. 20.00 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ" რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო" (პ/ე)

07.30 ს დილა (პ/ე) 08.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.30 ქრონიკა 08.10, 09.10 ს დილა (პ/ე) (გაგრძელება) 10.05 სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" 11.20 სერ. "**ცივი გული**" 12.30 ქალები თუ კაცები (გ/ჩ) 14.40 კაცების შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. "**დამალული სიმართლე**" 17.50, 19.05 სერ. "**უდანაშაულო**" 4 სერ. 21.00 სერ. "**დაბრუნება**" 22.00 იურმალა (გ/ჩ) 00.45 მხ/ფ "**შურისმაძიებელი ანგელოზები**" (ს. სტალონე)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "**ერთგულების ძალა**" 11.00 სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 გააცინე და მოიგე გ/ჩ 17.00 სერ."**ნამდვილი ბრძნობა**" 18.50, 19.50 სერ."**ტიტების დრო**" 22.00 სერ."**დასასრული**" 00.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფ (ტიტ.)

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ეთნოგრაფია 06.25 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.50 მხ/ფ "**თუში მეცხვარე**" III ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 09.05,18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.45 მოკ/ფ "**რა გაცინებსჰ!**" 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "**ოთარაანთ ქვრივი**" 13.20 ქართული მულტფილმი 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 15.55 მოკ/ფ "**მიხა**" 16.30 კონცერტი -კამერული მუსიკის დასკვნითი კონცერტი 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**აურზაური სალხინეთში**" 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 "ერთსულოვნების სალონი" 22.20 "ჟურნალისტის დღიური " 22.45 ჩვენი ფონდი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "ლაზი ვორე,ლაზი ქართველი ჭანი" 00.30 განთიადის სტუმარი 00.50 მხ/ფ "**მოკვეთილი**" 01.15 ირაო

მაესტრო 7.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმები 9.30 მაღვიძარა (სიუჟეტების კოლაჟი) 9.45 გადაცემა "პულსი" (გამ.) 10.15, 16.00 **სერ. "ღრუბლებს მიღმა"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 12.30, 15.30, 2.00, 6.00 ფარული კამერა 17.45, 21.30, 0.30, 5.30 "ყოველდღიური აბები" 19.00 **სერ. "1001 ღამე"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 4.00 "კინო მაესტროზე"

## პარასკევი 13 სექტემბერი

08.00 დ/ფ " ფუტკრების გაუჩინარების საიდუმლო" 09.00 საბ./ფილმი: " საოცარი მისტერ ბარნანდერი" 10.30 ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" 11.00 "გურმანია" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.35 მხ/ფ "**თმის ლაქი**" 14.30 დ/ფ "დიზაინი" 15.00 ტ/სერ. "**ჭორიკანა**" 17.00 ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" 18.00 დ/ფ "როგორ შეგვქმნა დედამიწამ" 19.05 ტ/სერ. "**მაგდა ემი**" 21.00 ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" 22.50 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. II ჯგუფური ეტაპი. (პ/რ) 00.00 მხ/ფ "**ნაპერწკალი**"

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" (ხუთშ. გ/ჩვ) 14.00, 22.00 ტ/სერ. "**დეტექტივი**" 16.00 დ/ფ "100 უდიდესი აღმოჩენა" 9 ნაწ. 20.00 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ" რუსულ ენებზე) 23.00 მხ/ფ "**ჯადოსნური შარვალი – 2**" (ა.ფერერა)

07.30 ს დილა (პ/ე) 08.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 08.10, 09.10 ს დილა (პ/ე) (გაგრძელება) 10.05 სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" 11.20 სერ. "**ცივი გული**" 12.30 ქალები თუ კაცები (გ/ჩ) 14.40 ს გმირები (გ/ჩ) 15.15 რომ გადახვალ" გააჩერე (გ/ჩ) 16.00 სერ. "**დამალული სიმართლე**" 17.50, 19.05 სერ. "**უდანაშაულო**" 5 სერ. 21.00 სერ. "**დაბრუნება**" 21.50 თოქ შოუ – ღია ეთერი (პ/ე) 00.15 მხ/ფ "**სამი მუშკეტერი**" ( კ. საზერლენდი")

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "**ერთგულების ძალა**" 11.00 სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 ეკი ვოკი (კვირის გ/ჩ) 17.00 სერ."**ნამდვილი ბრძნობა**" 18.50, 19.50 სერ."**ტიტების დრო**" 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 სერ."**დასასრული**" 23.00 ვანოს შოუ - დაწყება 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.35 მხ/ფ "**მოკვეთილი**" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დოკ/ფ "ლაზი ვორე, ლაზი ქართველი ჭანი" 11.10 ჩვენი ფონდი 11.20 ისტორიის გაკვეთილი 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "**აურზაური სალხინეთში**" 13.25 ქართული მულტფილმი 13.35 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დეკორატიული ფლორა 15.40 კონცერტი -ვენის სიმფონიური ორკესტრი 17.00 კვირიაკე 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**შეხვედრა მთაში**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.35 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ქრისტიანული ხელოვნება 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "ოვალური ბურთი" 00.30 განთიადის სტუმარი 00.50 მხ/ფ "**ნერგები**" 02.15 ირაო

მაესტრო 7.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმები 9.30 მაღვიძარა (კოლაჟი) 10.15, 16.00 **სერ. "ღრუბლებს მიღმა"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 12.40, 15.40, 2.00, 6.00 ფარული კამერა 14.00 "კვირის აბები" (გამ.) 17.45, 21.30, 0.30, 5.30 "ყოველდღიური აბები" 19.00 **სერ. "1001 ღამე"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 4.00 "კინო მაესტროზე"

## შაბათი 14 სექტემბერი

08.00 საბ. მხ/ფ " **პატარა პრინცესა**" 09.30 საბავშვო ან/სერ. " სუპერგმირების ლეგიონი" 10.30 საბ. ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" 11.00 "პეპე და მეგობრები" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.30 I არხი წარმოგიდგენთ – "ღიმილი მინდა" 14.00 ფილმი ნოსტალგია: "**ვერცხლის ტბის განძი**" 16.20 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. II ჯგუფური ეტაპი. (პ/რ) 18.20 "10|10" 19.00 ტ/სერ. "**ოჯახური გამოძიება**" 20.35 ქართ. მხ/ფ "**სანამ წვიმა გადიღებს**" 22.05 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 22.50 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი II ჯგუფური ეტაპი. (პ/ სლოვენიიდან) 00.50 მხ/ფ "**სირიანა**" (მ.დეიმონი)

08.00, 10.00, 16.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 "თავისუფალი ტრიბუნა" –(პარ. გ/ჩვ) 11.00 დ/ფ "100 უდიდესი აღმოჩენა" 9 ნაწ. 12.00 დ/ფ "კრისტიან ბოლტანსკის შესაძლო ცხოვრებები" 13.00 მხ/ფ "**ჯადოსნური შარვალი – 2**" (ა.ფერერა) 15.00 დ/ფ "შტაინერების ოჯახი" 17.00 მხ/ფ "**პური და თავისუფლება**" 1-2 სერ. 19.00 "ეპიცენტრი" (პ/ე) 20.00 მხ/ფ "**ოუშენის 11 მეგობარი**" (ჯ.კლუნი) 22.00 ტ/სერ. "**საიდუმლო აგენტები**" 23.00 მხ/ფ "**ჩემი ძმა იყო**" 1-2 სერ.

08.00 მხ/ფ "**სცენის ვარსკვლავი**" 10.00 ან/ფილმი: "ავატარი" 30" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ეკოვიზია 12.00 ქ.მხ/ფ "**ფეოლა**" 13.00 სერ. "**ჰანა მონტანა**" მე–3" 4 სერ. 14.30 მხ/ფ "**სამი მუშკეტერი**" (პარ. გ/ჩ) 17.50, 19.05 სერ. "**უდანაშაულო**" 6 სერ. 21.00 ფულთან თამაში 22.00 ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" 1 სერ. 23.00 კაცების შოუ 00.00 მხ/ფ "**ზღვარს მიღმა**" (ე. კორნიში) 01.45 მხ/ფ "**სიკვდილის შემდეგ**" (ჟ. კ. ვან დამი) (ტიტ)

08.00, 03.00 კურიერიჰ დაიჯესტი 08.30 ანიმაცია "პატარა პრინცი" 09.00 მხ/ფ "CJ7" 11.00 შიშის ფაქტორი 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი - დაწყება 14.00 შერეკილები 18.50, 19.50 სერ."**ტიტების დრო**" 22.00 სერ."**დასასრული**" 00.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ 01.00 მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.35 დოკ/ფ "პლანეტა დედამიწა" 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 ჩვენი ფონდი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 18.30, 21.25 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 18.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 02.30 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 10.55 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "**შეხვედრა მთაში**" 13.25 დოკ/ფ "სიაუშ ქართველი" 14.25 მოკ/ფ "**ზღარბი**" 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05, 18.05 ოპერა - "**სევილიელი დალაქი**" 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 თბილისის ტაძრები 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსულოვნების სალონი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ლექსით ქებათა ქება 21.35 ერთი დღე მონასტერში 22.25 ერთსულოვანი ოჯახი 22.50 "თვენი"-ინდიქტიონი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 22.15 ქართული ხმები 00.35 მხ/ფ "**მოხუცი და ზღვა**" 02.00 ირაო

მაესტრო 7.00, 0.00, 1.00, 3.00, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 **სერ. "1001 ღამე"** 10.30 გადაცემა "პულსი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 18.45 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 21.30 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00 **სერიალი "სკანდალი"** 0.30, 5.30 ფარული კამერა 1.30, 3.30 "კინო მაესტროზე"

## კვირა 15 სექტემბერი

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" 09.00 დ/ფ " ჯინსიპლანეტა ლურჯ ფერებში" 10.00 საბ. ან/სერ. " სუპერგმირების ლეგიონი" 11.00 ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" 11.20 "პეპე და მეგობრები" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "სპექტაკლის დრო" – მ. თუმანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლი: "**ბნელ ოთახში**" 14.30 დ/ფ "ექსტრაორდინარული ქალები" 15.30 "ჩვენი ფერმა" 16.30 "ვაშინგტონი დღეს" 17.00 I არხი წარმოგიდგენთ – შერონ მარტინი და მისი ჯგუფი 18.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 19.00 ტ/სერ. "**დოლმენი**" 20.45 "უცნობი მუსიკა" 22.50 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. II ჯგუფური ეტაპი. (პ/რ) 00.50 მხ/ფ "**ბეწვი**" (ნ.კიდმანი)

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" – "პარიზი" 09.00 "ბრიფინგის დრო" (შაბ. გ/ჩვ.) 10.00 მხ/ფ "**ჰარი პოტერი და ნახევარსისხლა პრინცი**" (დ.რედკლიფი) 12.30 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "ბავარია" 13.00 მხ/ფ "**და ყველაფერი განათდა**" 15.00 დ/ფ "ლურჯი დუნაი და გარეული ცხენები" 16.00 მხ/ფ "**პური და თავისუფლება**" 3-4 19.00 დ/ფ "ღრუბელი სამყაროს თავზე" 20.00 მხ/ფ "**ოუშენის 12 მეგობარი**" (ბ.პიტი) 22.00 ტ/სერ. "**საიდუმლო აგენტები**" 12 სერ. 23.00 მხ/ფ "**ჩემი ძმა იყო**" 3-4 სერ.

08.00 მხ/ფ "**ყინულის პრინცესა**" 10.00 ან/ფილმი: "ავატარი" 32" 33–ე სერ. 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" 1 სერ. (შაბ. გ/ჩ) 13.00 სერ. "**ჰანა მონტანა**" მე–5" 6 სერ. 14.30 ქ.მხ/ფ "**ხარება და გოგია**" 17.40 ს გმირები (გ/ჩ) 18.00, 19.05 სერ. "დაწყევლილი სახლი" 21.00 ღამის შოუ 22.00 ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" მე–2 სერ. 23.00 რომ გადახვალ" გააჩერე 23.30 მხ/ფ "**გამარჯვებისთვის დაბადებული**" პრემიერა 01.05 მხ/ფ "**რიდიკის თავგადასავალი**" (ჯ. დენჩი)

08.00 კურიერიჰ დაიჯესტი 08.30 ანიმაცია "პატარა პრინცი" 09.00 მხ/ფ"Zathura: A Space Adventure" 11.00 შიშის ფაქტორი 12.00, 12.00, 15.00, 18.00, 03.00 კურიერი 12.30 ქართ. მხ/ფ 14.00 შერეკილები - დასკვნითი 19.00 ეკი ვოკი 20.00 იღბლიანი ბორბალი 21.00 P.S. 22.00 თურქული სერ. "**დასასრული**" 23.00 კომედი შოუ - დაწყება 00.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 00.30 მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 დეკორატიული ფლორა 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 00.05 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.40 ჩვენი ტრაპეზი 10.50 ქართული ხმები 11.30 ქართული ალბომი 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "**მეტიჩარა**" 12.15 ერთი დღე მონასტერში 13.40 ქრისტიანული ხელოვნება 14.20 ისტორიის გაკვეთილი 15.05, 18.05, 21.05, 00.10 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.55 ეპოქის სახელები 17.20 საღვთისმეტყველო საუბრები 18.30 დროის ჩანაწერები 19.40 მხ/ფ "**გიორგობის თვე**" 21.35 ლექსით ქებათა ქება 21.40 კვირიაკე 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 00.30 მხ/ფ "**დიდი ვალსი**"

მაესტრო 7.00, 0.00, 1.00, 3.00, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 9.30 **სერ. "1001 ღამე"** (გამ) 10.30 გადაცემა "პულსი" 11.00, 12.30, 15.30, 19.00 **სერ. "1001 ღამე"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 18.30 "მონიტორი" ჟურნალისტური გამოძიება 21.30 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00 **სერიალი "სკანდალი"** 0.30, 5.30 ფარული კამერა 1.30, 3.30 "კინო მაესტროზე"

# სომხეთი საბაჟო კავშირში შევიდა

## სომხეთის ევროინტეგრაციას წერტილი დაესვა, — ამტკიცებენ ევროპელი პოლიტიკოსები

— სომხეთის რესპუბლიკა დსთ-საბაჟო კავშირს შეუერთდება. ჩვენ აქტიურ მონაწილეობას მივიღებთ მომავალი ევრაზიული ეკონომიკური კავშირის მუშაობაშიც, — განაცხადა მოსკოვში ვიზიტისას სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ვილნიუსის სამიტამდე თვე-ნახევრით ადრე იქნა მიღებული. სომხეთის ხელისუფლება ვილნიუსში ევროკავშირთან ასოცირების საკითხზე ხელშეკრულების პარაფირებას გეგმავდა, მაგრამ რუსეთის ზეწოლამ ამ გეგმებში სერიოზული კორექტირება შეიტანა.

— პუტინმა უკრაინულ ფრონტზე მარცხი განიცადა და ამის განეიტრალება სომხეთით სცადა, — თვლის რადიო „თავისუფლება“.

სომხეთის პრორუსული ორიენტაცია არახალია. ჯერ კიდევ კავკასიური ომის დროს სომხები იარაღით ხელში რუსეთის მხარეს იბრძოდნენ. შემდგომში რუსული დაზვერვა სომხებს აქტიურად იყენებდა თურქეთის წინააღმდეგ. პირველი მსოფლიო ომის დროს სომხები თურქეთში რუსული ჯარის მეგზურებად მოგვევლინენ. 1918-19 წლებში სომხეთს რუს თეთრგვარდიელებთან ინტენსიური კავშირი ჰქონდა. ყველაფერმა ამან კატასტროფული შედეგები იქონია. გაჩაღ-



და საქართველო-სომხეთის ომი და ორ მოძმე ერს შორის სისხლი დაიღვარა. საუკეთესო სომხური მიწები თურქეთის ხელში აღმოჩნდა, თავად სომხეთი კი საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებულ და ანექსირებულ იქნა.

— წარსული ჩვენთვის გაკვეთილი უნდა გახდეს და მსგავსი შეცდომები არასოდეს არ უნდა გავიმეოროთ, — წერდა ცნობილი სომეხი ეროვნული მოღვაწე პროფესორი გაგოპიანი.

სსრკ-ის დაშლის შემდეგ სომხეთი შეეცადა, წარსულის გაკვეთილები გაეთვალისწინებინა, როგორც რუსეთთან, ასევე დასავლეთთან ურთიერთობები დაელაგებინა. ყარაბახის ომმა ეს ჩაშალა. მართალია, რუსების დახმარებით აზერბაიჯანელთა დამარცხება მოხერხდა, მაგრამ ამით სომხეთმა საბოლოოდ გადაიმტერა როგორც აზერბაიჯანი, ასევე თურქეთიც. ამას გარდა, ვერც მთიანი ყარაბახის შემოერთება მოხერხდა. ღარიბ სომხეთს არ გააჩნია სახსრები, რათა სტეფანაკერტზე კონტროლი დაამყაროს. მთიანი ყარაბახის რესპუბლიკაც ე.წ. „დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“ რჩება. ის არავინ აღიარა და იქ თოფიანი კაცია გაბატონებული, რომელიც ხელისუფლებას მხოლოდ რუსეთის დახმარებით ინარჩუნებს.

— აზერბაიჯანთან და თურქეთთან გართულებულმა ურთიერთობებმა სომხეთს რუსეთისაკენ უბიძგა. შედეგად ქვეყანა ე.წ. დსთ-ის კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის წევრი გახდა, — წერს „შლიახ პერემოგი“.

დღეისათვის სომხეთი ამიერკავკასიის ერთადერთი რესპუბლიკაა, სადაც რუსული სამხედრო ბაზები შენარჩუნდა. საზღვარს ირანთან და თურქეთთან სომეხი მესაზღვრეები რუსებთან ერთად იცავენ. მოსკოვთან სამხედრო ალიანსმა შესაბამისი ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება განაპირობა. სომხეთის უმთავრესი ეკონომიკური პარტნიორი რსფსრ გახდა. ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიური ვითარება კი სომხეთის ბევრ მოქალაქეს უბიძგებს, სამუშაოს საძებრად რუსეთში გადაიხვეწოს.

— ამრიგად, ლავირების პოლიტიკამ შედეგი არ გამოიღო. სომხეთი რუსეთზე დამოკიდებულ ქვეყანად გადაიქცა, — ამბობს რადიო „თავისუფლება“, — ეს თანაბრად ეხება როგორც ეკონომიკას, ისე თავდაცვის სფეროს.

მიუხედავად ამისა, სომხეთის ლიდერები ჯიუტად ცდილობდნენ, ნორმალური ურთიერთობები ჰქონოდათ როგორც რუსეთთან, ასევე დასავლეთთან. საკმაოდ კარგი კავშირები დამყარდა ნატოსთან. პარალელურად სომხეთი რუსეთის არმიასთანაც ინტენსიურად თანამშრომლობდა. ამან როგორც მოსკოვი, ისე დასავლეთი გააღიზიანა.

— სომხეთი ცდილობს, ორ სკამზე იჯდეს, — იტყობინებოდა ბი-ბი-სი.

არანაკლებ უკმაყოფილო უყო კრემლი. პუტინის განსაკუთრებული გაღიზიანება გამოიწვია ევროკავშირთან ასოცირებისა და თავისუფალი სავაჭრო ზონების შესახებ მოლაპარაკებების დაწყებამ. სომხეთის ლიდერ სერჟ სარგსიანის განცხადებამ, ევროპასთან დაახლოება რუსეთთან მეგობრობას ხელს არ უშლისო, შედეგი არ გამოიღო.

— ჩვენს ზოგიერთ პარტნიორს შევახსენებ: თუკი ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ ხელშეკრულებას ხელს მოაწერს, ჩვენ საპასუხო ზომებს მივმართავთ. ეს შეეხება როგორც მიგრაციის შეზღუდვას, აგრეთვე სავაჭრო ურთიერთობების გადახედვას, — განაცხადა პუტინმა.

რუსეთის პრეზიდენტის სიტყვებს საქმეც მოჰყვა. მოსკოვმა ნაცადი კოზირი, გაზი, აამოქმედა. პარალელურად გაჟღერდა ინფორმაცია აზერბაიჯანისათვის იარაღის მიყიდვის შესახებ. შემდეგ იყო ვლადიმერ პუტინის ბლიც-ვიზიტი ბაქოში. ამან სომხეთის ხელისუფლება შეაშფოთა.

— ერევანი უკვე ისე ძლიერ იყო მოსკოვზე დამოკიდებული, რომ ლავირების საშუალება აღარ ჰქონდა, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

მართლაც სომხეთში დაიწყეს ლაპარაკი, რომ რუსეთი მათი ერთადერთი მსხვილი მოკავშირეა და მისი დაკარგვა კატასტროფას ნიშნავს. „თუკი რუსეთთან ურთიერთობები გაწყდა, თურქეთისა და აზერბაიჯანის წინააღმდეგ მარტონი აღმოვჩნდებით“, — ეს თემა როგორც პრესაში, ისე სომხეთის პარლამენტშიც დომინირებდა. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტი სარგსიანი მაინც შეეცადა, ევროპასთან ურთიერთობები შეენარჩუნებინა. სომხეთ-ევროკავშირის მოლაპარაკებებიც ფორსირებული ტემპით წარიმართა. მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ ვილნიუსში სომხეთ-ევროკავშირის შეთანხმების პარაფირება მოხდება. ამავე დროს, მოსკოვის ტონიც უფრო კატეგორიული გახდა. „აირჩიეთ, ან ევროპა, ან ჩვენ“, — პუტინმა საკითხი სწორედ ასე დასვა.

დასავლეთის პოზიციაც ხისტი გახდა. სომხეთს მტკიცედ განუცხადეს, რომ საბაჟო კავშირში შესვლა ევროკავშირთან ასოციაციის თაობაზე ხელშეკრულების დადებას გამორიცხავს. ამან ოფიციალური ერევანი გააღიზიანა. სომხურ პრესაში გამოჩნდა სტატიები, სადაც „ევროპულ ბიუროკრატიაზე“ იყო საუბარი. მოსკოვი კი ზეწოლას განაგრძობდა. ბოლოს და ბოლოს, ამან შედეგი გამოიღო, სომხეთი საბაჟო კავშირში შესვლას დათანხმდა.

სომხეთის საბაჟო კავშირში შესვლამ დასავლეთში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ბევრი ექსპერტი გაოცებული იყო. აქამდე სომხეთი რუსეთ-დასავლეთს შორის წარმატებით ლავირებდა, საბაჟო კავშირში შესვლით კი მოსკოვის სასარგებლოდ ცალსახა არჩევანი გაკეთდა.

— სომხეთის ევროინტეგრაცია დამთავრდა, — განაცხადა შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლ ბელტმა, — ერევანმა არჩევანი რუსეთის სასარგებლოდ გააკეთა.

პრეზიდენტი სარგსიანი ამან შეაშფოთა. მისმა ადმინისტრაციამაც გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამია, ევროპასთან ურთიერთობების შენარჩუნება გვინდაო:

— ევროპასთან დაახლოების კურსი გრძელდება. იმედი გვაქვს, რომ ვილნიუსში ასოცირების თაობაზე ხელშეკრულების პარაფირება მოხდება.

ამან როგორც რუსეთში, ისე დასავლეთში გაოცება გამოიწვია. კარლ ბელტმა განაცხადა, რომ შეუძლებელია ერთდროულად საბაჟო კავშირის წევრიც იყო და ევროპასთან ასოცირებასაც ხელი მოაწერო. შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრს მხარი მისმა ლიტველმა კოლეგამაც დაუჭირა. პრეზიდენტ პუტინის თანაშემწე გლაზიევმა კი განაცხადა, რომ ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნა საბაჟო კავშირთან მკვეთრ წინააღმდეგობაში მოდის.

სომხეთის ხელისუფლება იძულებული გახდა, ახალი განცხადებები გაეკეთებინა:

— ჩვენ უარს ვაცხადებთ ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნაზე, თუმცა ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ევროპასთან თანამშრომლობას წერტილი დაესვა. პროგრამები, რომლებიც საბაჟო კავშირის წესდებას არ ეწინააღმდეგება, ძალაში რჩება, — ამტკიცებს სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი შავარშ ქოჩარიანი.

მართალია, ერევანში საბაჟო კავშირთან შეერთების წინააღმდეგ დემონსტრაცია გაიმართა, მაგრამ ამას უკვე აღარაფრის შეცვლა არ შეუძლია, მით უმეტეს, რომ ქუჩაში მხოლოდ 400 კაცი გამოვიდა. „გაუმარჯოს დამოუკიდებლობას! სსრკ-ში დაბრუნება არ გვსურს! რუსებო, თავი დაგვანებეთ!“ — სკანდირებდნენ ისინი. დემონსტრანტებმა ქუჩის გადაკეტვა სცადეს. მაშინ პოლიციამ აქცია დაშალა.

— დაკავებულია ათი მანიფესტანტი, — იტყობინება ბი-ბი-სი.

ამრიგად, სომხეთი საბაჟო კავშირში შევიდა. მართალია, ეს იურიდიულად ჯერ არაა გაფორმებული, მაგრამ, პრინციპში, საკითხი უკვე გადაწყვეტილია. სომხეთი (ნებსით თუ უნებლიეთ) რუსეთის ორბიტაში აღმოჩნდა.

— მოსკოვმა აიძულა ერევანი, თავის ევროპულ ამბიციებზე უარი ეთქვა და რუსეთთან სამხედრო ალიანსის ერთგული დარჩენილიყო, — თვლის რადიო „თავისუფლება“.

მოსკოვმა სომხეთის მოდრეკა მოახერხა. ახლა მიზანშია საქართველო.

**ნიკა თევზაძე**


## განცხადებები

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ოსტეოქონდროზის, დაქვეითებული სმენის — ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, რადიკულიტის, ჭრილობების და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების, აპარატურისა და ქირურგიული ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. მისამართის შესახებ დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა — ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.


## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ლიბანის დედაქალაქი; 2. იაპონიის ერთ-ერთი კურძული; 3. ყოველდღიური გაზეთი ბრიტანეთში; 4. ქართული ნაციონალური კერძი; 5. უეშმაკო, გულუბრყვილო ადამიანი; 8. თანამედროვე გემოვნების, მოთხროვნების შესაფერისი რამე; 9. იარაღის საწყობის, არსენალის ძველი სახელწოდება; 12. მონასტერი კახეთში; 13. ებრაელთა რელიგიური, საყოფაცხოვრებო და სამართლის კანონების კრებული; 16. ქართული გეოლოგიური სკოლის ფუძემდებელი მეცნიერი; 17. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 19. სახელმწიფო აზიაში; 20. მოხეტიალე ცირკი.

**თარაზულად:** 6. ელჩის გამოწვევა სახელმწიფოდან; 7. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 8. კოსმოსური ხომალდის ნაწილი, რომელსაც შეუძლია დამოუკიდებლად ფრენა; 10. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ლამასებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი შინაური ცხოველი; 11. ირლანდიური ცეკვა; 14. ათკაპიკიანი მონეტის სახელწოდება ძველად საქართველოში; 15. სამეფო რეზიდენცია მადრიდში; 18. ბელგიური ავიაკომპანია; 21. ჰიმნების, საგალობლების ქართული კრებული; 22. აღმოსავლური მაგიდის სათამაშო; 23. აპრილის თვის ქართული სახელწოდება; 24. ქართული მონასტერი ბულგარეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომეჩში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ბატერფლაი; 2. „დიუპონი“; 3. შეკელი; 4. მანგო; 5. ფლირტი; 11. გვრინი; 12. მწუხრი; 14. ჯინი; 16. პროტონი; 17. ტყიბული; 19. ტოქსინი; 21. სიდრი; 22. მატიე.

**თარაზულად**: 6. სამორინე; 7. სტაპელი; 8. გაგრა; 9. ორფოლო; 10. ლარგო; 13. ბარჯი; 15. სპირიჩუელი; 18. ლიბრეტო; 20. ყელი; 21. „სუდოკუ“; 22. ჰიპერტონია; 24. ლაზერი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. აპოთემა; 2. უმადური; 3. ჩიჩერონე; 4. პოლისი; 5. „კარმენი“; 8. ქიშმიში; 9. ჟიტომირი; 12. ტრაპეცია; 13. ანალგია; 16. „ბერიკები“; 17. კავსაძე; 19. კაბურა; 20. „ბოჟოლე“.

**თარაზულად**: 6. ოპტიმიზმი; 7. ხორბალი; 8. ქვევრი; 10. მერკური; 11. „გეთი“; 14. კინტრიში; 15. გაგარინი; 18. „ჰენესი“; 21. აზიმოვი; 22. ტორტი; 23. აპლიკე; 24. „დისქავერი“.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


7 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი



აშშ დოლარი — 1,6611



ევრო — 2,1898



ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5955



100 რუსული რუბლი — 4,9636

## ამინდის პროგნოზი 7 სექტემბრისთვის





## მალე! მალე! მალე!

ლეგენდარული ქართული დეტექტივის, „მგლის ბილიკის“, გაგრძელება

# „შავი ვარდი“

„ახალ თაობასთან“ ერთად


# ახალგაზრდებმა ევროპა მოგებით დაიწყეს



ლუქსემბურგი – საქართველო 0:3

ეში. ლა ფრონტიე

0:1 სხირტლაძე (18), 0:2 კობახიძე (72), 0:3 ჭანტურია (78)

ლუქსემბურგი: ივეშიჩი, შპელერი, დრაგოვიჩი, ზიბენალერი (ეირესი 88), მასტრანგელო, რამდედოვიჩი, აგოვიჩი, ჰოლტერი, სინანი, დეიდა (კლაპი 58), ლასცაკი (კორალი 64)

საქართველო: ნადირაძე, ტვილდიანი, კვერკველია, უბილავა, კობახიძე, ყაზაიშვილი (ფანცულაია 80), პარუნაშვილი, პაპავა, კვეკვესკირი, სხირტლაძე (კაჭარავა 84), ჭანტურია

გაძევება: ჰოლტერი (60)

ალექსანდრე ჩივაძის გაწვრთნილმა საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა, 2015 წელს გასამართი ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი მატჩი გამართა და ლუქსემბურგში ადგილობრივი თანატოლები 3:0 დაამარცხა.

მართალია, მატჩის პირდაპირი ტელერეპორტაჟის ხილვის საშუალება არ მოგვეცა, მაგრამ უეფას ვებგვერდის მეშვეობით შევძლო გვეკონტროლებინა, თუ რა ხდებოდა მოედანზე.

როგორც ჩანს, ქართველები თავიდანვე ფლობდნენ უპირატესობას, თუმცა, უქმად არც მასპინძლები ყოფილან – ერთხელ, სინანიმ ხარიხასაც მოარტყა ბურთი, რამდენჯერმე კი უეფას ვებგვერდზე ქართველთა მეკარის სეივიც დააფიქსირა. რამდენად სახიფათო იყო ეს სეივები (იქ უეფას ვებგვერდზე მეკარის ყველა ხელში დაჭერილ ბურთს სეივად მიიჩნევენ), ვერ გეტყვით. ანალოგიური მომენტები უფრო მრავლად მასპინძელთა კართან იქმნებოდა, რომელთაგან 3 გოლით დასრულდა.

ჩივაძის შეგირდებმა მე-18 წუთზე გახსნეს ანგარიში – ყაზაიშვილის პასით თავი სხირტლაძემ გამოიჩინა. მე-60 წუთზე მასპინძელმა ჰოლტერმა მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მინდვრის დატოვება მოუხდა, რამაც ქართველებს კიდევ უფრო გაუადვილა საქმე და ამის შემდეგ ჯერ კობახიძემ, შემდეგ კი გიორგი ჭანტურიამ სამამდე გაზარდეს ანგარიში.

მომდევნო მატჩს საქართველოს ნაკრები 9 სექტემბერს სლოვაკებთან გამართავს.

ჩვენი ჯგუფის კიდევ ერთ მატჩში ფავორიტად მიჩნეულმა ჰოლანდიამ 4:0 მოუგო შოტლანდიელებს.

სატურნირო ცხრილი:

1.სლოვაკეთი 1 1 0 0 7:1 3
2.ჰოლანდია 1 1 0 0 4:0 3
3.საქართველო 1 1 0 0 3:0 3
4.შოტლანდია 2 1 0 1 3:4 3
5.ლუქსემბურგი 3 0 0 3 1:13 0

# იაცეკ ვოლსკი: „ევროკავშირს აქვს ვალდებულება, დაიცვას თავისი აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნები რუსეთისგან“



ევროპის სახალხო პარტიის ვიცე-პრეზიდენტის იაცეკ ვოლსკის განცხადებით, რუსეთის მიერ ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში ბოლოდროინდელი ზეწოლა იმის აშკარა მცდელობაა, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის პროექტი კითხვის ქვეშ დადგეს.

„რუსეთის მიერ ბოლოდროინდელი ზეწოლა და ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში მისი შედეგები – სომხეთის განცხადება, შეუერთდეს ევრაზიულ კავშირს, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადება, რომ განიხილავს ასეთ ვარიანტს, სავაჭრო ომი უკრაინასთან და მოლდოვას მიმართ გამოთქმული არაერთი მუქარა, იმის აშკარა მცდელობაა, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის პროექტი კითხვის ქვეშ დადგეს. მოხარული ვარ, რომ ევროპარლამენტი მკაფიო პოზიციას გამოხატავს ამასთან დაკავშირებით. ევროკავშირს აქვს ვალდებულება დაიცვას თავისი აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნები რუსეთის მიუღებელი ქმედებებისგან – შეაჩეროს მათი ევროკავშირთან ასოცირება“, – აცხადებს ვოლსკი.

მედიანიუსი

# აშშ-მ იმ ქვეყნების სია გაასაჯაროვა, რომლებიც სირიის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობისთვის მზად არიან



ოფიციალური ვაშინგტონის განცხადებით, სირიაში სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობისთვის მზადყოფნა, სულ მცირე ათმა ქვეყანამ გამოთქვა. ამის შესახებ, გუშინ გამართულ ბრიფინგზე, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯენ პსაკიმ განაცხადა.

მისი თქმით, აღნიშნულ ქვეყნებს შორისაა ავსტრალია, ალბანეთი, კანადა, დანია, საფრანგეთი, პოლონეთი, რუმინეთი, თურქეთი და კოსოვოც კი.

ჯენ პსაკის განცხადებით, ამ ქვეყნების მხრიდან საუბარია არა მხოლოდ სამხედრო მხარდაჭერაზე, არამედ სხვა ნებისმიერი სახის დახმარებაზეც.

ნიუსპრესი

# ასტროპროგნოზი



ყველამ გაითვალისწინეთ!

### 24 მარტი – ეს დღე მშვიდად გაატარეთ

**ვერძი** – არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **კურო** – არ იჩქაროთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** – ახალი საქმე გამოჩნდება. **კირჩხიბი** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ლომი** – მშვენიერი დღეა, ყველა საქმე გამოგდით. **ქალწული** – არ იჩქაროთ, საქმე დაკვირვებით აკეთეთ. **სასწორი** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, შინაგანად გაწონასწორებული ხართ. **ღრიანკალი** – პრობლემას კისერს მოუგრეხთ. **მშვილდოსანი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** – ფულის პრობლემა არ გაქვთ, მაგრამ ცოტა მაინც შემოინახეთ. **მერწყული** – ნურავის გაეჯიბრებით, რა აზრი აქვს. **თევზები** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული.

### 24 მარტი – შემოქმედებითი დღეა

**ვერძი** – თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. **კურო** – რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ, სიხარულის შეგრძნება არ გტოვებთ. **ტყუპები** – არავის აჰყვეთ, საკუთარ გულს დაუჯერეთ. **კირჩხიბი** – ახალ სამსახურში თავს კომფორტულად იგრძნობთ. **ლომი** – ფული გაქვთ, ყველაფერს იყიდით, რაც გსურთ. **ქალწული** – იმიჯის შეცვლა კარგია, იფიქრეთ ამაზე. **სასწორი** – სახლში დიდი სიხარული გელით. **ღრიანკალი** – საქმე წინ მიდის, ბედი გწყალობთ. **მშვილდოსანი** – თავს მიხედეთ, ზედმეტს ნუ აიღებთ თქვენს თავზე. **თხის რქა** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **მერწყული** – იყავით მიმტევებელი და უფრო გაგიმართლებთ. **თევზები** – შორი გზიდან ვიღაც მოდის და თქვენთვის კარგი ამბავი ჩამოაქვს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი

**შვეულად:** 1. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 2. ლელვის ნაყოფში არსებული ალკალოიდი; 3. ლუდის მწარმოებელი ირლანდიური ფირმა; 4. ძვირფასი ლითონებით დაფარული ხის ან ლითონის ნაკეთობა; 5. საჭმელი სოკო; 11. წვრილი, წვნიანი ნაყოფის მქონე ბალახოვან და ბუჩქოვან მცენარეთა საერთო სახელწოდება; 12. მოდური ტანსაცმლის მაღაზია; 14. ახლადამოსული ჩაის ბუჩქი; 16. მანძილის საზომი ერთეული ასტრონომიაში; 17. უნგრეთის პირველი მეფე, ქრისტიანობის დამკანონებელი ქვეყანაში; 19. მედიცინეს ერთ-ერთი დარგი; 21. ბალ-ბოსტნის ძველი ქართული სახელწოდება; 22. ჯაკომო პუჩინის ოპერა.

**თარაზულად:** 6. სვანური ციხე-კოშკი; 7. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 8. ძველი ქართული თოჯინური თეატრის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი; 9. ნიადაგის ზედა ნოყიერი ფენა; 10. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი; 13. ოსური ცეკვა; 15. თითების განლაგება მუსიკალური ინსტრუმენტის დაკვრისას; 18. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 20. დედალი ჯიხვი; 21. ცირკის მოედანი, არენა; 23. თვალით უხილავი ნაწილაკების გამოსაკვლევი ოპტიკური ხელსაწყო; 24. პატარა მოთხრობა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა




# სამგლოვიარო განცხადებები

## ათული ანდრიაძის მონატრება



„შენ არ მომკვდარხარ გარდაიცვალე! შენ უკვდავი ხარ მარად და მარად! ჩვენო კეთილო და ლამაზო ჭაბუკო, მარად ახალგაზრდავ, შენ დააკლდი არა მხოლოდ შენს ახლობლებს, შენ დააკლდი თბილისს, უბანს და ყველას, ვინც გიცნობდა. უსაზღვროდ დიდი გული გქონდა და ყველას სიყვარულს იტევდა იგი.

უკვე ერთი წელი გავიდა უშენოდ და ჯერაც გონს ვერ მოვსულვართ. დაუჯერებელია, რომ მიგვატოვე და წაგვართვი შენი სილამაზით და სიკეთით ტკბობის უფლება. განსაკუთრებული ჭაბუკი იყავი შენი ზრდილობით და სიკეთით, სამაგალითო შვილი, ძმა და მეგობარი. ვერ ვეგუებით უშენობას, შენც იცი, რომ არ შეგვიძლია უშენოდ. ამიტომაც გვეცხადები ცხადად და სიზმრად და გვეუბნები, რომ კარგად ხარ და არ ვიდარდოთ, მანდედანაც გვაფრთხილებ და გვიფრთხილდები, ჩვენო საყვარელო ტკბილო და მშვიდო ადამიანო, ყოველთვის ვიცოდით, რომ დიადი იყავი, 22 წლის ჭაბუკმა როდის მოასწარი ამდენი ადამიანისთვის თავის შეყვარება?!

ვერასოდეს ვერ გავხდებით ისეთები, როგორიც შენ იყავი, შენი სახე ასხივებდა ციურ ნათელს და საოცარ სითბოს, შენი თვალები სიკეთით უმზერდნენ ყველას. ერთი შეხედვით იპყრობდი ადამიანთა გულებს. ყველასათვის საყვარელი და სამაგალითო ადამიანი იყავი. მრავალჯერ გითქვამს: „უზენაესი მშვენიერება ამავე დროს უზენაესი სიწმინდეც არისო.“ შენც ასეთი იყავი ყოველმხრივ. ასეთი იყო შენი ცხოვრებაც, ყველას სახელით იხსენებდი, სიყვარულით შესციცინებდი, „ჩემი ძმების სამსახურში“ ვარო, ამბობდი, თავს როდი იწონებდი – ეს იყო შენი თანდაყოლილი თვისება. პატივს სცემდი უფროს ძმას, გეამაყებოდა შენი შოთიკო და მარიამი, შენი მამა და დედუცა, რომელსაც ეუბნებოდი „მაი, ნუ დამდევ, ნუ გეშინია, არაფერი მომივაო.“ ახლა რა პასუხს აძლევ შენს დედუცას! სად არის შენი პირობა?

ჩვენო ბუხუნა, იუმორით სავსე ბიჭო! ჩვენო უსაზღვრო სიყვარულო და ნაღველო ჩვენო. მუდამ ჩვენ გვერდით ხარ, ყველა ვგრძნობთ ამას და ვიცით, რომ შენმა უმანკო, კეთილმა სულმა მართალთა შორის დაიმკვიდრა ადგილი, ჩვენო მფარველო ანგელოზო!

ვლოცულობთ შენთვის, გვენატრები და გვჭირდები. ერთადერთი, რაც გვანუგეშებს ისაა, რომ შენი სამარე ასე ახლოსაა ჩვენთან.

გვიყვარხარ, ათული, ულამაზესო მხედარო ქრისტე ღრმთისაო. გფარავდეს ღვთისმშობელი მარიამი და უფალი ჩვენი იესო ქრისტე, აწ და მარადის უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

დიდი სიყვარულით ვეფერებით შენს სპეტაკ სულს!

***მშობლები მირიან და მაია ანდრიაძეები, შოთა და მარიამ ანდრიაძეები( და-ძმა), ბიძა ილია ანდრიაძე, მარინა ბერიძე და ირინე გოგოლაძე - დეიდები, ბებია დუშა წერეთელი, ბაბუა ავთანდილ დოგრაშვილი, ნათესავები და შენი ახლო მეგობრები.***

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.